

მედიკალიზაცია



კორეის მიხედვით
მისი ინტერმედიატორია
ანტივირუსული აქტივობის



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
TBILISI UNIVERSITY PRESS

MARIKA ERKOMAISHVILI

CIRCE-MYTH AND ITS
INTERPRATATION IN
ANCIENT LITERATURE

Tbilisi 2002

მარტა ექვთიანიშვილი

პირველ მთელ და
მისი ინტერპრეტაცია
ანტიკურ ლიტერატურაში

თბილისი 2002

კირკე, კოლხთა მეფის – აიეჭის და და მეფეას მამიდა, ანტიკუ-რობის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პერსონაჟია, რომელიც ანტიკური მითოლოგიის ორ ძირითად წიკლოშია ჩართული – ტროას წიკლსა და არგონავტიკაში. ამ სახის პოპულარობას მისი სიღრმე და არქეტიპულობა განაპირობებს. მონოგრაფია წარმოადგენს კირკეს მითის კვლევის მრდელიობას როგორც სინქრონული, ისე დიაქრონული ჭრილობი. კვლევისას გათვალისწინებულია ლინგვისტური, არქეოლოგიური და სხვა პარამეტრები, რაე გამყარებულია ტიპოლოგიური პარალელებით. წარმოდგენილი გამოკვლევა დაინტერესებს როგორც ვინრო სპერიალისტებს, ასევე მკითხველთა ფართო წრეს.

რედაქტორი პროფ. რ. გორდუზიანი

რევენზენტები: პროფ. ნ. ტონია
დორ. რ. წანავა

მუშაობის პროექტში განეული დახმარებისთვის ავტორი მადლობას უხდის თსუ კლასიკური ფილოლოგიის, შიზანტინისტიკისა და ნეოგერენისტიკის ინსტიტუტის ყველა თანამშრომელს, განსაკუთრებით, ქაღმატკონებს – რუსუდან წანავას და თამარ სუხიშვილს.

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2002

0403000000
ე $\frac{0403000000}{608(06)-02}$

ISBN 99928-956-3-2

*ვარკანზე გამოყენებულია ანრი მატისის ლითოგრაფია „კირკე“,
ილუსტრირაა ჟ. ჭოისის „ულისესათვის“.*

შინაარსი

წინასიტყვაობა	7
პირველი თავი	
კირკე ისტორიულ-მითოლოგიურ კონტექსტში	13
☒ კირკეს მითი და ეპიკური ტრადიცია	13
☒ „აღამიანურად მოუზარი საშიში ღმერთი“ (კირკე ეპითეტების კონტექსტში)	16
☒ კირკე πολυφάρμακος	22
☒ წინაპრები და შთამომავლები	31
☒ ლოკალიზაციის საკითხი	37
☒ საკულტო ადგილები	42
☒ ზოგიერთი დასკვნისთვის	45
მეორე თავი	
კირკე – მეტყველი სახელი (მითი ეტიმოლოგიურ ჭრილში)	48
მესამე თავი	
კირკეს მითოსური ასპექტები და „ოფისეა“	62
☒ კირკე და მილმური სამყარო	63
☉ აიათს მითოლოგიური ტოპოგრაფია	63
☉ „სტუმარმომსახურე“ ქალღმერთი	66
☉ ელპენორის ამბავი	66
☒ ქალღმერთი და ტახის მიერ დაგლეჯილი გმირი (სქესთა ოპოზიციის საკითხი კირკეს მიმართ)	69
☒ ლორაფქრეული მამაკაცების ამბავი	80
☒ კირკე და სხვა რხოველები	85
☒ ირემი კუნძულ აიათდან	89
☒ ზოგიერთი დასკვნისთვის	98
მეოთხე თავი	
კირკე და „არგონავტიკა“	101
მეხუთე თავი	
კირკე რომაულ ლიტერატურაში	112
☒ კირკეს ამბავი და „ენეიდა“	112
☉ კირკე და ენეასი	112

⊗ კირკე, პიკუსი და ჰელიოსის რხენები	118
⊗ კირკე „მეჭამორფოზებში“	124
⊗ მაკარეუსის ამბავი	125
⊗ კირკე და პიკუსი	128
⊗ კირკე, სკილა და გლავკოსი	131

მეტვესე თავი

კირკეს მითვის ალევგორიული ინტერპრეტაციები ანტიკურ და გვიანანტიკურ ხანაში	133
⊗ კირკეს მითვის ალევგორიული ინტერპრეტაციის უძველესი ნიმუშები	134
⊗ ჰორაციუსი	135
⊗ ფსევდო ჰერაკლიტოსი	136
⊗ ჰერაკლიტოს პარადოქსოგრაფოსი (მითოგრაფოსი)	136
⊗ ფსევდო პლუტარქე	137
⊗ დიონ პრუსელი	138
⊗ ჰორფირიოსი	140
⊗ პლოტინოსი	141
⊗ პალადას ალექსანდრიელი	142
⊗ პროკლე	143
დასკვნა	145
Summary	153
გამოყენებული ლიტერატურა	159
შემოკლებები	174
ილუსტრაციები	175
საძიებლოები	183

წინასიტყვაობა

„მალარძე განმაზოგადებულ „ნიგნში“ დანერგა რომ უპირებდა, მაგრამ არ დაუწერია, ნაკითხვის ახალი ხერხემს გვთავაზობდა. მკითხველს უარი უნდა ეთქვა პირდაპირმიმართული, ლინეარული ნაკითხვაზე „ახალი, ერთდროული მეთოდის სასარგებლოდ.“ კითხვის დანება შეგვიძლია დასაწყისიდან, ისევე როგორც დასასრულიდან, ხოლო გვერდების თანმიმდევრობა შეივლევებოდა როგორც სისტემის შესაძამისად ისე, რომ ყოველი ნუსხის ახალი კომპონენტები და აზრობრივი კონტექსტები იზადებოდა. ამგვარად, „ნიგნს“ არც თავი ვაჩნდა, არც ზოლო, არც მოწყობილი მყარი შინაარსი, არამედ მხოლოდ აზრი, „ქვენარმავლის მოძრავი რგოლების“ მსგავსად, მუდმივად რომ ივლევებოდა.“

პეტერ კორნელი, გზები სამოთხისკენ (დაკარგული ხელოვნების კომენტარები), სქოლიო 22.¹

ნაკითხვის 3. კორნელისეული მეთოდი ყველაზე უკეთ, აღნაგობა, მითს მიესადაგება. მითი, თუ მას განვიხილავთ როგორც ენის ფენომენს, მეტა-ენად უნდა მივიჩნიოთ, ნებისმიერი „ტექსტი“ კი უფრო მეტყველებას შეესაბამება, რომელიც ლინეარულია და არ არის რეკურსიული. მითში ხაზოვანება დაძლეულია. იგი ერთხელ უკვე მოხდა და მოხდება მარად.

მითი უნივერსალური სიმბოლოების ენაა, ვარკვეული სისტემატიზებული სტრუქტურული ელემენტებით რომ ოპერირებს და მათი მიმდევრობით ვინ რა დისკურსს გამართავს, სულ ერთია, ამით თავდაპირველი „მეტა-ტექსტი“ მაინც არ შეივლევება. ამიტომაც არ აქვს არსებობის მნიშვნელობა, საიდან დაიწყება მითის კვლევა – XXI ს-ის რომანიდან თუ ადრენერმული ეპოსიდან.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ წინამდებარე ნაშრომის კვლევის თავდაპირველ საგანს კირკეს ამბის მითოსური მოდელის რეკონსტრუქცია არ წარმოადგენდა. მინტერესებდა მხოლოდ, როგორ ფუნქციონირებს ესა თუ ის სახე სხვადასხვა უნარში ერთი ლიტერატურული ტრადიციის ფარგლებში. უნარული სპერეფიციდან გამომდინარე, ივლევებოდა ზოგჯერ მთლიანად სიუჟეტი, უფრო ხშირად კი ეპიზოდის არქიტექტონიკა, სხვადასხვა ფორმალური თუ შინაარსობრივი ელემენტი ან მოქმედების განვითარების მოტივაცია. მაგრამ სხვადასხვა ხასიათის ტექსტების შეპირისპირებამ ერთი, საკმაოდ მყარი შინაგანი ლოგიკის მქონე, ინვარიანტული სქემის არსებობა გამოავლინა, რამაც თავდაპირველი „მეტა-ტექსტის“ მოძიების სურვილიერ აღძრა.

გადასწრებულია

¹ П. Корнель, 1999, 21.

რაც შეეხება კვლევის ობიექტს, კირკეს ამბის შერჩევა რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა, უპირველეს ყოვლისა, ამ მითის განსაკუთრებულმა პოპულარობამ ანტიკურ სამყაროში. კირკეს შესახებ ნერდენ ფროსა და სივრცეში იმდენად დაშორებული ავტორები, როგორებიც არიან ჰომეროსი, ესქილე, ვერგილიუსი, აპოლონიოს როდოსელი, ოვიდიუსი, პეტრონიუსი, ბოეტიუსი, მიქელ ფსელიოსი და მრავალი სხვა. ავტორთა სპექტრი იმდენად ფართო აღმოჩნდა, რომ კვლევისას იძულებული გავხდით, მხოლოდ წარმართული ანტიკურობით შევზღუდულიყავით. განსაკუთრებულ ინტერესს აღძრავდა ის გარემოებაც, რომ ზერძინმა ეს, ერთი შეხედვით, „მეორეხარისხოვანი“ მითი თავისი მითოლოგიის ორ ძირითად რეკლში – არგონავტების ლაშქრობისა და ოდისეის ხეტიალის ამბებში ჩართეს. დაბოლოს, ესეც რომ არ ყოფილიყო, „ავისმზრახველი აიეცის“ და და მედეას მამიდა ქართველი მკითხველისთვის, ზუნებრივია, თუნდაც კოლხურ გენეალოგიურ შტოთან კავშირის გამო იქნებოდა საინტერესო.

საკმარისია ანტიკური ლიტერატურისთვის თუნდაც თვალის ერთი გადავლენა, რომ მივხვდეთ, თუ რაოდენ მომხიბვლელი ეჩვენებოდათ ძველებს ეს სახე. არ დარჩენილა ანტიკური ლიტერატურის თითქმის არც ერთი ქანრი, არც ერთი მწერალი, რომელსაც პირდაპირ თუ ირიბად არ დაეძმავებინოს კირკეს თემა. ანტიკურობის ყველაზე მარჯურნი ქაღი, ხშირ შემთხვევაში, საუკეთესო მასალა იყო ძველი პოეტური თუ ფილოსოფიური ნაწარმებისთვის.

კირკეს მიმართ ინტერესი შემკვიდრობით მიიღო ევროპულმა რვილიზაციამ. ინსპირაციის უმთავრეს წყაროდ იქნა ჰომეროსის ძლიერამოსილი ჭადოქარი, ბალახების გამოყენებასა და გაზავებაში დახელოვნებული ქაღილმერთი, მასთან მისულ მამაკაცებს წხოველებად რომ გარდასახავდა. კირკეს ამბავი აინტერესებდათ არამხოლოდ მეცნიერული კვლევის კუთხით. არ დარჩენილა მხატვრული კულტურის არც ერთი სფერო, რომელსაც ეს თემა არ აუხახავს. კირკეს მოტივებზე შექმნილია არაერთი პროზაული, ლირიკული თუ დრამატული თხზულება, მხატვრული ტილო თუ მუსიკალური ნაწარმოები.¹

კირკეს მითის კვლევა დიდი ხნის წინ დაიწყო, ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში, როდესაც ე.წ. ალეგორისტები განმარტების ალეგორიული მეთოდის მეშვეობით ჰომეროსის პოემებში დაფარული ჟღერარტი შინაარსის ჩანვლომას შეეყრდნენ.

გადათარგმნებულია

¹ H. Hunger, 1959; E. Moorman, W. Uitterhoeve, 1995.

კირკეს მიმართ ინტერესი არც თანამედროვეობაში განვლენულა. კირკეს შესახებ არაერთი ჰუმლიკარია და რამდენიმე მონოგრაფია არის გამოქვეყნებული, მაგრამ თავად მითი ჯერ კიდევ არ შეიძლება შესწავლილად ჩათვალოს, რადგან მას ძირითადად სხვა საკითხებთან მიმართებაში იკვლევდნენ.

აღნიშნული საკითხის შესახებ, პირველ რიგში, შემდეგი შრომები უნდა გამოიყოს:

1. კ. კერენის „მზის ასულები. ნარკვევი ზერძულ ღვთაებათა შესახებ“.¹ კ. კერენი, ანტიკური მითოლოგიის ერთ-ერთი უველაზე ღრმა და საინტერესო მკვლევარი, ჰელიადების – მზის ასულების მავალითაზე, ანტიკურ მითოლოგიაში სოლარულ სიმბოლიკას იკვლევს. ნაშრომის ერთი თავი მთლიანად კირკეს მითოსური სახის კვლევას ეძღვნება, ძირითადად სკანდინავიური მითოსური და ფოლკლორული მასალის შუქზე.

2. ჯ. იარნალის „კირკეს ტრანსფორმაციები. ერთი ჯადოქრის ისტორია“.² ჯ. იარნალის მონოგრაფიის პოპულარობა (იგი ორჯერ – 1944 და 1994 წლებში გამოიქცა), ალბათ, პირველ რიგში, მისმა თემატიკამ განაპირობა. ჯ. იარნალი კირკეს ამზის მითოსურ პლასტებს ანალოგიური მითოლოგიის კონტექსტში მიმოიხილავს, მაგრამ ავტორის განსაკუთრებული ინტერესის საგანს რენესანსის ეპოქასა და თანამედროვე დასავლეთევროპულ ლიტერატურაში მითის ჰომეროსისეული ვერსიის რემინისცენციები წარმოადგენს.

3. ზ. ჰეტერის „კირკე და ოფისევსი. გადმოწყობა და განმარტება ჰომეროსიდან კალდერონამდე“.³ ზ. ჰეტერი განსახილველად ჰომეროსისეულ სიუჟეტს ირჩევს და გვერდს უვლის გლავკოსისა და ჰიკუსის ამბებს. ავტორს აინტერესებს, თუ როგორ აისახა ჰომეროსის მიერ მოთხრობილი ამბავი ეკლესიის მამათა თეორიულ ნაშრომებში. გამოკვლევა უაღრესად საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ IV და V თავები მთლიანად ეთმობა კირკეს მითის რევივირების გაგრძელებას ესპანურ-რენოვან ლიტერატურაში. ეს საკითხი მანამდე თითქმის არ იყო გაშუქებული.

4. ს. ტოხტერმანის „ალეგორიულად განმარტებული კირკეს მითი“.⁴

ს. ტოხტერმანის მონოგრაფია ფილოსოფიურ ტრანქტატებსა და კომენ-

გადასახილველად

¹ K. Kerényi, 1944.

² J. Yarnall, 1994.

³ B. Paetz, 1970.

⁴ S. Tochtermann, 1992.

ჭარებში აღეგორიულად ინტერპრეტირებულ კირკეს მითს იკვლევს. მკვლევარი საოჯარი სკრუპულოზობით აშუქებს ავტორთა უაღრესად ფართო სპექტრს – ანტიკურობიდან გვიან შუა საუკუნეებამდე და რდილობს, კირკეს მითის ინტერპრეტირების მაგალითზე გვიჩვენოს პერმენევიკული მეთოდის განვითარების გზა.

როგორც ითქვას, კირკეს საკითხთან დაკავშირებული ასპექტები გა-
შუქებულია სხვადასხვა საწნობარო ლიტერატურასა და სპერიალოურ სა-
მეცნიერო პუბლიკაციებში. მათი რიხვი საკმაოდ დიდია და ისინი არა-
ერთხელ არის მოხმობილი და დამონმებული შემდგომი მსჯელობისას. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ინტერესს ძირითადად შემდეგი საკითხები აღძრავს:

- ა) კირკეს ეპიზოდის სტრუქტურული თავისებურებანი და პომის მთლიან კომპოზიციასთან მისი მიმართების საკითხი;¹
 - ბ) კირკეს და კალიფსოს ურთიერთმიმართების საკითხი;²
 - გ) აიანას იდენტიფიკაციისა და ლოკალიზაციის საკითხი;³
 - დ) ოფისევსის სეტილისა და არგონავტების ლაშქრობის ამბებთან კირკეს მითის მიმართების საკითხი;⁴
 - ე) კირკეს მითოსური ასპექტები;⁵
 - ვ) კირკეს მხატვრული სახე ზერძულ-რომაული ლიტერატურაში.⁶
- რაოდენ გასაკვირიერ არ უნდა იყოს, ქართული სამეცნიერო ლიტე-
რატურაში დღემდე არ არსებობს სპერიალოური მონოგრაფიული გა-
მოკვლევა, რომელიერ კირკეს მითოსურ ან ლიტერატურულ სახესთან დაკავშირებულ საკითხებს გააშუქებდა. გამოქვეყნებულია მხოლოდ რამდენიმე სტატია, სადაერ კირკესთან დაკავშირებული პრობლემატიკა განხილული. მათ შორის უნდა გამოიყოს:
- ა) მ. ჩიქოვანის „მოჭადოებელი ადამიანები „ოფისევსი“, „არგონავტების ლაშქრობასა“ და ქართული ზღაპრებში“;⁷
 - ბ) რ. წანავას „კირკეს მითოსური სახე და ქართული სამონადირეო ღვთაებები“.⁸



¹ B. Beck, 1965.
² F. Dirlmeier; 1970; E. Kaiser, 1964; K. Reinhardt, 1960; A. LeVan, 2002.
³ A. Lesky, 1966; K. Seeliger, 1890-1894; E. Bethe, 1921.
⁴ K. Meuli, 1921; A. Kirchoff, 1879.
⁵ D. Roessel, 1989; N. Marinatos, 1995; N. Μαρινάτου, 1999; M. Nagler, 1996.
⁶ Ch. Segal, 1968; E. S. Hatzantonis, 1971.
⁷ მ. ჩიქოვანი, 1971.
⁸ რ. წანავა, 1982.

გ) რ. გორდუზიანის „Ala в древнейших греческих источниках.“¹

კირკესთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ არაერთი საგულისხმო დაკვირვებაა გაფანტული რ. გორდუზიანის სხვადასხვა მონოგრაფიაში. მკვლევარს აიეტის დასთან დაკავშირებული საკითხები მიგრანტათა თეორიის თვალსაზრისით აინტერესებს.² გამოთქმულია ასევე გარკვეული თვალსაზრისი სახელის ეტიმოლოგიისა და არგონავტიკის უძველეს ვერსიებში კირკეს როლის შესახებ.³ ქართულ მყენიერებაში მეტ-ნაკლებად გაშუქებულია „მოლის“ საკითხი.⁴

არ შეიძლება, არ აღინიშნოს ა. ურუშაძის ფუნდამენტური ნაშრომი „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში“,⁵ ასევე, თ. ყაუხჩიშვილის „ბერძენი მწერლების წნობები საქართველოს შესახებ (პოლინიოსი, დიოდოროს სიცილიელი, დიონისიოს ჰალიკარნასელი).“⁶ მათში თავმოყრილია ნყაროებმა თარგმანითურთ საგრძნობლად გააადვილა მუშაობის პროცესი.

როგორც ვხედავთ, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მასალა საკმაოდ მწირია. რაზე შეეხება ურუშაძის გამოკვლევებს, მიუხედავად სიჭრელისა და მრავალფეროვნებისა, მათში მანერ შეიმჩნევა ერთგვარი ვაკუუმი. ნაკლებად არის გაანალიზებული მითის თავდაპირველი ვერსია. გარდა ამისა, მკვლევრები უფრო ხშირად რაჭომღარ კირკესა და ოფისევსის ამბავს განიხილავენ, მითის სხვა შრეები კი უურაღღებების მიღმა რჩება.

ამდენად, მიზანშეწონილი იქნებოდა კირკეს მითის ანალიზი და მის ფონზე კირკესთან დაკავშირებული ლიტერატურული სიუჟეტების გამოკვლევა.

უურაღღებებს უპირველესად შემდეგმა საკითხებმა მიიპყრო:

ა) კირკეს მითთან დაკავშირებული ისტორიულ-გეოგრაფიული კონტექსტების მიმოხილვა;

ბ) კირკეს სახელის ეტიმოლოგიური ანალიზი;

გ) კირკეს მითის პომეროსისეული ვერსიის საფუძველზე უძველეს მითოსური შრეების გამოვლენა;

დ) კირკეს სახის გადაზრება აპოლინიოს როდოსელის „არგონავტიკაში“;

გადასწავლილია

¹ P. Гордезиани, 1972.

² რ. გორდუზიანი, 1980; რ. გორდუზიანი, 1985.

³ რ. გორდუზიანი, 1985; 1999; P. Гордезиани, 1984.

⁴ გეორგიკა, 1970, 5-10; И. Гагуа, 1984, 65-68.

⁵ ა. ურუშაძე, 1964.

⁶ თ. ყაუხჩიშვილი, 1977.

ე) კირკე რომაულ ლიტერატურაში:

ვ) კირკეს მითი ანტიკურ კომენტარებსა და ტრაქტატებში.

კვლევისას ამოსავალი იყო ტექსტების დეტალური ანალიზი, ფორ-
მალურ-სემანტიკური და კონტექსტური ასპექტების გათვალისწინებით.
ვინაიდან მხატვრული თარგმანი უმეტესად ზუსტად ვერ მისდევს
ორიგინალს, ხშირ შემთხვევაში, ტექსტების ხელმოკრედ თარგმნა მო-
მიხდა. უმთავრესად ჩვენამდე სრულად მოღწეულ ტექსტებს, ძირი-
თადად კი ზერძულ-რომაულ ეპოსს ვყრდნობოდი.¹ თხრობის ეპიკური
ფორმა სიუჟეტის უფრო სრულად გაშლის საშუალებას იძლევა და,
ამდენად, მათში მოძიებული ინფორმაციაც უფრო სრულყოფილი იყო.
განსაკუთრებით ინფორმაციული „ოდისეა“ აღმოჩნდა, ამიტომ მას მეტი
ყურადღება დაეთმო, მით უმეტეს, რომ კირკეს სიუჟეტის დამუშავე-
რისას შემდგომი ლიტერატურული ტრადიცია, იშვიათი გამოჩვენების
გარდა, ძირითადად ჰომეროსს ეყრდნობა.

ამგვარად, წარმოდგენილი ტექსტი კირკეს ამბის კონტექსტებისა და
ქვეტექსტების გათვალისწინებით ნაკითხვის მრავლობას წარმოადგენს.
იმედია, ქართველური მასალის გათვალისწინებით ნაკითხული კირკეს
მითი კვლევას ახალი ასპექტებით გაამდიდრებს.

გაგზავნი

¹ ჩვენამდე უმნიშვნელო ფრაგმენტების სახით მოაღწია ესქილეს სატირულო დრა-
მამ „კირკე“. მის მიმოხილვას თავი შეგნებულად ავარიდე. თუმცა, თავისთავად ინ-
ფორმაციულ კი მისი არსებობის შესახებ უკვე მრავლისმთქმელია.

პირველი თავი

კირკე ისტორიულ-მითოლოგიურ კონტექსტში

▣ კირკეს მითი და ეპიკური ტრადიცია

კირკე, ზერძნული მითოლოგიის ერთ-ერთი უძველესი და პოპულარული პერსონაჟი, იმ იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს, რომელიც ერთდროულად ორ ძირითად რეკლს – არგონავტიკისა და ტროას რეკლს – უკავშირდება.

უძველესი წყარო, რომელიც კირკეს ამბავს მოგვითხრობს, ადრეზერძნული ეპოსია. „ოდისეაში“ იგი იმდენად ორგანულად არის ჩართული, რომ ჩნდება ეჭვი, ხომ არ არის თქმულია კირკეზე ზერძენ ადრეზ ფანტაზიის ნაყოფი. არც ის არის გამორიყბული, რომ არსებობდა თქმულიები, რომლებმაც ასაზრდოვა ზერძნული მითოლოგია.

ამ პრობლემის ერთმნიშვნელოვნად გადაჭრა შეუძლებელია მანამ, სანამ ადრეული წყაროებში კირკეზე არსებული ინფორმაციას არ მოვიძიებთ და არ გავარკვევთ, ხეობდება თუ არა მითის პომე-როსამდელი ვერსიის რეკონსტრუქცია, თუ ყველა წნობა ისევ და ისევ „ოდისეადან“ იღებს სათავეს.

თუმცა, თუ კირკეს თქმულიებას მხოლოდ ზერძენი ადრეების შემოქმედებად მივიჩნევთ, მაშინ მასში ისეთივე კანონზომიერება და სისტემურობა უნდა ვეძებოთ, როგორც ლმერთებისა და გმირების მითებში. კირკეს მითში კი, ხშირ შემთხვევაში, საკმაოდ კანონზომიერი ინფორმაციული ნაკლოვანება, ერთგვარი ინფორმაციული ვაკუუმი შემჩნევა, რასაც, რხადია, გარკვეული საფუძველი უნდა ჰქონდეს.

როგორც უკვე ითქვა, კირკე სრულყოფილად ორ სიუჟეტურ ბლოკში ფიგურირებს – საკმაოდ სრულად „ოდისეაში“ და შედარებით ფერმკრთალად „არგონავტიკაში“. რაც შეეხება ადრეული ზერძნული ეპოსს, კირკე გვხვდება კიკლიკურ ეპოსსა და „თეოგონიაში“. ჰესიოდესთან გვაქვს რალკეული ფრაგმენტული მინიშნებები იმის შესახებ, თუ როგორ გადაიყვანა მამამისმა კირკე დასავლეთში, მაგრამ არ არის მოტივირებული დასავლეთში გადასვლის აუცილებლობა. ზერძენი ეპიკოსები, ერთი მხრივ, დანვრილებით მიგვითხრობენ კირკეს ოდისევსთან თუ არგონავტიკთან შეხვედრის ამბებს. სხვა მხრივ, არ გვაჩნია წნობები იმის შესახებ, თუ რა მოხდა ოდისევსსა და არგონავტიკთან კირკეს განშორების შემდეგ ან მანამდე.

„არგონავტიკა“, ისევე როგორც „ოდისეა“, იწნობს კირკეს ოდინდელი ადგილსამყოფელს აღმოსავლეთში, მაგრამ ზერძნული მითოლოგიური

ჭრადიერა ორივე შემთხვევაში თავს არიდებს აიეჭის დის აღმოსავლეთში წხოვრების ამსახველ ამზავთა გადმოყრემას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ არ ჩავთვლით „ღაბრუნებებში“ მოთხრობილ ამბებს, გამოტოვებულია ინფორმაცია, რომელიც არც ოდისეცხის ხეტილოთან არის დაკავშირებული და არც არგონავტების დაბრუნებასთან.

ამუშავებენ რა კირკეს ამზავს, ძველი ბერძენი მწერლები ერთგვარად ტენდენციურნი არიან. ისინი ყურადღებას ბერძნული სიუჟეტების მხატვრული დამუშავებისთვის აუწრებელ მომენტებზე ამახვილებენ, ყოველგვარ სხვა ინფორმაციას კი, რომელსაც უყვავლოდ უნდა ეარსება, უგულვებლყოფენ.

როდის უნდა შემოეღწიათ თქმულბებს კირკეზე საბერძენეთში? რხადია, **terminus ante quem** ჰომეროსის ეპოქაა, მაგრამ გარელებით რთულია გადაჭრით იმის მტკიცება, სწილდება თუ არა **terminus post quem** გეომეტრიული თუ ბნელი ნლების ეპოქას და ადის თუ არა მიკენურ ხანამდე.

პირველად ჰესიოდე, და შემდეგ არაერთი გვიანდელი ავტორი, გვანვდის ფრამემტული წნობებს კირკეს შთამომავლების შესახებ, რომლებიც მთლიანად დასავლეთმედიტერანული სამყაროს უკავშირდებან. მაგრამ წნობები ამ შემთხვევაშიერ ნაკლულია – ანტიკური ჭრადიერა, თითქოსდა ვალის მოხდის მიზნით, მხოლოდ აფიქსირებს მათ ჩამომავლობას და მითოლოგიური თვალსაზრისით არსებით ინფორმაციას არ გვანვდის.

ყურადღებას იქრევს სახელის ეტიმოლოგიარ, რომელიც, როგორც ჩანს, არაბერძნულია და მნიშვნელოვან მიმარებებს გვიჩვენებს ქართველურ გარემოსთან.¹

კირკეზე არსებული ლიტერატურული მასალის ანალიზი უჩვენებს, რომ იგი ყოველთვის არ ემთხვევა ჰომეროსის ვერსიას, რარ გვაფიქრებინებს, რომ ეს სახე ჰომეროსამდელო ჭრადიერაშიერ წნობილი უნდა ყოფილიყო.

მიუხედავად იმისა, რომ კირკე პირველად „ოდისეაში“ გამოჩნდება, ეს სულარ არ არის საკმარისი არგუმენტი იმის დასაშვებად, რომ ბერძნული ჭრადიერაში მას მხოლოდ „ილიადას“ შემდეგომ ეპოქაში უნდა შემოეღწია. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა შემდეგი ფაქტორები:

1. „ოდისეაში“ კირკე დაკავშირებულია კონკრეტული მითოლოგიურ სისტემასთან და ეს ეპიზოდი ჰომეროსის ორგანული ნაწილს წარმოადგენს:

ღაბრუნებებში

¹ ამასთან დაკავშირებით დანვრილებით იქნება საუბარი ნაშრომის მეორე თავში.

2. ჰომეროსისგან განსხვავებული ინფორმაციას გვანვლის უკვე ჰესიოდე.

3. ძვ.წ. აღ–ის VI ს–დან მოყოლებული, მითის განსხვავებული ვერსიას გვთავაზობს იკონოგრაფია. თუკი „ოფისეას“ მიხედვით, ოფისევსის თანამგზავრები მხოლოდ ლორებად გადაიქცევიან, ანტიკურ ვაზემზე გამოსახულნი არიან სხვადასხვა რხოველოდ (ვირად, ხარად, რხვრად და სხვ.) გარდასახული ადამიანები.¹ ამის გამო ზოგიერთი მკვლევარი გამოთქვამს ვარაუდს, რომ ჩვენთვის „ოფისეას“ მიხედვით წნობილი მითის ვერსია ერთადერთი არ უნდა ყოფილიყო. უნდა ეარსება ადრეულ თქმულებას.² ფიქრობენ, რომ მინიშნება ამაზე რუფიმენტის სახით შემორჩენილია პოემის იმ ეპიზოდში, სადაც ქალღმერთის მიერ ლომებად და მგლებად გადაქრეული ადამიანები არიან აღწერილნი.

როგორც ჩანს, კირკეს მითი პოპულარული იყო უკვე ძვ.წ. აღ–ის VIII ს–მდე. მაგრამ არა როგორც დამოუკიდებელი ინფორმაციული ოდენობა, არამედ როგორც სხვა დიდ რეკლებთან დაკავშირებული მითოსური სიუჟეტების ერთობლიობა.

იმისათვის, რომ უფრო ნათელი გახდეს, თუ როგორი უნდა ყოფილიყო კირკეს შესახებ უძველესი მითოსური ინფორმაცია ჰომეროსამდე, მიზანშეწონილი იქნებოდა მითის იმ ვერსიის აღდგენა, რომელიც ასაზრდოებდა არქაულ ბერძნულ ეპიკურ ტრადიციას. ეს შესაძლებელს გახდის, დაახლოებით მაინც განვსაზღვროთ მისი ეპიკურ ტრადიციამში შემოსვლის პერიოდი. ამისათვის, პირველ რიგში, შემდეგი საკითხები უნდა გავიკვლით:

- 1. ვინ არის კირკე: რა ფუნქციას ასრულებს იგი ბერძნულ მითოსურ თუ ლიტერატურულ ტრადიციებში; როგორ შეიძლება განისაზღვროს მისი „სტატუსი“;
- 2. თუ კირკე ქალღმერთია, არსებობდა თუ არა მისი კულტი და კულტმსახურება;
- 3. არის თუ არა კირკე ბერძნული წარმომავლობის ღვთაება და სად უნდა ვეძებოთ მისი ძირები;
- 4. სად შეიძლება მისი ლოკალიზება ისტორიული რეალიების გათვალისწინებით;
- 5. რომელ გენეალოგიურ ნუსხებთან არის იგი დაკავშირებული: ვინ იყვნენ მისი წინაპრები და შთამომავლები.

გადაწყვეტილია

¹ იხ. F. Canciani. LIMC VI, 55-59.

² E. Bethe, 1921, 502.

☒ „ადამიანურად მოუბარი საშიში ღმერთი“
(კირკე ეპითეტების კონტექსტში)



ჰომეროსის ეპოქაში მითოპოეტურ მსოფლალქმას თანდათან აზროვნების კრიტიკულ-ანალიტიკური პრინციპი იწყებს. ეს პროცესი ტრადიციული მითოსური სახეების შემდგომ განვითარებაზე არის აისახება. თანდათან ხდება მათი დესაკრალიზაცია. რხადია, გამონაკლისს არც კირკე ნარმოადგენს. სხვადასხვა ავტორი მას განსხვავებული, ხშირად ურთიერთგამომრიცხავი ეპითეტით მოიხსენიებს და ეს ეპითეტები, ალბათ, ყველაზე რხადად ასახავენ ამ სახის დემითოლოგიზაციას და „დეკლავაციის“ პროცესს ქალღმერთიდან ჯერ ჯადოქრად, შემდეგ კი უბრალოდ ქურუმად.¹

კირკეს არაერთი ეპითეტი აქვს უკვე „ოფისეაში.“ იგი მოიხსენიება როგორც ქალღმერთთა შორის ღვთაებრივი (δία θεάων μ.20, 36, 155, 143, 400, 455, 487, 503), საპირისპიროდ ჰენელოპესი, რომელიც მოკვდავთა შორის ღვთაებრივია (δία γυναικῶν): სიხშირით მეორე ადგილზეა ეპიკლესა — ადამიანურად მოუბარი საშიში ქალღმერთი (δεινὴ θεὸς ἀνδρῶν σα κ136, λ8, μ150); სამჯერ არის ნახსენები როგორც მეუფე, მზრძანებელი (πότις θ448, κ394, 549)² და თითო-თითოჯერ როგორც უკვდავი (ἀθάνατη μ302), ჯადოქარი (πολυφάρμακος κ276, სიტყვასიტყვით, მრავალშალახისანი, რაც შალახების წოდებასა და მყენარეებით მჩხინავობას გულისხმობს) და ნიფთა (νύμφη κ543).³

ამ ეპითეტთაგან თითოეულის ანალიზი, ალბათ, მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთების საშუალებას მოგვცემდა. ავირჩიოთ მათგან ყველაზე ინფორმატიული — „ადამიანურად მოუბარი ძრწოლისმომგვრელი ღმერთი“.

როდესაც ზევსი ჰეფესტოს წყლისა და მინისგან ქმნილებას გამოძერწვას უბრძანებს, მას სურს, რომ ამ ქმნილებას „ადამიანის ხმა“ (ἀνθρώπου ἀνδρῶν) ჰქონდეს და სანამ ჰეფესტოს ქმნილებას პანდორას სახელი მიენიჭება, ჰერმესი მას უკანასკნელ საჩუქარს — ხმას (φῶσιν) უბოძებს.

ღვთაების სახეების სია

¹ ფაქტობრივად, ქურუმის როლს ასრულებს კირკე „არგონავტიკაში“. კირკეს, როგორც ჰელიოსისა და სელინეს ქურუმის შესახებ იხ. Ioh. Antioch. fr. 24.
² იხმარება როგორც უკვდავთა, ასევე მოკვდავთა მიმართ. ფიქრობენ, რომ ამ შემთხვევაში ზუნების ძალებზე კირკეს ზატონობა უნდა იყოს მხედველობაში.
³ შფრ. κ543-544 და ε230-231: ἀπὴν δ' ἀγρῶν φεῖν φῶρος μέγα ἔλυτο νύμφη, λεπτὸν καὶ χαρίειν, περὶ δὲ ζῶσιν βάλει· ἰξῆνι. X სიმღერის 543 სტრიქონი ზუსტად იმეორებს V სიმღერის 230 სტრიქონს, რომელშიც νύμφη კალიფსოს მიმართაა ნახმარი. ზოგადად კირკესთან დაკავშირებული ეპითეტების შესახებ იხ. C. F. H. Bruchmann. 1893.

ჰომეროსის ლმერთები მრავალმხრივ მონანდლოებენ ადამიანთა ქოვრებაში და ამისათვის ადამიანური გარეგნობით (δέμας) და ხმით (აὐδή) ინიღბებიან.¹ მაგალითად, ათენასთან დაკავშირებით „ოფისებაში“ ფორმულა μέντορι εἰδομένη ἦμὲν δέμας ἠδὲ καὶ αὐδῆν სუთქერ გვხვდება.²

ინტერესს ამჯერად ფორმულის მეორე ნაწილი – აუდი, ანუ ხმა ინიღებს, რადგან αὐδήεσσα კირკეს ერთ-ერთი ურველელი ეპითეტი.³

ტერმინი მომდინარეობს ომნიდან αὐδήα, რომელიც აღნიშნავს ეპოსში ყველაზე გავრცელებულია საყბრისა და ხმის გამოყენის აღსანიშნავად. ბერძნული ენაში ხმის აღნიშვნელი მრავალი სხვა სიტყვარ არსებობს, მაგალითად, ὄπα, φθγγ, ὄσσα, ὄμφ. მაგან აუდი-ს გამოყენა და მისი ფუნქცია მნიშვნელობის დადგენა თიქტის შეუძლებელია. მიუხედავად ნაწილი ვარაუდობს, რომ ჰომეროსთან ფიარ-ს და აუდი-ს შორის, სემანტიკის თვალსაზრისით, არსებითი სხვაობა არ არის.⁴ სხვანი რწილობენ, შედეგდარად განასხვავონ ფიარ და აუდი: ფიარ – სიტყვათა თანმიმდევრობა (Wahl der Worte), აუდი – ულერადობა.⁵ ოგორი-ერთი ფიარ-ს განიხილავს როგორც ოგადად ხმას (voice in general), აუდი კი, მათი აზრით, უბირველეს ყოვლისა, ადამიანის ხმას და მტყველებს აღნიშნავს.⁶



ლექსიკოგრაფიებში, უხვ ტექსტუალურ მასალაზე დაყრდნობით, აუდი-ს „მოკვდავთა საყბრის“ აღნიშვნელად მიიჩნევენ. ვალენოსი წერს: „ბველები აუდი-ს არ უნოდებდენ ყველაფერს, რარ სმენით აღიქმება, არც მხოლოდ იმას, რარ ზაგეთაგან ნარმოიქმის... არამედ მხოლოდ ადამიანის ხმას, რომლის მეშვეობითარ ერთ-მანეთს ვესაყბრებთ.“⁷



¹ H. Rose, 1956, 65.
² β268; β401; ξ206; ω503; ω548. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს ფორმულა არც ერთხელ არ გვხვდება „ილიადაში“.
³ ეს სტანდარტული ეპიკური ფორმულა-ეპითეტი ჰომეროსში კალიფსოს მიმართარ იხმარება. κ136; λ8; μ150; μ449.
⁴ A. Bartoněk, 1959, 67-76.
⁵ W. Porzig, 1942, 56.
⁶ J. Clay, 1974, 131.
⁷ SVF II, 144: ...αὐδῆν δὲ οὔτε πάν τὸ τῆς ἀκοῆς ἴδιον αἰσθητὸν οἱ παλαιοὶ ἐκάου, οὔτε ἐκέينو μόνον, ὁ διὰ στόματος ἐκπέμπεται, ἐν ᾧ περιέχεται καὶ τὸ κλάειν καὶ τὸ σπυρίτειν καὶ οἰμῶζειν καὶ βήττειν καὶ ὅσα τοιαῦτα, μόνον δὲ τῆν ἀνθρώπου φωνῆν, καθ' ἣν διαλεγόμεθα πρὸς ἀλλήλους, αὐδῆν ὠνόμαζον.
 ჰირა, როდესარ ქსანთოსს აუდიერთა-დ აქრებს, მას უბრალოდ ხმას კი არ უბობებს.

ფორმულა „აღამიანურად მოუბარი ღმერთი“ კომენტატორებში ერთგვარ დაზნეულობას იწვევდა. ისინი წდილობდნენ აბდიεσσα ნაკობათ როგორც ობდიεσσα (terrestrial/ მიწის) ან აბდიεσσα (ანუ ფლევიტი აკომპანირებული).¹

ტ. კლეის დაკვირვებით, აბდი ჰომეროსთან უოველოვარი დაზუსტების გარეშე იხმარება და ადამიანთა ხმასა და საუბარს აღნიშნავს.²

„ოფისეას“ მიხედვით, მას შემდეგ, რაც მენტორის რჩევას მიიღებს, ტელემახოსი აწნობიერებს, რომ ღმერთს ესაუბრა (β297). Θεοῖ ἐκλυει ἀβδιῖν – ეს ფრაზა აღნიშნავს არა „ღვთაებრივ ხმას“, არამედ „ღმერთის ადამიანურ ხმას“.³

თუკი არსებობს „ადამიანის ხმის“ აღნიშვნელი, უნდა ვივარაუდოთ, რომ ენაში „ღვთაებრივი ხმის“ აღნიშნადაც სპერიალოური ტერმინი არსებობდა. როგორც ჩანს, ამ ფუნქციას ასრულებდა ὄπα, რომელიც ეპოსში ირრბ ზრუნვებში გვხვდება,⁴ ღვთაებასთან მიმართებით იხმარება და აღნიშნავს ხმის ხარისხს ან ტემბრს, განსაკუთრებით წმინდა, სუფთა, კამკამა ან კიდევ ძალიან მალაღ, გამკივან ხმას. ὄπα აქვთ კირკესა და კალიფსოს, აგრეთვე მუზეუს, როფესაყ მღერთან, ჰეკანეს, როფესაყ ჰექტორის გვამს დასტირის.⁵ ამგვარი ვოკალური მონაწერი შესაძლოა ბფის მოკვდავთავის ღმერთების ამოწნობას.

ამდენად, „აღამიანურად მოუბარი“ (აბდიεσσα) შეიძლება გულისხმობდეს:⁶

1. ადამიანის ხმით მოუბარს;
2. ადამიანურ ენაზე მოუბარს. როგორც წნობილია, უკვდავთა ენაყ არსებობს. „ილიადაში“ და „ოფისეაში“ შემოგვინახა ღმერთთა ენიდან ექვსი სიტყვა: ზრიარე, მირინე, ქალოკისი, ქსანთოსი, ჰლიანქტეი და მოლი.⁷ თუმყა, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანთა ენაზე სხვა ღმერთ-

ღმერთები არსებობს

არამედ ადამიანებით საუბრის უნარს (T407).

¹ ამის შესახებ იხ. F. Dirlmeier, 1970, 80.

² თუმყა არსებობს იშვიათი გამონაკლისი. ჰ-ჯერ მომღერლოები და ჰეროლოფები არიან ნახსენები როგორც θεοῖς (θεῶ) ἐναλίγκιος აბდიῖν (T250, ა371, 14). ეს არნიშნავს, რომ ისინი ღვთაებრივ ენას ფლობენ, არამედ მხოლოდ იმას, რომ მათი ხმა ზეადადამიანურად ძლიერი და მშვენიერია. იხ. J. Glay, 1974, 129.

³ Θεοῖς აბდიῖν-ს კონტექსტებისათვის იხ. J. Glay, 1974, 134-135.

⁴ A. Severyns, 1966, 38-40.

⁵ ι221; ε61; μ52; Α604; Γ221; Ξ451.

⁶ ფ. დირლმაიერის აზრით, ეს სამივე ქალღმერთი (ივ. კირკე, კალიფსო და ინოლეკოთეა) ნინაჰომეროსული წარმომავლობისაა, მაგრამ ზერძულად საუბრობენ, რასაყ ჰოეტი მეღს აბდიεσσα-თი გამოხატავს. იხ. F. Dirlmeier, 1970, 80.

⁷ შფრ. ὄν Βριάρεων καλέουσι θεοί, ἄνδρες δέ πάντες/Αἰγαίωι' (A403-404). τὴν ἦ τοι

განსახილველად აღებული ფორმულის მიხედვით, „ადამიანურად მო-
უბარი“ კირკე δεινῆ-ა, რაჲ შეიძლება ითარგმნოს როგორც საშინელი,
საზარელი, ძრწოლისმომგვრელი. თუმცა, ასევე შესაძლებელია, ნავი-
კითხით ის, როგორც „ძლივამოსილი“. როგორც მკვლევრები აღნიშნავენ,
სრულიად ზუნებრივია, „ძლივამოსილად“ მოიხსენიებდეს ქალღმერთს მო-
კვდავი, რომელიც მის წინაშე თავის უძლიურებას გრძნობს.¹

ამგვარად, კირკე ადამიანთათვის გასაგებად, მომნუსხველად მოუ-
ბარი, ძლივამოსილი ღმერთია – ზეὺს-ია, როგორც ამას ფორმულის
მეორე ნაწილი გვაუწყებს. თუმცა შესიტყვებაში δεινῆ ἕως ἀνδρείου
ყურადღებებს იქცევს არა მხოლოდ სემანტიკა, არამედ ფორმალური
მხარეც. ფორმალურად ზეὺს მამრობითი სქესის სიტყვაა, რომელიც
მდედრობითი სქესის ზედსართავთა კონტექსტშია ნახმარი.

ზეὺს ძველბერძნულად ღმერთს ნიშნავს, ხოლო ქალღმერთის
აღსანიშნად ენაში ორგვარი ლევიტიმური ხერხი არსებობს:

1. გამოვიყნოთ ზეὺს-ის მდედრობითი სქესის ფორმა – ზეῦ:
2. გამოვიყნოთ მორფოლოგიური თვალსაზრისით მამრობითი სქესის
სიტყვა ზეὺს და დავუერთოთ მას მდედრობითი სქესის არტიკლი ἠ, ან
ვისმართოთ შესაბამის კონტექსტში.

ჰომეროსთან ზეὺს ამზიგენდერული სიტყვაა. სხვაგვარად რომ
ვთქვათ, იგი იხმარება როგორც მდედრი, ასევე მამრი ღვთაებების
მიმართ. თუმცა, ჰომეროსის პოემაში მის პარალელურად მდედრობითი
სქესის ზეῦ-საჲ ვხვდებით.

„ოდისეაში“ კირკე ხან ზეὺს-ია, ხანაჲ ზეῦ (κ311, 343). როგორც ჩანს,
ეს ტერმინები უკვე ჰომეროსთანვე უნდა იმიჯნებოდეს რაღაც ნიშნის
მიხედვით. μήτε τις οὔθ' ἠΐα ἕως τὸ γε μήτε τις ἄρσιν/πειράτω διακέρσαι
ἔμην' ἔπος – ვკითხულობთ „ილიადაში“.²

ზეὺს-ში მარკირებული შინაარსი, უპირველეს ყოვლისა, „ღმერთია“.



Verg. Aen. VII, 15-18.

¹ F. Dirlmeier, 1970, 79: "...daß δεινός vielleicht gar nicht "schrecklich, furchtbar, fur-
chterregend" bedeute, sondern "gewaltig" und somit nur eine Verneigung des
Sterblichen vor der überlegenen Gottheit meine." ფ. დირლმაიერისვე დაკვირვებით,
არ არის აუცილებელი კირკეს სხვა ეპითეტს – δολόεσσα – ჰქონდეს ნევატიური და-
ტვირთვა. ის შეიძლება აღნიშნავდეს წბიერსა და ხრიკების მომფიქრებელს, ოღონდაჲ
ქალურ ხრიკებს გულისხმობდეს, რომლებითაჲ იგი მოკვდავებს ატყვევებს. ეს
ზედსართავი მხოლოდ „ოდისეაში“ გვხვდება. შდრ. 11245, 11281, 1132.

² 7-8: ნურც მდედრი ღმერთი, ნურც მამრი ნუ შეერდება ჩემი ნათქვამის უგულუ-
ბელყოფას. შდრ. Hdt.2,35.

ეს „ღმერთობის“ ზოგადი იდეის გამოხატველი წებება¹ და მასში არ არის დიფერენცირებული სქესი იმდენად, რამდენადაც იგი როგორც „მღვდრობითობის“, ასევე „მამრობითობის“ იდეის პოტენციური მატარებელია თავის თავში. მაგალითად, არსებობს ვარაუდი, რომ წარმოდგენათა უძველეს ეტაპზე ჰერმეფროდიტი ჰერმესისა და აფროდიტეს პირში კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ ღმერთი, რომელიც ხან აფროდიტეს, ხანაჲ ჰერმესის სახით ქებადებოდა: „მამაკაცთათვის ჰერმესი ვარ, ქალებს კი აფროდიტედ ვერხადები“.²

სხვაგვარად რომ ვთქვათ, მცდარ-ობა ერთდროულად ქალღმერთობასაჲ ნიშნავს და ღმერთობასაჲ. მღვდრობითი არტიკლის (ან ზედსართავის მღვდრობითი ფორმის) ღართვით იგი სხვა დამატებით ნიუანსსაჲ იძენს – ხდება სქესისადმი მიკუთვნებულობის აღნიშვნა, ანუ იმ მცდარ-ობაჲ ერთდროულად მღვდრობითობისა და მამრობითობის ნიშნით აღმუშავებული ღვთაებრივი არსება.

„იმი ნამს, როგორც კი ვიხილე, ქალღმერთო (მეა), მივხვდი, რომ ღმერთი (მეც) იყავი“ – მიმართავს ანტიზესი აფროდიტეს ჰომეროსის ერთ ჰიმნიში.³

ქალღმერთი კირკერ ერთდროულად ატარებს მღვდრობითობის და მამრობითობის ნიშნებს და ამ შემთხვევაში, იგი იმავე ტიპის ღვთაებად გვევლინება, როგორებიც იყვნენ ნვეროსანი აფროდიტე-აფროდიტოსი, ქაჩალი ვენუსი, ზევსი ექვსი ძუძუთი და სხვანი.⁴ ეს ანდროგინული ღვთაებაა.⁵

ამდენად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წარმოდგენათა უძველეს ეტაპზე კირკე ანდროგინი ღმერთია. ხმა, რომელსაჲ იგი გამოსრქმის

¹ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ ტიპის ამზიგენდერულ სიკუცათა რაოდენობა ბერძნულში არაჲ დიდია. ესენი უმეტესად ქხოველთა დასახელებებია და ძირითადად ზოგად გვარს აღნიშნავს. იხ. П. Шантрен, 1953, 20.

² Anthologia Graeca et Fidem Codices. რეტირებულია ჯ. კემპბელის მიხედვით. იხ. Дж. Кэмпбелл, 1997, 116, 310, შენ. 88.

³ HNA, 185-186. გენდერულ პრობლემასთან დაკავშირებით შდრ. P. Schmitt Pantel, 1994, 15: "Does the divine take precedence over the feminine in a goddess? This question, although not explicitly, was recently answered in the negative in a study of the Homeric poems, in which it was alleged that the dazzled desire of male gods and mortals always takes as its object "women", whether divine or mortal".

⁴ იხ. რ. წანავა, 1998, 104-114 Л. М. Акимова, А. Г. Киришин, 2000, 204 შმფ.

⁵ ანტიკურობაში ანდროგინული ღვთაებებთან დაკავშირებით იხ. Ch. Moreschini, 2000, 283-288 და იქვე დასახელებული ვრცელი ბიბლიოგრაფია.

ეპიზოდი, ამ თვალსაზრისით, გამონაკლისს უნდა წარმოადგენდეს.¹ კირკეს მოქმედება ამ შემთხვევაში მოტივირებულია – უპირველეს ყოვლისა, იგი ემორჩილება ჰიკესიოს-ზევის ნებას და ინდოშს მეფეას როგორც მავფრეშელს, მაგრამ ასევე – როგორც ნათესავს.²

„ოდისეაში“ ზნეობრივი კატეგორიებით – დადებითი/უარყოფითი – კირკეს საქმიანობის შეფასება ვერ მოხერხდება. იგი ჯერ ლორებდა აქრევს ოფისევსის თანამგზავრებს, მაგრამ შემდეგ თავადვე ასწავლის ზერძებს უკან დასაბრუნებელ გზას.³ კირკეს მიერ ადამიანების გარდასახვა ეპოსში არ არის მოტივირებული, რა სრულიად ზუნებრივია იმდენად ძველი ავტორისთვის, როგორც ჰომეროსისა. ეს კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, თუ რაოდენ ახლოს დგას იგი მითან, რომლისთვისაც დამახასიათებელია სინკრეტიზმი და ამბივალენტურობა და ურხობა ზნეობრივი კატეგორიები.

მაგია და მაგიური ქმედებები მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ყველა პრიმიტიულ ხალხსა თუ არქაულ კულტურებში. ამიტომ ვერ ვიტყვით, რომ არ არსებობდა ძველ საბერძნეთში.⁴



ღმრთაობის მიხედვით

¹ შდრ. Apoll. Rhod. IV, 685-750. კირკე დადებით როლს ასრულებს კიდევ ერთ შემთხვევაში – აპოლოდორეს წნობის მიხედვით, კირკეს ზალახით განიკურნება მინოსი (შდრ. Apollod. Bibl. III, XV, 1). შეიძლება ეს წნობა უაღრესად საგულისხმო აღმოჩნდეს, თუკი გავითვალისწინებთ კირკეს ნათესაურ კავშირს პასიფათთან.

² შდრ. Apoll. Rhod. IV, 743-44.

³ შდრ. κ229-244; μ1-141; Ov. met. XIV, 250-305.

⁴ შდრ. C. Zinten, 1979, 1463; M.P. Nilsson, 1992, 52. იმის შესახებ, თუ რამდენად ორგანული უნდა ყოფილიყო ზერძული მითოლოგიისთვის ჯადოქრის სახე და საერთოდ ჯადოქრობა, სამეურნეო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. მაგალითად, მ. ნილსონი, არქეოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით, აკრიტიკებს წარმოდგენას, თითქოს კლასიკური ეპოსის საბერძნეთი თავისუფალი იყო ქრურნებებისა და ჯადოსნობის რწმენისაგან (M. Nilsson, 1992, 795-804). არსებობს საპირისპირო პოზიციები: „ჯადოქარი რწმუნებული ადგილის იკავებს ყველა ადრეულ კულტურაში ღვთაებრივთან თავისი კავშირის გამო...თუმცა ზერძებთან მას თავისი კუთვნილი ადგილი არ გააჩნია. თუ არა აპოლონი, მანტიკის ღმერთი, რომელიც ანტიკური წარმოდგენით ჯადოქრობასთან მჭიდრო კავშირშია, არაფერია ამგვარი ნიშნით აღბეჭდილი.“ (C. Zinten, 1979, 1463). საგულისხმოა ლოსევის დაკვირვება: "Действительно, уже в Илиаде магия на самом последнем месте, и если из "Одиссеи" известна волшебница Кирка, то, во-первых, это уже есть стилизация под древнюю магию, а во-вторых, тут подчёркивается именно негреческое (египетское) происхождение."

ყურადღებებს იქნევს ის გარემოება, რომ კირკესა და მისი ძმისწულის – მეფეას გარდა, რომლებიერ ყველა დროის უფიფეს ჭადოქრებად არიან მიჩნეულინი, აპოლოდოროსის ერთი წროზის მიხედვით, ჭადოქრობაში დახელოვნებული ყოფილა კირკეს ღვიძლი და – ჰასიფაერ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გროძეულებმაში დახელოვნებულინი არიან ჰელიადები.¹

Πασιφάη γάρ, ἐπειδὴ πολλὰς Μίνως συνησάξετο γυμναξίαι, ἐφαρμάκευσεν αὐτὸν καὶ ὅποτε ἄλλη συνησάξετο εἰς τὰ ἄρθρα ἐφίει θηρία, καὶ οὕτως ἀπάλλυστο.²

მ. ელიადე არქაული ექსტაზის ტექნიკის შესახებ ფუნდამენტური გამოკვლევაში მოიხივებს ისეთი წებების მკვეთრად გამიჯვნას, როგორიყა ნამლითმიხიბავი, მაგი, ჭადოქარი, შამანი, რასაერ ეთნოლოგები ხშირად ვერ ახერხებენ.³ მ. ნილსონი იშველიებს პ. რადინის ფეფინიყას „the religious formulators“ და აღნიშნავს, რომ, ჩვეულებრივ, ისინი სხვადასხვაგვარად ინოდებოდნენ: ინდიელებსა და შავკანიანებთან – ექიმანაშებად, არქტიკელ ხალებში – შამანებად ან კიდევ ჭადოქრებად

გაფიქრებულად

ნие волшебных трав". (А. Посев, 1953, 45-46. ამ თვალსაზრისის იზიარებს აგრეთვე С. Zinten, 1979, 1468). კლასიკურ საბერძნეთში მაგიური პრაქტიკის შესახებ იხ. S.I. Johnston, 1999, 16-21. იხ. აგრეთვე А. Corso, 1999, 22-28 და აქ დასახელებული ლიტრა.

¹ თავისებურ ინტერპრეტაციას უკეთებს ჰელიადების მაგიურ უნარს კ. კერენი: „სიყვარული, რომელსაერ ყოველივეს გარდაქმნა შეუძლია, ღვთაებრივ პირველჭადოქრებად (Urzauberin) ნარმოვიდგება... მასთან მიმართებაში სხვაგვარი ჭადოქრობა, მთელი მაგია, მეორადია. ამ თვალსაზრისით, პირველჭადოქარი აფროდიტე უნდა ყოფილიყო. ბერძნულ მითოლოგიაში კი პირველჭადოქრები მზის შთამომავლები არიან – კირკე და მეფეა... „კირკეს სიმღერის“ თანამედროვე მკითხველს, ბოროტი ჭადოქრის მოყვარულ ქალად გარდაქმნა, ალბათ, დიდ სიძნელეს უქმნის. მაგრამ აქ ხომ საუბარია არა ქალოზე, არა სულიერზე, არა ჩვეულებრივ ადამიანზე, არამედ პირველჭადოქარზე. იგი იმგვარადაა შექმნილი, რომ თუკი მის ჭადოსნურ წრეს გადაბიჯებენ, მისი აფროდიტული პირველარისი მას, ვინერ ხელშეუხებელია. მაშინვე თავის მარწყებში აქნევს. არსებითი შემოსაზღვრულობა, რომლის შიგნითაერ ჭადოსნური ძალოაფლდება თავის განსაკუთრებულ მაგიურ სამყაროს ქმნის, ერთდროულად ნაგულისხმეია კირკეს სასახლესა და სახელში.“ K. Kerényi, 1944, 77-78.

² შღრ. Apollod. Bibl. III, XV, 1: ჰასიფაემ კი, მას შემდეგ, რაერ მინოსმა მრავალ ქალოთან გაიზიარა სარეწელი, ჭადონამალი გაუკეთა მას და როჭ იგი ქალოთან იყო, მიუსევდა მათ სხეულის ნანილეზზე მუშოს [იგულისხმება წვრილოფეხა წხოველები] და ამგვარად ღუპავდა.

³ М. Элиаде, 1998, 17.

და ქურუმებდა.¹ კვლევა უშედეგო იქნება, თუკი ეს წნებები ერთმანეთისგან არ გაიმიჯნება.² ამიტომ, ყურადღება უნდა მიექცეს, თუ რა ტიპის ჭადოქრობაზეა საუბარი კირკეს შემთხვევაში.

სვიფას განმარტებით, „კირკე ნამლოების შემზავებელია“ (Κιρκη: ἡ κίρινωσα τὰ φάρμακα). ჰომეროსიდან მოყოლებული, πολυφάρμακος (κ276) მისი ერთ-ერთი ურველი ეპიკოსაა. ჰეკატეს მსგავსად, ამ შემთხვევაში ჭადონალობის გამოჩინება და შემზავების უნარზე – ზალახით მჩხინავობაზეა საუბარი.

ტექსტის ანალიზი კირკეს გრძელულებასთან დაკავშირებით მრავალი სხვა ნიუანსის გამოვლენის საშუალებასავე იძლევა.

კუნძულის ზინადარი გარეული მხერების შესახებ ვკითხულობთ: τὸὺς αὐτὴν κατέειλεν, ἐπεὶ κακὰ φάρμακ' ἔδωκεν (κ213).³

(κατα-)θῆλγειν აღნიშნავს მაგიურ მოქმედებას, რომელიც ნორმალური აზროვნებისა და წონიერების გარდაქმნას, მონუსხვას იწვევს.⁴ საინტერესოა, რა კონტექსტებში იხმარება ეს ზმნა ძველბერძნულ ეპოსში.

ჰომეროსთან ამგვარი მომნუსხველი უნარის მქონე შეიძლება იყოს:

☒ სიყვარული (α56-57; γ264);

☒ სიმღერა (μ40-44);

☒ თბრობა-მეცხველება (ξ387; ρ514).

ამგვარი მაგიური ზემოქმედების მოხდენა კი შეუძლია:

☒ მაგიურ კვერთხს;

☒ ჭადონალობს;

☒ ხმას.⁵

კვლევის შედეგები

¹ M. P. Nilsson, 1992, 54; შფრ. აგრეთვე C. Zinten, 1979, 1460.

² M. Элиаде, 1998, 17.

³ κ213: ისინი მან მონუსხა, მისეა რა მავნე ზაღახები... შფრ. κ291: ἀλλ' οὐδ' ὤς θῆλ-ξαι σε δυνήσεται (მაგრამ ვერ შეძლებს შენს მონუსხვას...) κ318: αὐτὰρ ἐπὶ δῶκεν τε καὶ ἔκπλοι, οὐδὲ μ' ἔθειλεν (როცა მომანოდა, შევსვი, მაგრამ ვერ მომნუსხა...).

⁴ ჰოექსტრა-ჰოინეკი აზუსტებენ, რომ ამგვარი ქვლილება, ჩვეულებრივ, ტემპორალურია, დროებითი და არ გულისხმობს გარეგნული ფორმის ტრანსფორმაციას. იხ. A. Heubeck, A. Hoekstra, 1989, 55-56. აქ მყრედი აზუსტობა უნდა იყოს. მაშინ როგორ ავხსნათ, რომ ეს ტერმინი იხმარება ლორებადქრული ზემოქმედის მიმართ, რომლებსავე ურვალეს სახე და არა წონიერება?

⁵ ჰომეროსმა იყის, რომ სიყვარულის, ისევე როგორც მაგიურ ზაღახს, მაგიური ხიზლი აქვს. კირკე მრავალი ზაღახის მყოფნი ჭადოქარი, ამავედროულად ჰოემის ყველაზე მაყდური ჰერსონაჟია. შფრ. Ch. Segal, 1974, 143. სიყვარულის თემას,

1. οὐλόμεινον – κ389 – დამლუპველი;
2. θυμοφθόρον – β329 – სულის მომაკვდინებელი;
3. ἀνδροφόνον – α261 – კარის მომაკვდინებელი;
4. κακόν – χ94; κ236 – ზოროტი, მავნე;
5. λυγρόν – δ230; κ236 – ვნების მომტანი;
6. ἐσθλόν – δ229; κ287 – კარგი;
7. ὀδυσήφατα – Ε401; Ε900 – ტკივილგამაყუჩებელი;
8. ἦπιον – Δ218 – კეთილმოქმედი.

კირკეს ეპიზოდში ორგვარ φάρμακον-ზეა საუბარი. როდესაც ქალღმერთი თანხმდება ოდისევსს, მის თანამგზავრებს ადამიანთა სახე დაუბრუნოს, იყენებს φάρμακον ἄλλο-ს, საპირისპიროდ φάρμακον οὐλόμεινον-ისა, რომლითაჲ იხინი ღორებად აქრია.¹ ჰომეროსი არაფერს მოგვიტყობს ამ ნამალთა შემადგენლობაზე. არც მათი მოქმედების მექანიზმი. ერთადერთი, რაც ტექსტის მიხედვით უნდა ვივარაუდოთ, ის არის, რომ ანტიდოტი χριστόν-ია, ანუ მალამო, ხოლო ფარმაცონი, რომლითაჲ ადამიანები გარდაისახნენ – ποτά, ანუ სასმელი. ჰოციის ინტერესი მხოლოდ მიღწეული ეფექტით შემოიფარგლება. φάρμακον οὐλόμεινον-ის ზემოქმედებით ოდისევსის თანამგზავრებს ნაერთმევათ სამშობლოს ხსოვნა (λαθοίατο πατρίδος κ236), ოღონდ ამგვარი ამნეზია არ გულისხმობს ἰούς-ის (წნობიერების) დაკარგვას. ჰომეროსი ხაზგასმით ამბობს, მათი წნობიერება უვნებელი დარჩაო (ἰούς ἦν ἔμπεδος κ240). φάρμακον ἄλλο მათ სახეს და შემეყენებას უბრუნებს.

კირკე განსწავლული ჯადოქარია. იგი პირველია დასავლეთის ლიტერატურის ისტორიაში, ვინც ფლობს საკრალურ წოდებას როგორც მხამთა, ასევე მალამოთა შესახებ.² პლინიუსი წერდა, რომ „ზოჭანიკის წარმომავლობა“ მჭიდრო კავშირშია ნამდვილ, წმინდა ნყლის მაგიასთან და აღნიშნავდა, რომ კირკე და მეფეა ზღაპრითა პირველი მკვლევრები იყვნენ.³

გადასახელებული ფარმაცონები

¹ უფრო ზუსტად, ქალღმერთი ბერძენებს ფარმაცონით შეზავებული შეყამანდით აჯაფოებს, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ მაგიურ ეფექტს ძირითადად ეს ნამალი განაპირობებს. თავისთავად მესხიერების წარსახოვად საკვების მინოდების მოტივი საკმაოდ ძველია და ტრადიციული. იგი გამოყენებულია ლოტოფავოსების ეპიზოდშიც (მდრ. 192-7). ამავე რიგის მოვლიენა უნდა იყოს ზინდიური ვაშლის მოტივიც.

² J. Scabrough. 1991, 139.

³ Plin. nat. XXV, 10-1218. Ail. nat. I, 54-ის მიხედვით, ჯადოქარი კლავს მხოლოდ მებნით. ნეტარი ავგუსტინე ტრაქტატში „ღვთაებრივი ქალაქის შესახებ“ გადმოგვცემს იტალიაში გავრეული ტყმულებას, რომ ქალები სამიკიტნოში მოგზაურებს უცვლთან შეზავებულ მხამს აძლევდნენ და მხეუბად აქრევდნენ (Aug. civ. XVIII, 18).

ერთ-ერთი სქოლიასტი ნერს, მოლი ეიდოსია მყენარისა, რომლის სახელიერ მომდინარეობს მისი უნარიდან, შეარზილოს შხამთა მოქმედება. სვიდასთან ის უზრალოდ „ფარმაკას ანჭიდოტია“, პლინიუსისთვის უზმინ-ფურენის სანინააღმდეგო აპოტროპული საშუალება.

მნიშვნელოვანია, რომ მყენარე ძირითადად არაბერძნული, ალმო-სავლური წარმოშობისად მიაჩნიათ.

როგორც ვხედავთ, ძველ თუ თანამედროვე მკვლევრებს მისაღებად მიაჩნიათ მოლის, როგორც შხამის ანჭავონისტის განმარტება და მას ე.წ. „ისტორიულ“ ახსნას უძებნიან. მაშინ რატომ არ რდილოზენ იმავე მეთოდებით განმარტონ კირკეს შხამი?

მართალია, ჰომეროსი არ აღნერს მყენარეს, რომელსაერ კირკე იყენებს, მაგრამ „ოდისეადან“ მაინერ შესაძლებელია მის შესახებ გარკ-ვეული ინფორმაციის მოძიება:

☒ ადამიანები მისი მოქმედების შედეგად არ კარგავენ რნობიერებას და მოძრაობის უნარს:

☒ ისინი იქრვიან არა ადამიანებვით, არამედ რხოველებვით (κ239-40);

☒ რხოველებად ქრეულნი, ისინი თვინიერნი არიან (κ212-218);

☒ შხამის მშვეობით მათ მესხიერება ერთმევათ (κ236).

გამოთქმულია ვარაუდი, რომ ყოველივე ამის მიღმა ჰიპნოზის ნიშნები უნდა ვივარაუდოთ. თუკი ამგვარი ჰიპნოტიკური ზემოქმედება თანამედროვეთა შორის გაკვირვებას არ ინვევს, ძველ დროში მისი ახსნა მხოლოდ ჭადოქრობით შეიძლებოდა.

რა უნდა ყოფილიყო შხამი, რომელიერ ადამიანებს თვითკონტროლის აკარგვინებდა?

ტოქსიკოლოგთა დაკვირვებით, დაახლოებით იმავე ეფექტის გამოწვევა, რაერ „ოდისეაში“ არის აღნერილი, შეუძლია მყენარეს *Datura*, რომლის ფოთლები *Atropin*-ს, *Hyosciamin*-სა და *Skopolmin*-ს შეიერავენ. დატუ-რათი მონამვლის შემთხვევაში ადამიანები თავს რხოველებად წარმო-იღვენენ. კარგავენ თვითკონტროლოს, ნებას, არ არიან აგრესიულნი და შესაძლებელი ხდება მათი მართვა.

ამგვარ შხამს თავისი ანჭავონისტიერ გააჩნია. სხვადასხვა მყენიერს დატურას სანინააღმდეგო საშუალებად *Nanactal* ან მისი შემადგენელი ნივთიერება – *Muskarin* მიაჩნია.¹ *Muskarin* (= *Amanita muscaria*) შხა-მასოკოს მთავარი ინერედენტია. თუკი მუსკარინი მხოლოდ ატრო-რ

¹ ამ საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურის მიმოხილვისათვის იხ. H. Philipp, 1959, 509-516.

ა) Ἡλίω δ' ἀκάμαντι τέκειν κλυτὸς Ὠκεανίη
Περσῆς Κίρκην τε καὶ Αἰήτην βασιλῆα.¹

ბ) Κίρκη δ' Ἡλίου θυγάτηρ Ὑπεριονίδας...²

აპოლონის როდოსელი კირკეს მოხსენიებს როგორც Κίρκην [...] Πέρσης τε καὶ Ἡλίου θύγατρα.³

ფიონისოს ჰალიკარნასელი „რომის სიძველეთმცოდნეობაში“ არ ასახელებს კირკეს დედას: Κίρκην τῆν Ἡλίου θυγατέρα.⁴

კირკეს დედა არც იოანე სტობაოსის „ახოლოგიაში“ არის მოხსენიებული: Κίρκην [...] Ἡλίου παῖδα.⁵

რიეტრონი ტრაქტატში „ლმერთთა ზუნებისათვის“ მისდევს ზერძულ გენეალოგიებს: *Circe autem et Pasiphae et Aeeta e Perside Oceani filia natae patre Sole.*⁶

სხვა რომელიმე ავტორები კირკეს ჰელიოსის ასულად მოხსენიებენ და არ გვანდინან ინფორმაციას მისი დედისა და და-ძმების შესახებ.⁷

აპოლონის როდოსელის სქოლიონის მიხედვით, ფიონისოს მილეტიელი გადმოგვცემს, რომ კირკე აიეტისა და ჰეკატეს ასული და, ამგვარად, მედეას და ყნფა ყოფილიყო:

τὴν Κίρκην Διούσιος ὁ Μιλήσιος ἐν α' τῶν Ἀργωναιτικῶν θυγατέρα Αἰήτου καὶ Ἐκάτης τῆς Πέρσεως θυγατρὸς, ἀδελφὴν δὲ Μηδείας.⁸

კირკეს წარმომავლობის შესახებ მსგავს ცნობებს ვხვდებით დიოდოროს სიცილიელის „ბიბლიოთეკაში“:

[...]Ἐκάτην[...]μετὰ δὲ ταῦτα συνοικήσασαν Αἰήτην γεινῆσαι δύο θυγατέρας, Κίρκην τε καὶ Μηδείαν.⁹

ზემოთ მოყვანილი ვერსიებისგან სრულიად განსხვავებულ გენეალოგიას გვთავაზობს ვატიკანელი მითოგრაფოსი:

გადაღებულია

¹ Hes. Theog. 956-957: დაულალავ ჰელიოსს უშვა სახელოვანმა ოკეანიდა ჰერსემ კირკე და მეფე აიეტი.

² იქვე 1011.

³ Apoll. Rhod. IV, 590-591.

⁴ Dion. Hal. ant. II, 106.

⁵ Stob. I, XLIX.

⁶ Cic. nat. III, 48.

⁷ Verg. En., VII, 11; Ov. met. XV, 10; Tib. Eleg. IV, 1, 62; Petron. Sat., 127, 6; Hyg. Fab. CXXV; Fulg. Fab. Planc. II, 9; Myth. Vat. I, 15; Myth. Vat. II, 211.

⁸ Schol. ad Arg. III, 200, 223.

⁹ Diod. Sic. IV, 45, 3: ამის შემდეგ ჰეკატესა და აიეტის თანაწილეობით იშვა ორი ასული – კირკე და მედეა.

*Item, secundum quosdam, Apollo concubuit cum Ethea, et genuit Circen.*¹

ჭელიოსი, ტიტანების – ჰიპერიონის და თეიას ვაჟი, ბერძნული ტრადიციით, სშირად თვითონაჲრ ტიტანად იწოდებოდა და გაიგივებული იყო ჰიპერიონთან. ჰიპერიონი და მისი მულები კი დიდ მნათობთა სამყაროსთან დაკავშირებულ ღვთაებრივ ძალებად გაიზრებოდნენ.²

რაჲრ შებენა ჰერსეს, იგი ოკეანოსისა და ტეთისის ასულია.³ ოკეანოსი, წყლის უნაპირო ღინებაა, რომელიჲრ სამყაროს გარს ერტყმის.⁴ ტეთისიჲრ, მისი მულები, წყლის სტიქიასთან არის დაკავშირებული. ჰომეროსის მიხედვით კი, ოკეანოსი და ტეთისი ყველა ღმერთის მშობლები და ყოველივეს შემოქმედნი არიან.⁵

ამრიგად, ტრადიციული მიტოსური ვერსიით, კირკეს მშობლები ტიტანებში არიან – ურანოსისა და გეას შვილები, ანუ ღმერთების უძველესი თაობის ჩამომავლები. გენეალოგიის მიხედვით კირკე ნამდვილი ქალიღმერთია და თუკი მისი მშობლების ნარმომავლობასაჲრ გავითვალისწინებთ, მასში შერწყმული უნდა იყოს როგორჲრ ზეერური, ასევე ხოთნური ძალები.

თავისთავად კირკეს კავშირი მავიასთან არ იწვევს გაკვირვებას, თუკი გავითვალისწინებთ დედის მხრიდან გენეტიკურად ზომიერულ ლუწარულ ზუნებას და გავიხსენებთ, რომ ჯადოსნობა მთვარესთან დაკავშირებული ღვთიური ძალაა.⁶

სხვადასხვა მიტოლოგიური ვერსიის მიხედვით, ჰერსეს გარდა, კირკეს დედად ჰეკატერ მოიხსენიება, ზოგჯერ კი ასტეროპერ (ან ანტიოპერ)⁷ და მკვლევრები მათში მთვარის ღვთაებებს ხედავენ.

ყველა ეს სახელი ე.წ. „მეტყველ სახელთა“ რიგს განეკუთვნება და, ამდენად, მათი ეტიმოლოგიების მიმოხილვა, გარკვეულნილად, ნათელს მოჭვენდა კირკეს მიტოსურ ზუნებასაჲრ.

სახელებში Πέρση, Πέρση-Εὐς გამოპყოფენ ფუძეს (σ)παρ, რაჲრ ნათებას ან გამოტყორჩნას (იგულისხმება სხივთა გამოტყორჩნა, გამონათება) უნდა აღნიშნავდეს. Περσεία ჰესიოდესთან არტემისის მეტ-

გადაცემის სახელია.

¹ Myth. Vat. I, 204: ამგვარად, ამის შემდგომ აპოლონი ეთეას შეუერთდა და შვა კირკე.
² იხ. რ. გორდეზიანი, 1997, 64.
³ შფრ. Hes. Theog. 956 და შმფ.
⁴ სახელის ეტიმოლოგია დაუდგენელია. ზოგიერთი მკვლევარი მას აკავშირებს აქადურ სიტყვასთან უვინა, რომელიჲრ „რკალს“ აღნიშნავს. იხ. რ. გორდეზიანი, 1997, 64.
⁵ შფრ. მავ. 201.
⁶ შფრ. რ. გორდეზიანი, 1997, 76.
⁷ Orph. Arg. 1222. შფრ. W. Roscher, 1890-1894, 1791.

ლოცინოსი, კირკესა და ოფისევსის ვაჟი, თავის ძმა – აგრინოსთან ერთად, ტირენიელებზე წაჭონობდა.¹

ქსენაგორას აღმწერლის მიხედვით, კირკესა და ოფისევსის ვაჟები არიან რომოსი, ანტემასი, არდეასი:

Ξεναγόρας δὲ ὁ συγγραφεὺς Ὀδυσσεῶς καὶ Κίρκης υἱοὺς γενέσθαι τρεῖς, Ῥώμιον, Ἀντείαν, Ἀρδείαν οἰκίσαντας δὲ τρεῖς πόλεις ἄφ' ἑαυτῶν θέσθαι τοῖς κτίσμασι τὰς ὀνομασίας.²

პლუტარქე გადმოგვცემს, რომ კირკესა და ოფისევსის ვაჟია რომანოსი: οἱ δὲ Ῥωμανόν, Ὀδυσσεῶς παῖδα καὶ Κίρκης, οἰκίσαι τὴν πόλιν.³

ევგამონ კვირნელის „ტელეგონის“ მიხედვით, კირკესა და ოფისევსის შთამომავალია ტელეგონოსი, ტუსკულუმისა თუ პრენესტეს დამაარსებელი.⁴ იგი ოფისევსის გამგზავრების შემდეგ დაიბადა და ენოდა ტელეგონოსი, ანუ შორს დაზადებული. მან, მამის საძებრად წასულმა, შემთხვევით მოკლა ოფისევსი ჰეფესტოს მიერ დამზადებული მსუბი, რომელიც დედამ მისჯა. მსუბ ტრუგანოს მომავლიდნელი მხამით იყო შენამლული. ტელეგონოსმა ტელემარქოსი და პენელოპე დედის სამშობლოში წაიყვანა. კირკემ მათ უკვდავებან მიანიჭა. შემდეგ თვითონ ტელემარქოსზე იქორწინა, ტელეგონოსმა – პენელოპეზე.⁵

კირკესა და ოფისევსის ვაჟი არდეასი, რუტულითა ქალაქის დამაარსებელი და ეპონიმია, ხოლო ავსონოსი – ავსონთა პირველი მეფე.⁶



¹ იხ. Hes. Theog. 1011; Steph. Byz.; Verg. Aen. 7, 47; Skym. 227; Hyg. fab. 127; იხ. Solin. 2, 9.

² მდრ. Dion. Hal. 1, 72, 5: „ქსენაგორას აღმწერელმა (თქვა), რომ ოფისევსსა და კირკესს ჰყავდათ სამი ვაჟი – რომოსი, ანტემასი და არდეასი. ხოლო მათ დააფუძნეს სამი ქალაქი და ამ დასახლებებში თავისი საკუთარი სახელების მიხედვით დაარქვეს სახელი.“ იხ. თ. ყაუხჩიშვილი, 1977, 140, 224. მდრ. Steph. Byz. (Ἀντεία).

³ მდრ. Plut. Rom. 2.: ზოგიერთთა მიხედვით კი ქალაქი დააფუძნა რომანოსმა, ოფისევსისა და კირკეს ვაჟმა.

⁴ ტელეგონოსისგან კირკეს ვაჟად მოიხსენიებს ლიკოფრონის სქოლიასტორი. იხ. ა. ყრუ-შაბუ, 1964, 302.

მდრ. Liv. 1, 49; Prop. 2, 32; Hor. Epod. 1, 29; Dion. Hal. 4, 4.

⁵ მდრ. Opp. hal. 2, 497: ეს სჯენა გამოსახულია ანტიკურ ვაზებზე. ზოგიერთი ვერსიით, კირკე ოფისევსს სირიუხლეს დაუბრუნებს. მდრ. Lykophr. 805. ამის შესახებ იხ. თ. ყაუხჩიშვილი, 1950, 93-93; A. Лосев, 1953, 468-469.

⁶ Eustath. ad Od 1379, 30, 13:... Αὐτίκα τῆς Ὀδυσσεῶς πλάνης τὸ πολὺν περὶ Σικελίαν γενέσθαι καὶ Ἰταλίαν καὶ ἐπέκεινα τεθρύλληται συμφώνως τῷ ποιητῇ. Καὶ τοῦτο δηλοῖ δίχα πολλῶν ἄλλων, καὶ ὁ τῆς ἱστορίας Λατίνος, καὶ ὁ Αὔσαν, οἱ ἐξ Ὀδυσσεῶς καὶ Κίρκης κατὰ τινος. Οἱ καὶ τῆς ὁμωνύμου αὐτοῖς χώρας ἐκράτησαν, καὶ ἄφ' ἑαυτῶν τὰ ἔθνη ἐκάλεσαν (მაგალითად, ოფისევსის ხეცალოს ამბები უმეტესად სიკელიის და იტალიის გარშემო ხდებოდა და ეს ყველაფერი მოთხრობილია თანახმად პოეტისა. და ამას, ყოველივეს გარდა, აშკარაა ვხედავთ ისტორიის ლოცინოსი და ავსონოსი).

რაჲ შეეხება რომას, ზოგიერთი ვერსიით, ენეასი ტელემაქოსის და კირკეს ასულ რომასთან ჩასახავს რომუსსა და რომულუსს.¹

თქმულენა იწინებს კასიფონესაჲ – ოდისევსისა და კირკეს ასულის და ტელეგონოსის დას. ტელეგონოსისგან მოკლულმა და კირკესაგან გარეხილულმა ოდისევსმა იგი თავის ნახევარმა ტელემაქოსზე დააქორწინა. კასიფონემ შური იძია დედის მკვლელობა და მოკლა იგი.² აქედან უნდა იყოს წარმომდგარი მისი სახელი. კასიფონე სიტყვა-სიტყვით ძმისმკვლელის ნიშნავს.

ანტიკური წყაროების მიხედვით, კირკეს შთამომავლების შესახებ არსებული ინფორმაცია შემდეგი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა:

1. ჰესიოდედან მოკლებული, ანტიკური ტრადიცია კირკეს შთამომავლებს ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მრეხოვრებ ხალობთა ეთნარქ-ეპონიმებად მიიჩნევს;
2. ანტიკური წყაროები ძირითადად აფიქსირებს მათ წარმომავლობას, მაგრამ მითოლოგიური თვალსაზრისით არსებით ინფორმაციას არ გვაწვდის. ამ შემთხვევაში, შეიძლება, უფრო მარტივი უფილიყო, გვეფიქრა ლეგენდის, და არა მითის, არსებობაზე. თუკი გავითვალისწინებთ იმასაჲ, რომ რომაელი ავტორები კირკეს შესახებ თხრობისას ძირითადად ბერძნული მითის ტრანსფორმაციას გვთავაზობენ, უნდა ვივარაუდოთ, რომ კირკეს შესახებ დამოუკიდებელი იტალიური მითი არ მოგვეპოვება.³

ეს წნობები ორგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა: ა) შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კირკე იტალიური ლეგენდაა. მაშინ, აღმოჩნდება აიასში მისი მოთავსება, აღბათ, მრეხარია. თუმცა, არა ის არის გამორჩეული, რომ ეტრუსკისთან მისი შთამომავლები არიან დაკავშირებულნი, რაჲ არ გულისხმობს კირკეს აუცილებელ კავშირს იტალიურ სამყაროსთან.⁴ ბ) ტირენიელთა მხარესთან კირკეს სახელის

გ. ზოგიერთი მიხედვით, ოდისევსისა და კირკეს შვილები.

მათ დაიპყრეს თავისი თანამოსახლე ქვეყანა და თავიანთი სახელების მიხედვით ხალებსაჲ უწოდეს).

შტრ. Strab. V 3, 6; Verg. Aen. 8, 328.


¹ შტრ. O. Gruppe. 1906, 365, 8.

² შტრ. Lykophr. 808 შტდ. ხოლო სქოლიასტთან კითხვობით: τὰς σφαιρὰς τῆς ἀδελφῆς Κασσιόπης.

³ უნდა აღინიშნოს, რომ რომაულ გარემოში კირკეს ამბის ამსახველი წყაროების შესწავლა ზოგიერთი მხოლოდ იტალიურ არეალში არსებული დანაშრევის არსებობას ავლენს. თუმცა ამ შემთხვევაში ზოგიერთი თავდაპირველი მოტივის ტრანსფორმაციას და ათვისებაზე უნდა იყოს საუბარი და არა დამოუკიდებელი მითის არსებობაზე. უფრო დანერვილებით ამის შესახებ შემდეგში ვისაუბრებთ. იბ. გვ. 118 შტდ.

⁴ შტრ. И. Гара, 1984, 61.

თფრიკავასის ხაზიანების მდებარეობა



- | | | | | | | | | | | | | | | | |
|--------|-----------------------------------|---|-----------------------------------|----|-----------------------------------|----|-----------------------------------|----|-----------------------------------|----|-----------------------------------|--------|-----------------------------------|---|-----------------------------------|
| 1 | ჩხვილიძის ხეობის დასავლეთი ნაპირი | 2 | ლოცოვანის ხეობის დასავლეთი ნაპირი | 3 | ლოცოვანის ხეობის დასავლეთი ნაპირი | 4 | ლოცოვანის ხეობის დასავლეთი ნაპირი | 5 | ლოცოვანის ხეობის დასავლეთი ნაპირი | 6 | ლოცოვანის ხეობის დასავლეთი ნაპირი | 7 (7') | ლოცოვანის ხეობის დასავლეთი ნაპირი | 8 | ლოცოვანის ხეობის დასავლეთი ნაპირი |
| 7 (7') | ლოცოვანის ხეობის დასავლეთი ნაპირი | 9 | ლოცოვანის ხეობის დასავლეთი ნაპირი | 10 | ლოცოვანის ხეობის დასავლეთი ნაპირი | 11 | ლოცოვანის ხეობის დასავლეთი ნაპირი | 12 | ლოცოვანის ხეობის დასავლეთი ნაპირი | 13 | ლოცოვანის ხეობის დასავლეთი ნაპირი | 14 | ლოცოვანის ხეობის დასავლეთი ნაპირი | | |

Κίρκαϊον δὲ τόπος ἐστὶ τῆς Κολχίδος ἀπὸ Κίρκης τῆς Αἰήτου ἀδελφῆς, ἣ πεδίον. οὐ δύναται δὲ ἀπὸ τῆς ἑτέρας Κίρκης ὠνομάσθαι. ἐγένοντο γὰρ Κίρκαϊ δὺο, περὶ ὧν ἐν τῶς ἡξίης ἐρουῖμαι¹ – ნერს „არგონავტიკის“ სქოლიოსტ.

აპოლონიოს როდოსელითან აიეტი მოგვითხრობს, თუ როგორ გადა-
წყვანა მამამისმა კირკე ტირენიანში:

ἦδειν γάρ ποτε πατρός ἐν ἄρμασιν Ἥελίοιο
διεύσας, ὅτ' ἔμειο κοσιγνήτην ἐκόμζειν
Κίρκην ἐσπερίην εἴσω χθονός, ἐκ δ' ἰκομεσθα
ἀκτὴν ἠπείρου Τυρσηνίδος, ἔνθ' ἔτι νῦν περ
βαιετᾶει, μάλα πολλὸν ἀπόπροθι Κολχίδος αἴης.²

თუკი გავითვალისწინებთ მითოლოგიურ ტრადიციას, არგონავტები ტრო-
ას ომის გმირების მამათა თათბარს მანერ მიეკუთვნებან.³ მაშინ, უნდა
ვიგულისხმოთ, რომ ოდისეესის ანათე მისვლის მომენტისთვის კირკე
ფასავლეთში დიდი ხნის ფასახლეული იყო. ერთ-ერთი სქოლიონის მი-
ხედვით, „არგონავტიკის“ ავტორი ოდისეესის ხეტალოსარ ტირენიის ზღვაში
ვარაუდობს, სადაც კირკეს სამფლობელო – ანათ – მფუნარობს:

„(ანათს კუნძული:) როგორც ჩანს, აპოლონიოსის ოდისეესის ხე-
ტალოს ტირენიასა და იტალიაში ვარაუდობდა. იქ იგულისხმებოდა კირ-
კეს ზინადრობა.“⁴

აპოლონიოს როდოსელი ამკარად ჰესიოდესეული ვერსიას მისდევს.
„არგონავტიკის“ სქოლიოსტ მას ჰირფაპირ უნოდუმს ჰესიოდეს მიმდე-
ვარს: Ἄπολλώνιος Ἡσιόδῳ ἐπόμενος.⁵ ჰომეროსის მიხედვით კი, როგორც
ზემოთ ვნახეთ, კირკეს კუნძული აღმოსავლეთში უნდა ივარაუდებოდეს.

აპოლონიოს როდოსელის წინაში ყურადღებას იპრობს ერთი დეტალი
– ავტორი საუბრობს იმის შესახებ, რომ კირკე ფასავლეთში საიდანლარ
გადასახლდა. იგი მამა-ჰელიოსმა თავისი ეტლით გადაიყვანა ჰესპერისის
ქვეყანაში. თუკი გავითვალისწინებთ მზის მოძრაობის ტრადიტორიას –



¹ Schol. Apol. Rhod. II, 399: „კირკონი კოლხეთის ადგილია, [ასე ნოდებული] აიეტის დის
კირკესაგან, ანდა ველია. არ შეუძლია მეორე კირკესაგან ინოდოს ასე. იყო ხომ ორი
კირკე, რომელთა შესახებარ შემდგომ ვიტყვით“. იხ. ა. ყრუშაძე, 1964, 325.

² Apoll. Rhod. III, 309-313: ეს ჰერ კიდევ მამის, ჰელიოსის, ეტლიზე მოგზაურობისას
შევიტყვი, როდესარ ჰელიოსს ჩემი და კირკე გადაჰყავდა ჰესპერისის ქვეყანაში.
ჩვენ მაშინ მივალნიეთ ტირენიის ხმელეთის სანაპიროს, სადაც, კოლხეთის მინისგან
ძალზე მოშორებთ, ახლარ ზინადრობს კირკე.

³ არგონავტთა ლაშქრობის დათარღების შესახებ იხ. ლ. გორდეზიანი, 1999, 22-26.

⁴ Schol. Apoll. Rhod. III, 661: (Αἰαίης λιμένα:) εἶοικεν Ἄπολλώνιος ἐκδεδέχθαι τὴν
Ἵδυσσεύας πλάνην περὶ Τυρρηναίαν καὶ Ἱταλίαν· ἐκεῖ γὰρ ὑποτίθεται τὴν Κίρκην οἰκεῖν.
იხ. B. Paetz, 1970, 14.

⁵ იხ. E. Bethe, 1921, 504.

სტრატონის თუ დავუჟერებთ, კირკეონში არსებობდა კირკეს სახელოზე აგებული ტაძარი:¹



„ანტიონის შემდეგ არის კირკეონის მთა, 290 სტადიონით დაშორებული, ზღვითა და ჭაობებით კუნძულად ქმნილი; ამბობენ, ძირმრავალი არისო, შეიძლება იმიტომ, რომ კირკეს მისს დაყავშირონ. (კირკეონს) აქვს დაბა, კირკეს სალოყავი და ათენას სამსხვერპლო. ამბობენ, რომ აქვე ჩვენებენ ოფისევსის რომელიღაც ფიალას.“

კირკეს საკულტო ქანდაკებადაა მიჩნეული ზერძნული მარმარილოსგან გამოკვეთილი ერთ-ერთი გამოსახულება, რომელიც დაწყულია რომის ნაწიონალოურ მუზეუმში.² ქანდაკების ფრაგმენტი (ქალღმერთის თავი), რომელიმე ჩვენამდე მოაღწია, პრაქსიტელის სტილითაა შესრულებული და ძვ.წ.აღ-ის I ს-ის I ნახევრით თარიღდება. ეს ქანდაკება ნახსენები უნდა იყოს სტრატონთან. ვარაუდობენ, რომ მას გულიხსმობს სხვა ნყაროჲ,³ როდესაც კირკეს მზის სხივებით გასხივოსნებულ სახეზეა საუბარი.⁴

ერთი ნარჩენის მიხედვით, მარკუს ავრელიუსის ზრძანებით, კირკეონში კირკეს ტაძარი აღუმართავთ:

EX · AVCTORITATE · IMP · CAES
M · AVRELII · ANTONINI · PII · FELIC
AVG · PARTHIC · MAX · BRITT · MAX
PONT · MAX · DECRETO · COLL
XV · SAC · FAC · SERVIVS · CALPURNIVS
DOMITIVS · DEXTER · PROMAGIST · ARAM
CIRCES · SANCTISSIME · RESTITVIT · DEDICAT⁵

იმპერატორ კეისარ მარკუს ავრელიუს ანტონინუსის, ლეტისმოში, ზეფნიერი ავგუსტუსის, პართიუს მაქსიმუსის, ბრიტანიუს მაქსიმუსის, პონტიფიქს მაქსიმუსის ზრძანებით და კვინდუკვირთა კოლეგიის დეკრეტით კალპურნიუს დომიტიუს დექსტერმა, პრომაგისტრმა, უნმინდესი კირკეს ტაძარი აავგო.



¹ Strab. V, 3, 6: μετά δὲ Ἀντίον τὸ Κιρκάιον ἔστιν ἐν διακοσίοις καὶ ἐνενήκοντα σταδίοις ὄρος ἰσηζῶν θαλάττη τε καὶ ἕλει· φασὶ δὲ καὶ πολὺρριζοὶ εἶναι, τάχα τῷ μύθῳ τῷ περὶ τῆς Κίρκης στυοικεῖοντες· ἔχει δὲ πολίχινιοι καὶ Κίρκης ἱερὸν καὶ Ἄθειάς βωμόν, δεῖκυσθαι δὲ καὶ φιάλην τινά φασιν Ὀδυσσεύς. ἰβ. ა. ურუშაძე, 1964, 421.

შფრ. Dion. Per. 692; Dion. Hal. 4, 63.

² F. Canciani, LIMC VI, Kirke N 1.

³ Eust. ad Hom. 1705, 31 .

⁴ F. Canciani, LIMC VI, 55.

⁵ CIL X, 6422. ე. ზეთეს მიხედვით, ნარჩენა თარიღდება ძვ.წ.აღ-ის 213 წ-ით. ἰბ. E. Bethe, 1921, 502; B. Paetz, 1970, 14.

სელენეს მთაზე (Σεληναίου ὄρος), რომელიც, როგორც ჩანს, ევროპულ ქალაქ ლუნასთან (=Σελήνης πόλις) არსებული Σελήνης ἄκρον-ის იდენტიფიკაცია, მიუთითებდა უკვე დროის ორი უფიქრის ჯაფოქრის – მედეას და კირკეს როფინის (ὄλμος) არსებობას.¹

თეოკრიტოსის სქოლიონში ვკითხულობთ:² სელენეს მთაზე ახლანდელ მდედებს და კირკეს როფინებს, რომლებშიც ისინი ჯაფობა-ლასხს ნაყავდენ.

ბერძენ კოლონისტებს, როგორც ჩანს, აქ, ისევე როგორც არსებულ მთაში მობრუნებულ კირკესში, კირკესის ცაძარი უნდა აეგოთ.³

იტალიაში კირკეს თავყვანის შემსახებ მოგვითხრობენ ქრეტიონი და პლინიუსი. *Circen coloni nostri Circeienses religiose colunt*, – ნერს ქრეტიონი.⁴ პლინიუსთან კი ვკითხულობთ: *Circe Italis celebrata*.⁵

დასავლეთმედიტერანული არეალში კირკე ხშირად ენაწვლება ციპოლოგიურად მსგავსი ფუნქციების მქონე ძველ იტალიურ ქალღმერთს – ანგიტიას, რომელსაც თავყვანს სრემდენ მარსების ქვეყანაში,⁶ ფუკინუსის ცხდასთან (*Fucinus lacus*). მარსები თვლიდნენ, რომ კირკეს ვაჟისგან, მარსიასისგან (=ფავნისი) იყვნენ წარმოშობილნი.⁷ კირკე ენაწვლება მარიკა მინტურნელსაც მდინარე ლირისის (*Liris*) ყურეში.⁸

ზოგიერთი ბერძნული და ლათინურენოვანი ნყარო ქრკის (*circus*) შექმნასა და საქრკო ასპარეზობების (*ludi circenses*) დამკვიდრებასაც კირკეს სახელთან აკავშირებს.

როგორც ისილოროს სევილიელის „სანყისებში“ ვკითხულობთ, „რომელსაც მიაჩნიათ, რომ გამოთქმა ქრკი წხენთა წრეზე რბოლიდან

¹ შტრ. Schol. ad Theokr. 2, 15.

² შტრ. ad Theokr. 2, 15: Ἐτι καὶ νῦν ἐν τῷ Σεληναίῳ ὄρει ὄλμος, δεικνύουσι τῆς Μεδείας καὶ Κίρκης, ἐν οἷς ἔκοπτον τὰ φάρμακα. შტრ. Ptol. 3, 1, 4; Strab. 5, 222.

³ შტრ. O. Gruppe, 1906, 938; K. Seeliger, 1890-1894, 1203; W. Roscher, 1890-1894, 3128.


⁴ შტრ. Cic. nat. 3, 19, 48: ჩვენი მოსახლეები, კირკეს სახელს რომ აჭარებენ, თავყვანს სრემდენ კირკეს.

⁵ შტრ. Plin. nat. VI, 103: იტალიელების მიერ თავყვანებული კირკე.

⁶ მარსები (*Marsi*) იტალიის მთიან რეგიონში ფუკინუსის ცხის შემოგარენში მოსახლე იტალიური ტომია.

⁷ Plin. nat. 3, 108; K. Seeliger, 1890-1894, 1201.

⁸ შტრ. Plin. nat. 7, 15; 25, 11; Gell. 16, 11, 1; Solin 2, 27, 28; Lact. 1, 21, 23; Serv. Aen. 12, 164; Hor. epod. 17, 29. იხ. აგრეთვე K. Seeliger, 1890-1894, 1202. მარიკა მინტურნელთან დაკავშირებით დანვრილებით იხ. F. Boll, 1910, 567-577; აგრეთვე L. Preller, 1858, 363; 353.



კირკეს გენეალოგიის ამსახველი სურათი სქემატურად ამგვარად გამოიყურება და, პირველ რიგში, სწორედ მასში უნდა ვეძებოთ კირკეს მიიში ჩაშიფრული მრავალი საიდუმლოს გასაღები.

მეორე თავი

კორეა – მეტყველი სახელი

(მითი ეტიმოლოგიურ ჭრილში)

კონკრეტულ საკუთარ სახელითა არსებობა მითის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია, რომელიც მას ზღაპრისგან მიჯნავს. არ არის აუცილებელი, მითოსურ საკუთარ სახელს ჰქონდეს მნიშვნელობა, მაგრამ ის, როგორც წესი, ნარმოადგენს მინიშნებას (*reference*), მაშინ როცა ზღაპრის პერსონაჟს სახელი ან საერთოდ არ გააჩნია, ან იგი განმაზოგადებელი სახელით მოიხსენიება, როგორც ივანე, ჰანსი, ჯუკი და სხვა.¹ მითოსურ პერსონაჟთა სახელების ჩამოყალიბება არასოდეს არის შემთხვევითობით განპირობებული. იგი ერთ-ერთი კოფია და სწორედ ამდენად არის მეტყველი. იმდენად, რამდენადაც მისი არასწორი ვერსია არ გააჩნია, მისი ყველა ვარიანტი თანაბარუფლებიანია და სწორი ინტერპრეტაცია ყოველთვის იძლევა თავდაპირველი ინფორმაციის რეკონსტრუქციის საშუალებას. განვიხილოთ სახელი, როგორც ტექსტი, როგორც გარკვეული შეტყობინება, როგორც მითის ერთ-ერთი „ვერსია“, რომელშიც თავდაპირველი მითოსური შინაარსია აკუმულირებული.

„დასაბამად ქმნა ღმერთმან წაჲ და ქუყანაჲ. ხოლო ქუყანაჲ იყო უხილაჲ და განუმზადებელი და ზნელი ზედა უფსკრულთა და სული ღმრთისაჲ იქნოდა ზედა ნყალთა. და თქუა ღმერთმან: იქმენინ ნათელი და იქმნა ნათელი. და იხილა ღმერთმან ნათელი, რამეთუ კეთილი. და განანვალა ღმერთმან შორის ნათლისა და ზნელისა. და უწოდა ღმერთმან ნათელსა ღლე და ზნელსა უწოდა ღამე...“ – ვკითხულობთ „დაბადების ნიგნში“.²

„შესაქმის“ ზევრად უფრო ადრეული აქადური მითი კი მოგვიხსრომს:³

„ოდეს მალლა წა არ იყო ხმოზილი,
დაზლა მინა-მყარს სახელი არ ერქვა,
ოდეს არე ერთი ღმერთი არ ჩანდა,
სახელი არ ერქვათ, **ზედი** არ **ენერათ**,
არ იყო საყდარი, არე საკურთხეველი,
აზოუ – პირველი მათი ჩამოესველი



¹ W. Burkert, 1979, 23-24.
² იხ. დაბ. 1:1-5.
³ ძველი შუამდინარეული პოეზია (თარგმანი ზ. კიკნაძის), 1987, 100-101.

და თიამათი ყოველთა მშობელი,
 თავ-თავიანთ ნულებს ერთად ურევდნენ.
 მერე წარმოიშვნენ ღმერთნი მათ ნიაღში:
 ღიახმუ და ღიახამუ გამოჩნდნენ, **სახელი** ეწოდათ”.

ქმნადობის პროცესი იმთავითვე გულისხმობს სახელოდებას და, პი-
 რიქით, სახელოდება არსებობის აღიარებას ნიშნავს.

ქრისტიანული წარმოდგენით, ზავში იზადება მაშინ, როდესაც ნათ-
 ლისლენისას სახელი ეწოდება. ძველი სახელის იგნორირება და ახლის
 მიერეა გარდაწვალეზასა და ხელმეორედ ახალი არსით ღაზადებას
 შეესაყვისება ზერად აღკვერის რიყუაღში.

სახელი პიროვნებისა თუ პერსონაჟის ერთგვარი პორტრეტი, რომელიც
 ამა თუ იმ არსებით მახასიათებელს ასახავს და ხშირად მასში უფრო მეტის
 ამოკთხვა ხერხდება, ვიდრე ვრცელ და მდორე მონათხრობში.¹

ეს შეეება ზოგადად ონომასტიკას – როგორც ანთროპონიმებს,
 ასევე ტოპონიმებს. მით უმეტეს იგივე ითქმის მითოლოგიურ სახე-
 ლებზე. მითოსური პერსონაჟების შემთხვევაში, როგორც ნესი, ე.წ.
 „შეყველ სახელებთან” გვაქვს საქმე და მითოსური სახის გახსნარ,
 უპირველეს ყოვლისა, მისი სახელის გაშიფვრით უნდა იწყებოდეს.²

მსოფლიო ხაღხების წარმართულ პანთეონთა ქაღღვათაების სახე-
 ების კვლევაში მათი არქეტეების კვლევის საკითხი დააყენა.³ ანტიკური
 მითოლოგიის ქაღღმერთთა თუ ქაღღ-პერსონაჟთა სახელების ანალი-
 ზისას ერთი უაღრესად საინტერესო კანონზომიერება გამოვლინდა –
 თავდაპირველად თითოეული მათგანი ერთი და იმავე ღვათების სხვა-
 დასხვა ფუნქციის გამომხატველი ეპითეტი უნდა ყოფილიყო,⁴ რარ გვა-
 ფიქრებინებს, რომ ოღესღარ არსებობდა ერთი უნივერსალური, კოს-
 მიური, პოლიფუნქციური ქაღღღვათება, რომელიც ანონიმური იყო და
 შესაზამისად სხვადასხვაგვარად მოიხსენიებოდა ხან ადვილის მიხედვით,
 ხანარ სხვადასხვა საკულტო მნიშვნელობის ეპითეტი. ეპითეტში, ამ
 შემთხვევაში, იგულისხმება ზედსართავი და არსებითი სახელები ან მოკ-
 ლე, გაქვავებული ფორმულა, რომელიც ღვათებას რომელიმე ერთი

რეზერვაციები

¹ П. Флоренский, 1990, 364–365; F. Dornseiff, 1956, 101–123.

² შღრ. В. Нерознак, 1978, 91; Р. Якобсон, 1970, 617.

³ თუი ადრე ფიქრობდნენ, რომ დიდი ღედა ყველა მეტ-ნაკლებად რწობილი
 ქაღღღმერთის არქეტეპია, XX ს-ის უკანასკნელ მეოთხედში თავად დიდი ღედის არ-
 ქეტეების საკითხი დაისვა, რომელიც, აღობათ, ანდროგინული არსება უნდა ყოფილიყო
 (ამასთან დაკავშირებით იხ. რ. რანავა, 1999, 104–115).

⁴ იხ. W. Roscher, 1890–94, 1119–1199.

კონკრეტული თვისების მიხედვით ახასიათებს.¹ თანდათან მოხდა ამ სახის დამტოვებელი კულტურების, რომლებშიც ერთ-ერთ ფუნქციას დაეკისრა ნამყვანი როლი. შესაბამისი ეპითეტი საკუთარ სახელად გადააზრდა და არსებობა გააგრძელა როგორც დამოუკიდებელი მითოსურმა ოდენობამ.²

ეპითეტი, ეპიკლეზა და სახელი ღვთაების ონომასტიკურ ატრიბუტად შეიძლება ჩაითვალოს. ჩვეულებრივ, ატრიბუტს უწოდებენ ნივთს, რომელსაც ღვთაებასთან ერთად გამოსახვენ ხოლომე, როგორც, მაგალითად, ჰოსიედონის სამკაპს, ჰერმესის კვერთხს ან არტემისის მშვილდ-ისარს. სახელი-ატრიბუტი ამგვარი ნივთისაგან მხოლოდ გამოსახვის ენობრივი ფორმით განსხვავდება. თავის მხრივ, საგანი, როგორც ატრიბუტი, ნივთიერი მეტაფორაა.

ღმერთთა ატრიბუტიკა შემდეგი ძირითადი კომპონენტებისგან შედგება: ონომასტიკა (ანუ სახელები, ეპიკლეზები, ეპითეტები), საკრალური ნივთები,³ რხველები და მყენარეები. თითოეული მათგანი ამ ღმერთის მიერ განვლილ ფაზას წარმოადგენს.⁴

ამდენად, მიზანშეწონილი უნდა იყოს, რომ კირკეს მითის კვლევაზე მისი სახელის ანალიზით დაინწყოს.

ძველი ავტორები კირკეს ეტიმოლოგიურად κίρκος-ს და κύκλος-ს უკავშირებდნენ როგორც სავსე მთვარის აღმნიშვნელს.

მაგალითად, ფსევდო პლუტარქე ოდისეოსის თანამგზავრებს სამყაროს წრიულ მოძრაობაში მოქრეულ სულეზად, კირკეს კი რეკლურობის განხორციელებად თვლის.⁵ მისი აზრით, ამასვე ასახავს კირკეს წარმომავლობა ჰელიოსისგან, რადგან მზე-ჰელიოსი ანიჭებს სამყაროს მარადიულ სიწოცხლეს.

პორფირიოსი კირკეს, როგორც მზის ასულის, უკავშირებს ჰალინგენესთან.⁶ რხადია, ორივე ავტორი იწინებს კირკეს კავშირს წრებრუნვასთან.

გადასწრებულია

¹ შტრ. O. Фрейденберг, 1978, 114.

² დიდი დედა ქალღმერთი – *Magna mater* – ასტრალურ დონეზე მთვარეს (ან მზეს) დაუკავშირდა. ფრიგიასა და თრაკიაში იგი იწოდებოდა იდიად, სიპილიენად, ჰესი-ნუტიტიდად, კიბელიედ. მის ეპითეტებს შორის იყო *eveteksetey* („კეთილად შობილი“ < εὖ + τίκτω /ჰომ. τέκτω, ან „კეთილად შეკავშირებული“ < ხეთ. *takš-*), *evteveya* („სამარ-თლიანი“ შტრ. ზერძნ. εὐμύς), *tiveya* („გამამაგებელი“ შტრ. ზერძნ. ἰνῶ). საკულტო მნიშვნელობის ეს ეპითეტები თანდათან საკუთარ სახელებად გაიზარდნოდა (იხ. Л. Баюн, В. Орёл, 1988, 1, 182; 187; 190; М. Васильева, 1990, 3, 94-101).

³ იხ. В. Топоров, 1995, 11-15.

⁴ შტრ. O. Фрейденберг, 1978, 115-116.

⁵ Plut. *De vita et poesi Homeri*, 126, 3-9. იხ. გვ. 137, მენ. 2.

⁶ Stob. *Ecl.* I, 446, 11-16. იხ. გვ. 140, მენ. 4.

პროკლე „კრატილოსის“ კომენტარში ყურადღებას ამახვილებს ეპი-ზოდზე, როდესაც ჭადოქარი სიმღერით მიდი-მოდის სართავთან (κ 220-223). პირველად კირკე ასე წარსდგება ოფისევსის თანამგზავრთა თვალწინ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ავტორისთვის წნობილი უნდა ყოფილიყო კირკეს სახელის განმარტების სხვა შესაძლებლობა: *Etimologicum Gudianum*, რომელიც განამარტავს სელევკოსის განმარტებას გად-მოგვერებს, ისევე როგორც *Etimologicum Magnum* და სვიდა ქალღმერთის სახელს κερκίς-ს (საქსოვი მარქო) უკავშირებენ.¹

Κίρκη, ἢ κυριῶσα τὰ φάρμακα. ἢ παρὰ τὴν κερκίδα. τὰς δὲ παιπλῶσας γυναικὰς Κίρκας φάμεν – ვითხულობთ სვიდასთან.²

ანტიკურობისთვის სახელის ზემოთ მოყვანილი ინტერპრეტაციები იყო შესაძლებელი. ძველი ავტორები რატომღაც ყურადღებას არ აქცე-ფენენ განმარტების კიდევ ერთ – კირკეს შევარდენთან დაკავშირების – შესაძლებლობას. ამ კონტექსტში ფრინველს κίρκος პირველად ევ-სტათიოს თესალონიკელი ახსენებს „ოფისეას“ კომენტარში: Κίρκη δὲ νῦν μὲν συνηθῶς κύριον ὄνομα, ἐξ ἧς ποὺ καὶ Κιρκαῖον πεδίον. “Ὅτι δὲ καὶ ὄριθος ὄνομα ἢ κίρκη δηλοῦσιν οἱ παλαιοί.” Ὡν καὶ ὁ Αἰλιανός. “Ἄλλο δὲ τι ἢ τοιαύτη παρα τὸν κίρκον.”³

ევსტათიოსი კირკეს ნელინადთან, მის ოთხ მსახურს კი ნელინადის დროებთან აიგივებს. საფუძველი ამისათვის, ალბათ, ადრეული ეტიმო-ლოგიები, კერძოდ კი, კირკეს წრებრუნვასთან, რეკლურობასთან კავ-შირი უნდა იყოს.

XX ს-ში ამ ტერმინის ბერძნული ტრადიციისაგან იზოლირებულიად ახსნის ტენდენცია გამოიკვეთა.

რ. ვორდესიანი სახელში Κίρκη გამოყოფს ძირს *გორ/გრ (ბრუნვა, ტრიალი), აღნიშნავს, რომ იგი ბერძნული ტრადიციისაგან იზოლირებულად დგას და უძებნის მას ქართველურ პარალელებს *grgoli, girgoli, grkali, kirkali, grko (krko)*. იგი დასაშვებად მიიჩნევს ტერმინის ქართ-ველურ არეალთან დაკავშირებას.⁴

იყო მრდელიობა, განემარტათ Κίρκη როგორც სემიტური წარმოშავ-ლობის სიტყვა. ო. გრუპე მას სირიულად, ხოლო კალიფსოს მის ბე-რძეობაზე ახსენებს.

¹ S. Tochtermann, 1992, 85-86.

² კირკე, წამლების შემზავებელი (κυριῶσα), ან სიტყვისაგან κερκίς (საქსოვი მარქო). გაიძვერა ქალღმერთს კირკეებს ვუნოდებთ.

³ იხ. გორგია, VIII, 1970, 1: კირკე, ჩვეულებრივ, საკუთარი სახელია, საიდანაც არის „კირკეს დაბლობი“. ძველები მონშობენ, რომ კირკე ფრინველის სახელიც არის, მათ შორის ელიანოსიც, მაგრამ იგი „კირკოსისგან“ განსხვავდება.

⁴ P. Гордезиани, 1984, 208.

რობით სქესს მიკუთვნებული.¹ ამ ეპოქაში ენაწ დაწლილი უნდა ყოფილიყო და მხმარე სიტყვებისგან. მისი უმთავრესი მახასიათებელი პრედიკატულობა უნდა ყოფილიყო. არსებით სახელს კი, რომელიც მხოლოდ სულიერს აღნიშნავდა, თავდაპირველად, ალბათ, არ გააჩნდა საშუალო სქესი.² „მფინარე, – ნერს მ. მიულიერი, – აღნიშნებოდა როგორც „მჩქეფარე“ ან „მყვირალა“, ყოველი შემთხვევისათვის, როგორც აქტიური და სულიერი, როგორც მფედრი ან მამრი“.³ ყოველივე ეს გაპირობებული იყო აზროვნების თავისებურებით, მოეხდინა სამყაროს ჰერონიფიკარია. ეს კი, თავის მხრივ, მეტყველების საორჯარ სახვანებას განაპირობებდა.

რომაელები ფრინველს *κίρκος* უწოდებდნენ *accipiter*-ს, კლასიკურის შემდგომ ეპოქაში – *astur*-ს, რაე დალაქულოს, „ვარსკვლავებით მობატულოს“ აღნიშნავს და არნივის ერთ-ერთი სახეობის დასახელებიდან (*asterias*) არის მიღებული. *Astur* გვხვდება ესპანურში, პორტუგალიურში, იტალიურსა და პოვანსულში. იგი ასევე აღნიშნება სახელით *falco*, რაე „კლანჭებს“ ნიშნავს და ძალაგ-იდან უნდა მოდიოდეს.⁴

პლინიუსი ამ ფრინველის აღნიერისას აღნიშნავს, რომ ის მალეა ეაში უმშენიერეს კამარას კრავს.⁵ ეს, შესაძლებელია, საფუძველი ყოფილიყო ლეგენდისათვის, რომ აღამიანებმა საყის მართვა შევარდნისგან ისწავლეს. ფესტუსი საუბრობს ერთი ფრინველის შესახებ, რომელსაე *circanea* ჰქვია, რადგან იგი ფრინისას კამარას შემონერს.⁶

შევარდენი ანტიკურობაში ზიუასთან, ასტრალურ და მინისქვეშეთის ღვთაებებთან დაკავშირებული წმინდა ფრინველია. იგი აპოლონის ჰეროლოდია და მნიშვნელოვან როლოს ასრულებს ავგურალიებში.⁷ ჰიგინუსის მიხედვით, აპოლონი შევარდნად აქრევს დედალოსს. იგი უკავშირდება მარსს.⁸ შევარდენი გამოსახულია კბელიეს ერთ-ერთ რელიეფზე. ძველი უნგრელები მას ლამისა და მფვარის ღვთაების, ალმუსის, წმინდა ფრინველად მიიჩნევდნენ და მოგვითხრობდნენ, რომ



¹ იხ. რ. გორდეზიანი, 1983, 11.

² შფრ. *Э. Тайлор*, 1989, 139-140.

³ *A.С. Козлов*, 1984, 16-17.

⁴ *O. Keller*, 1909, 18.

⁵ *Plin. nat.* X, 28.

⁶ *O. Keller*, 1909, 17.

⁷ *Porph. De abstin.* III, 5.

⁸ *Ov. ars.* II, 147.

იგი ამ ფრინველისაგან ჩაისახა. ეგვიპტეში შვეარდნის სახით გამო-სახავდნენ ჰორუსს. ერთ-ერთი ეგვიპტური მუმიის საფარველზე შვეარდნის სახით გამოხატულია სული, რომელიც თავს დასტრიალებს გვამს. შვეარდნთა თავანისხრების დამადასტურებელია ქალაქ ჰიერაკოპოლისის არსებობა ნილოსის სანაპიროზე.

ამ ფრინველის მუმიფირებული სახეობებს, რომლებიც ეგვიპტეში აღმოჩნდა, მერნერები დიფხანს იკვლევდნენ. ლორტეცისა და გაილარდის მიერ გამოკვლეული ხუთასი მუმიიდან ყველაზე დიდი რაოდენობა – ოთხმოცდათერთმეტი – *Falco tinnunculus* აღმოჩნდა.

ძველი ორნითოლოგები *accipiter*/ίέρπεξ-ის (ქორი, შვეარდენი) თექვსმეტ ქვესახეობას და სამ ძირითად სახეობას – *Κίρκος, Τριόρχης* (*Falco buteo*), *Αισάλας* (*Falco aesalon*) – გამოჰყოფდნენ.¹ ასაკისა და წელიწადის დროთა მიხედვით მათი ზუმბულის შეფერილობა იწვლევოდა, ამიტომ ხშირად მათი ერთმანეთისაგან გარჩევა თითქმის შეუძლებელი იყო.²

თუკი ურხოელი ავტორები *Κίρκος*-ს შვეარდნთა თუ ქორისებრთა ოჯახის უერთ ნარმომადგენლად მიიჩნევდნენ, ქართულ არეალში მას კონკრეტული შესატყვისი მოეძებნება. **კირკიტა**,³ შვეარდნთა რიგის ნიჟური მჭარებელი ფრინველი, შესაბამება *Falco tinnunculus*-ს – სწორედ იმ სახეობას, რომელსაც ეგვიპტელები ნმინდად მიიჩნევდნენ.

ქართული ენა სხვა საინტერესო ენობრივ პარალელსაც გვთავაზობს: თუკი **კირკიტა** მჭარებელი ფრინველის სახეობაა, **კირკიტი** ქართულის ერთ-ერთ დიალექტში ხალიჩის საქსოვ ხის ჩხირს აღნიშნავს.⁴ საქსოვ მაქოს კი (*Κερκίς*), როგორც ზემოთ იქნა ნაჩვენები, ძველი ავტორები ეტიმოლოგიურად კირკეს სახელს უკავშირებდნენ.

კირკეს სემანტიკური ველის სიკვების მოძიებისას ყურადღება მიიპყრო *μῶλυ*-ს ქართულმა შესატყვისებმა.

Μῶλυ-ს ეტიმოლოგიის კვლევისას ქართველ თუ ურხოელ მერნიერებს არაერთი მოსაზრება გამოუთქვამთ, თუმცა, დაბეჭდვით რაიმეს მტკიცება დღემდე შეუძლებელია.⁵ ამჯერად არ შევუდგებით ამ მასალის მიმოხილვას. ამის შესახებ ვრცელი სამეცნიერო ლიტერატურა

გაუგებრებელია.

¹ Plin. nat. X, 21; Aristot. hist. an. VIII, 3.

² O. Keller, 1909, 14.

³ რ. გორდუზიანი, 1985, 88; ი. ზაგრატიონი, 1986, 6; ქგლ 1986; ქცსკ 1984.

⁴ ქცსკ 1984.

⁵ გეორგივა, 1970; P. Гордезиани, 1984, 208; И. Гагуа, 1984, 65-68. იქვე დასახელებული ლიტ-რა.



არსებობს.¹ უდავოა მხოლოდ ის, რომ $\mu\alpha\lambda\upsilon$ არაბერძნული სიტყვაა და მას საყურადღებო ქართული შესატყვისი აქვს მოლის სახით. მოლს აკავშირებენ მოლოქთან, ზღოასთან, აიგივეტენ ზაღზასთან, ზოტანიკურ **Malva**-სთან.² ვფიქრობთ, უკვე არსებული მასალას საინტერესო შტრიხს შემატებდა ის დეტალიც, რომ ზოტანიკურ **Malva**-ს, ანუ ზაღზას, ქართულ დიალექტებში შეესაბამება: კორკოტა,³ კორკოტინა, ჩიტიპურა.⁴ ივ. ჭავჭავიძის მიხედვით, ეს მყენარე გავრცელებული ყოფილა ამიერკავკასიაში. მისი ღეროსაგან ქერელს ამზადებდნენ, ხოლო ზაღზას რძითა და ფქვილით შემზადებულ ფაფას სამკურნალოდ იყენებდნენ.⁵ ქართულში არსებობს ფორმალურად იმავე ძირიდან იმავე პრინციპით ნაწარმოები სიტყვა კორკოტი, რომელიც ხორბლის მრგვალი ფორმის მარჯვალს და ამასთანავე ერთგვარ რიტუალურ კერძს აღნიშნავს.

სახელებში **კირკიტა**, **კირკიტი**, **კორკოტა(ნა)**, **კორკოტი** შეიძლება გამოიყოს სიმრგვალის აღმნიშვნელი *კრ/კრ ძირი და კნინობითის მანარმოებელი **-იტა/-იტი/-ოტა** სუფიქსი. ქართულისათვის სახელოთა ამგვარი ნარმოება სრულიად ბუნებრივია.

ყურადღებას იპყრობს კორკოტის მომზადების დასავლეთ საქართველოში დღემდე შემორჩენილი ტრადიცია, რომელიც საქართველოს სხვა რეგიონებშიც არის გავრცელებული: ამ კერძის დასამზადებლად იყენებენ რძეში ან ნყალოში მოხარშულ დაწებვილ ქერს ან ხორბალს. მას უმატებენ თაფლს და ამ კერძითა და შავი ღვინით მიწვალუბულთა სულებს იხსენიებენ.⁶

თუკი გავითვალისწინებთ კირკეს კავშირს საიქიოსთან და მიზანშეწონილად მივიჩნევთ *კრ ძირიდან **-იტა/-იტი/-ოტა** სუფიქსით ნაწარმოები ტერმინების კირკეს ველის სიტყვებთან დაკავშირებას, აღბათ, უმნიშვნელო არ უნდა იყოს, რომ **კორკოტი** მიწვალუბულთა კულტთან დაკავშირებული რიტუალური კერძია. დღემდე გავრცელებული ტრადიციის მიხედვით, სწორედ **კორკოტი** და შავი ღვინო არის გარდაწვლილთა სულებს უპირველესი მოსახსენიებელი.

გადასწავლის საგანი

¹ მოლის სხვა ასპექტების შესახებ იხ. გვ. 28-29.
² ა. მაყაშვილი, 1961, 172.
³ ქცოსკ 1984.
⁴ ა. მაყაშვილი, 1961.
⁵ ივ. ჭავჭავიძე, 1986, 174.
⁶ ჯ. ზარამიძე, 1987, 56.

გავისხენოთ კირკეს ეპიზოდის ერთ-ერთი საკვანძო ადგილი, რო-
დესაჲ ქალოღმერთი ჟადონალოხით შეზავებული შეჯამანდს სთავაზოდს
ბერძენ მეზღვასურებს და შემდეგ კვერთხის ერთი მოქნევით ლორენდად
აქვეც მათ:

ἐν δὲ σφιν τυρόν τε καὶ ἄλφιτα καὶ μέλι χλωρόν
οἶνω Πραμνεΐω ἐκύκα...¹

კირკეს მიერ დაშავებული შეჯამანდი ყველის, ქერის, თაფლისა
და პრამნეული ღვინის ნაზავია.

აღზათ, არ იქნებოდა ბუნებრივი, გვეფიქრა, რომ კუნძულ აიაიზე,
რომელიც ვადმოქმედებს მიხედვით ზღვით შემორკალული ჩაკეტილი სი-
ვრეა, ქალოღმერთი პრამნეოსის მთიდან ჩამოჭანილ ღვინოს აზავებდა
შეჯამანდში. ჭრადიერიყოფად, Πράμνειος-ის ამგვარი თარგმანია მიღებული.²

სიგყვაში πράμνειος შეგვიძლია გამოვყოთ ვნებითი გვარის მიმღვინის
მანარმოებელი -μνος (μνη, μνοι) სუფიქსი და ძირი प्रा, რომელსაჲ
ა. გობელი *σπαρ-თან აკავშირებს. თავადიური s-ს დაკარგვის შემთხვე-
ვები ბერძნულში ხშირია (შდრ. ერთმანეთის პარალელური ფორმები
πέργυς//σπέργυς; πέργυλος//σπέργυλος და სხვ.). ამავე ძირიდან მომდი-
ნარეობს πάρ-т-ас, რომელსაჲ ჰესიტოსის ასე განმარტავს: παρτάδες·
ἄμπελος. ჰესიტოსის მიხედვით, πράμνη-საჲ იგივე მნიშვნელოზა აქვს:
πράμνη· ἄμπελος.

ამგვარად, ἡ πράμνη = πάρ-т-ас. Πάρ-т-ас-ში ნავულისხმევ შინაარსს
კარგად ხსნის *σπαρ ძირიდან ნანარმოები სხვა სიგყვა – σπάρτος;
σπάρτον – გრეხილი, ღვარჯნილი (თოკი).

აქედან გამომდინარე, οἶνος πράμνειος უნდა იყოს ველური ხვიარა
ვაზისგან დაშავებული ღვინო. ამგვარი ვაზი, განსხვავე-
ზით კულტივირებული სახეობებისგან, თავისუფლად იზრდე-
და და მისი ლერწი გამორჩეულად დაგრეხილია. მის
ნაყოფს კი მომწრო ზომის მომჟავო-მნიკლარტე მარჯვ-
ლები აქვს. ამიტომ მისგან დანსურულ ღვინოს, ჩვეუ-
ლებრივ, მხოლოდ შესაზავებლად იყენებდნენ, როგორც
ეს აღწერილია ჰომეროსთან (შდრ. κ235; Λ639).³



¹ κ234-235: ყველი, ქერი და ქარვისფერი თაფლი პრამნეულ ღვინოში აყრია...
² Πράμνειος – прамнийское вино, крепкое и терпкое, получившее название от
горы Πράμνη на о-ве Икария или одноимённого города близ Смирны или на о-
ве Лесбос. И. Дворецкий, 1958. об. W. Richter, 1968, 130: კირკეს კუნძულზე
იმპორტული ღვინის ნარმოდგენა აზსურდულია.
³ W. Richter, 1968, 130: „პრამნეული“ ნაკლებად ტკბილი იყო სხვა ღვინოებთან

ლიტერატურული წყაროებისა და გრაფიკული გამოხატულებების მიხედვით, კირკეს უმთავრესი ატრიბუტებია თახი/როდინი (ὄμιος),¹ კვერთხი/ნიკუპლა (ῥάβδος)² და საქსოვი მაქო, რა გვაფიქრებინებს, რომ იგი ოფისურ ზედსწერის განმგებელ ლვათადაყ გავაზრებოდა.³

ზემოთ მოყვანილ მასალაში შევერადე მერყენებინა, თუ როგორ აირეკლა კირკესთან დაკავშირებული უმთავრესი მითოსური პლასტები კირკეს სახელში.

ვფიქრობ, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს კირკეს ფუნქციებისა და ატრიბუტების ამსახველი ტერმინების ქართული შესატყვისების მიმოხილვა:⁴

- ქართ.** კარ-/კრ- ვ-კრ-ავ; შე-ვ-კარ; კრ-ვა; კრ-ულ-ი.
- მეგრ.** კირ- /კ'რ- დო-კირ-უ „შეკრა“; კირ-ყნ-ს „კრავს“; კირ-ყნ-ა//კ'რ-ყნ-ა „კვრა“; კირ-ილო-ი „შეკრული“; ო-კირ-ალო-ი „შეკრა (ფუთა)“.
- ლაზ.** კორ-//კ'ორ- ო-კორ-უ „შეკვრა“; ბ-კორ-უმ „კვრავ“; დო-კორ-უ „შეკრა“; ნ-ო-კორ-ს // ნ-ო-კორ-ს „აზია“; ქო-გვ-ა-კორ-უ „შემოხვია“; კორ-ელი-ი „შეკრული“.
- ლაზური კორ- ზუსტად შეესატყვისება ქართულ კარ- ძირს.
- *კარ- /კრ- არქეტიპი ქართულ-ზანურ დონეზე აღადგინა გ. კლი-

რამი ჩადგმული მიხვეულ-მოხვეული მალაი ხმა), **კრკინვა/გრგინვა** (ხმაი საზარელი მინისა ძრვისა), **გრილი** (ხმა ნისქვილო ზრუნვისა, ეტლოთა სრბოლისა), **კრილი** (კულის ხმა, კლდის ნაპრალოში კენჭთა ჩაყრის ხმა).

¹ მფრ. Theokr. 2, 15.

² ჰომეროსის პოემაში ქალღმერთი კვერთხის ერთი მოქნევით რხოველონდა აქრეცს გმირებს (იხ. k237-238). ყურადღებან იქრეცს ის გარემოება, რომ აპოლონიოს როფოსელი მაგიურ კვერთხს საერთოდ არ იხსენიებს „არგონავტიკაში“. ვაისმანი ῥάβδος-ის შემდეგ განმარტებებს გვთავაზობს: **лоза, розг, палка, посох, жезл, прут.** **Лоза**-ს ქართულში შეესატყვისება **კრიკინა**, ლერნი, ნნელი, რქა. **კრიკინა** ისევე როგორც რქა, ვაზის ნაზ, მიხვეულ-მოხვეულ ლერნს, ზაბილოს აღნიშნავს. მსგავს ინტერპრეტაციებს გვთავაზობს კურნუსი (**Reis, dünner Zweig**), ფრისკი, ლიდლ-სკოტი და ოსტროფი. 'H ῥάβδος-ს კიხსულოზდენ აგრეთვე როგორც მათრახს, შოლოცს. მფრ. N. Μαρινάτου, 1999: არქაულ პერიოდში ჯადოქრები გამოისახებინან ნკუპლით ხელოში. ეგვიპტურ გამოხატულებებში მათ გველი ენარვლენა.

³ დიდი დედა გამოისახებოდა როგორც უშველონელი ოზობა, როგორც ზედსწერის მქსოველი და სამყაროს შემოქმედი. ოზობა ქსელის რენტრში სამყაროს რენტრად, ხოლო კვირისტავი სამყაროს ლერძად გავაზრებოდა (მფრ. **Plat. Resp. 617D**). მასვე შეიძლება შევადართო მთვარე თუ მზე, გახვეული მათ მიერვე გამოტყორწილი სხივებში.

⁴ ძირითადად ცყერდნობი კლიმოვისა და ფეინრიხ-სარჯველაძის მიერ დამონმეხულ ფორმებს. მფრ. ჰ. ფეინრიხი, ზ. სარჯველაძე, 1990; Г. Климов, 1964.

მოვმა, *კრი – თ. გამყრელიძემ და გ. მაჭავარიანმა.

ქართ. გრკ-//კრკ-//რკ- გრკ-ალო-ი//რკ-ალო-ი; კირკ-ალო-ი (კახ., ინგ.); კრიკ-ალო-ი (ქიზ.); ვ-კრ-ავ; კრ-ულ-ი.

მეგრ. კირ-//კრ- დო-კირ-უ „შეკრა“; კირ-ილო-ი „შეკრული“; ო-კირ-ალო-ი „ფუთა“.

ლაზ. კირკ- ო-კირკ-ოლო-უ „დაკლაცნა, დახუჭუჭება“; ი-კირკ-ოლო-ე-ნ „იკლაცნება“; კირკ-ოლო-ერ-ი „დაკლაცნილი“; თომა-კირკ-ოლო-ერ-ი „თმახუჭუჭა“.

ქართული კრკალო- (*კრკალო-) ფუძის ზუსტი შესატყვისი ჩანს ლაზურ კირკოლო.

ქართ. კრ- კრ-იალო-ი; კრკ-იალო-ი (ს-ს.) „ნათება, ზრწყინვა“ (აგრეთვე ხმის გამოწერების მნიშვნელობით).

სვან. კკრ- ლი-კკრ-ე „ზრწყინვა; ნაკკრ-ი „კრიალი, ზრწყინვა“; კკრ-ე „ზრწყინავს“.

ეს ფუძე დამონმუშტულია ქართულის დიალექტებში კარ- ფორმითარ; კარკარი/კარკარა „წმინდა, გამჭვირვალე“, მოკარკარება „მოკრიალება“¹.

ქართ. რეკ- ჰ-რეკ-ს „სრემს, აკაკუნებს“; რეკ-ა// რეკ-ებ-ა „რემა, კაკუნი“; სა-რეკ-ელო-ი.

ჭან. რაკ- ო-რაკ-ალო-უ „რეკა“; ო-რაკ-ალო-ონ-ი „სა-რეკ-ელო-ა“.

სვან. რეკ-/რკ ლი-რკ-ჟნ-ი „დარეკვა“, ხჟ-ა-რკ-ქნ-ე „ვრეკავ“.

გ. კლიძოვს ეს ძირი საერთოქართველურ ფონემადე აპყავს.

როგორც ვხედავთ, ყველა ეს სიტყვა შეიძლება ადვილად *კრკ/კრ /რკ არქეტიპადდე, რომელიც არა უგვიანეს ქართულ-ზანური ერთობის ფონემადე, ზოგჯერ კი საერთოქართველურადდეურ აღდგება. მისი ძირეული მნიშვნელობა წრიულობის, სიმრგვალის აღნიშვნაა და იგი განხილული მითის მაგალითზე მთვარის მითოლოგიებში აწარმოებს.²

Κίρκος ერთდროულად წრესაყ აღნიშნავს და ფრინველის დასახელებ-ზაყა. ენა ომონიმიას გაყრბის და თუ ამგვარი ომონიმია მანერ არ-სებობს, აღბათ, სიტყვებს შორის ორგანული კავშირი უნდა ვეძებოთ.

კრკალო-ი კრკალო-ი კრკალო-ი კრკალო-ი კრკალო-ი კრკალო-ი კრკალო-ი

¹ რ. გორდეზიანი, 1985, 47.
² სონორის ქართულში შეუძლია აწარმოოს O, [ირ], [რი], [ორ] ალოფონები. თუ რამდენად კანონზომიერია ეს მოვლენა ქართულისათვის, იხ. თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965.

მესამე თავი კირკეს მითოსური ასპექტები და „ოფისეა“



მითი არის ტრადიციული ამბავი.¹ ტრადიციულია, ანუ გადაი-
რემა და ვრცელდება. ტრანსმისია კი მრავალი მხარის
მონაწილეობას, ინტერაქციულობას გულისხმობს. მაშინ რო-
გორ და რა დონემდე შეიძლება ინარჩუნებდეს იგი
თავის იდენტურობას ორალურ თუ ლიტერატურულ
ტრადიციებში? მითი არასოდეს არის ზუსტად ის, რასაუ-
რომელიმე ფიქსირებული „ტექსტი“ გვთავაზობს. ნებისმიერი
მონათხრობი მხოლოდ და მხოლოდ ვარიანტია. თავ-
დაპირველი „ტექსტის“ სხვადასხვაგვარი ტრანსფორმაცია იწვევს ამ „ტე-
ქსტის“ დამახინჯებას ინვარიანტული სტემის შენარჩუნებით.² ამდენად,
ნებისმიერი დონის „ტექსტის“ ინტერპრეტაციამ შეიძლება მიგვიყვანოს
კოდირებული მითოსურ შინაარსამდე. ამას, უპირველეს ყოვლისა, მი-
თოსური „ტექსტის“ განსაზღვრული სტრუქტურული ორგანიზაცია განა-
პირობებს, რომელსაუკონტრასტულობისა და სიმეტრიულობის პრინციპები
უდევს საფუძვლად და რომელიც, სხვა ელემენტებთან ერთად, მითის
მთავარი მაკონსერვირებელი მექანიზმია.

თვალსაზრისი მითის ვარიანტების სინონიმურობის შესახებ კირკეს
მითის უძველესი პლასტების რეკონსტრუქციის საშუალებას იძლევა.

კირკეს მითის ასპექტები

¹ დღეისათვის მითის უამრავი დეფინიცია არსებობს. მითი შეიძლება განისაზღვროს როგორც ამბები ლმერებებისა და გმირების შესახებ, ან კიდევ როგორც საკრალური, წმინდა ამბავი მოვლენაზე, რომელიც განხორციელდა უხსოვარ დროში, *in illo tempore*. ფსიქოანალიტიკოსებისთვის არქეტიპული კოლექტიური არაწილობრივი გამოძახილია, სტრუქტურალისტებისთვის – ნიშანთა სისტემა, რომელიც ბინარული ოპოზიციის პრინციპზეა აგებული და მყარ სტრუქტურულ ერთობას ქმნის. რიტუალური სკოლის მიმდევრებისთვის მითი არის რიტუალის ვერბალური დანამატი, რომელიც რიტუალს განმარტავს და ა.შ. ყველა ამ კონცეფციის მიმოხილვა ერთი ნაშრომის ფარგლებს სწილდება, ამიტომ ზოგადად აღვნიშნავ, რომ ისინი ძირითადად ერთმანეთისგან იმიჯნებიან იმის მიხედვით, თუ რას მიიჩნევენ გადაშენებულ მითის განსაზღვრისას: ა) მითის შინაარსს, ბ) ფუნქციას თუ დ) სტრუქტურას. მე ამოვდივარ ყველაზე ზოგადი და ფუნდამენტური განსაზღვრებიდან, რომ მითი ტრადიციული ამბავია (G. Kirk, 1973, 61-69: *Myth belongs to the more general class of traditional tale*). დანვრილებით მითის თეორიებთან დაკავშირებით იხ. E. M. Meletinskii, 2000 და იქვე დასახელებული ლიტ-რა. აგრეთვე W. Burkert, 1979, 1-33; W. Burkert, 1981, 10-35; H. Franz, 1975, 1-50.

² B. B. Иванов, В. И. Топоров, 1975.

კირკესთან დაკავშირებულ პრობლემებზე მსჯელობისას საქმე იმ ილბლიან შემთხვევასთან გვაქვს, როდესაც მითი უძველეს ლიტერატურულ ძეგლშია დაფიქსირებული. ამიტომაც ამოსავალ ტექსტად ვირჩევ „ოფისიას“, ძირითადად ვეპოვნობ ანტიკურ ლიტერატურაში გაბნეული მასალის შეპირისპირების პრინციპსა და ლინგვისტურ-კონტექსტურ ანალიზს.

კირკე და მილმური სამყარო

⊗ აიასს მითოლოგიური ცოპოგრაფია

ელოიდიდან ნამოსული ზერძნები ლესტრიგონებთან მოხვდნენ. კაქრფამია ანტიფატეს მხოლოდ ოფისიასის გეში გადაურჩა და რომელიღაც მონყალე ღმერთის შემნეობით უწნობ კუნძულის მიაღვა.

„მეგობრებო, არ ვიცი, სად არის დასავლეთი, არც აღმოსავლეთი, არც ის, თუ სად ეშვება სინათლისმომგვრელი ჰელიოსი მინაში, არც ის, საიდან ამოფის...“ (კ190-92) – ასე მიმართა ოფისიასმა მეგობრებს.

ამ კუნძულის აიასს უწოდებენ. ზერძნებს აქ საოყარი ჰერიპეტეივი ელით – ადამიანური სახის დაკარგვა, ღორად გარდასახვა, ჰერმესთან შეხვედრა და მაგიური ზღაპრის მოპოვება, კვლავ ადამიანური სახის დაბრუნება და ზოლოს ჰადესში მოგზაურობა.

აიასს ისტორიულ-გეოგრაფიული რეალიების შესახებ უკვე ვისაუბრეთ, მაგრამ „ოფისიაში“ კუნძულის ლოკალიზაცია ხილული სამყაროს უკიდურეს საზღვარზე და აქ განვითარებული უწნაური მოვლენები გვაფიქრებინებს, რომ ის განსაკუთრებულ მითოსურ სივრცეს წარმოადგენს.

აიასს განლაგება და აღწერილობა ჰომეროსთან იმთავითვე იპყრობს უყრადღებას. იგი ზღვით შემორკალული სივრცა (νήσιον, τήν πέρι πόντος ἀπειρίτος ἑστειφάινεται კ195). Στέφανოს-იდან (გვირგვინი) ნანარმოები ზმნის გამოყენება ამ კონტექსტში სიმრგვალებას და წრიულობას უსვამს ხაზს. ტყით დაზურული უკარგიელი კუნძულის შუაგულიდან ეწებლი ამოფის (καπνὸν δ' ἔνι μέσση ἕδρακον ὀθθαλμοῖσι διὰ δρυμὰ πικυὰ καὶ ἵλην კ196-97).¹ საკრალური სივრცის წრიული ფორმი



კვლევა

¹ ერთი მხრივ, უკარგიელი, მეორე მხრივ კი, უწნაურად ნაყოფიერი სივრცის სპერფიკას უყრადღება მიაქრია ვ. ვოლმა. მისი დაკვირვებით, ამგვარი ცოპოგრაფია ქალის, როგორც ანტიკულტურის (ანტირევილიზაციის) ნმინდად მამაკაცი ასოყრეის ასახვას უნდა წარმოადგენდეს. აქ მელავნდება მამაკაცი შიში, რომ თუკი ქალი

წარმოდგენა და მის წინაშე კოსმიური წყნების მოთავსება ჩვეულებრივი მოვლენაა მსოფლიო ხალხთა მითოსური აზროვნებისთვის. ეს მითოსური მოდელი შემდგომში საფუძვლად ედებოდა ზოგადად სივრცის ორგანიზებას. ამგვარ სქემატურ სურათს იმეორებს ტაძარი შუაგულში საკურთხევლით, ხოლო საწხოვრებელი ფართის ათვისების შემთხვევაში – შუაგულში განთავსებული კერია, რაზეც როგორც მოგვიანებით გვექნება საუბარი.

აქ, თლილი ქვეშით ნაშენებ მეგარონში, სართავ ჭარასთან მიდომოდის გრძნეული ქალღმერთი და ტკბილი ხმით მღერის,¹ მის გარშემო კი თვინიერი მხეცები დარბიან.

წრიულობა და სიმრგვალე სრული შესატყვისობას გვიჩვენებს როგორც კირკეს სახელოვან, ასევე მის ფუნქციებთან, რის შესახებაც სახელის ეტიმოლოგიის კვლევისას უკვე ვისაუბრეთ. კირკეს კერიკისთან (სართავი მატო, თითისჭარი) დაკავშირების შესაძლებლობაზე შევაჩერეთ ყურადღება. კერიკის-ის ლათინური შესატყვისის radius საქსოვ მატოსავე აღნიშნავს და გამოსხივებასაც. როგორც ჩანს, ქსოვა და დართვა ასტროლოგიური ღვთაებების ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობა უნდა ყოფილიყო და ეს ენაშიც აისახა.²

აიანას მითოსური სივრცის ორგანიზაციის თვალსაზრისით, ტექსტში კიდევ ერთი ტერმინი – ἴστος – იპყრობს ყურადღებას.

Ἐπιχομένη μεγὰν ἴστων „ოდისეაში“ კირკესა და კალიფსოს ფორმულა-ეპითეტებია (ε62; κ222; κ226; κ254). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქსოვ დაზვასთან მუშაობა და სელის ზეჯვა სანერძენეთში უძველესი დროიდან ქალის ძირითად საქმიანობად ითვლებოდა.

Ἰστων ἐπιχομένην καὶ ἔμὸν λέχος ἀνπίσασαι (მოჭრიალე ჭარასთან, ჩემს სარეწლოს იზარებს A31; Z456) – ამგვარად აღწერს აგამემნონი ქალის როლის ოჯახში.

განმარტებული სურათები

თავად განაგებს საკუთარ სექსუალობას, იგი ამჟღავნებს, არ გამრავლდეს. ამგვარი ღვთაებები არიან კირკე და კალიფსო, რომლებიც „ოდისეას“ მიხედვით უშვილონი არიან და მათი სექსუალობა მხოლოდ კუნძულის ქაოსურ და სამშინ ნაყოფიერებაში ვლინდება. მამაკურთხე გარეშე, რომლებიც მდედრის ნაყოფიერებას სოქიალორად პროფუტყილად წარმართავდნენ, მათ არ შეუძლიათ, შექმნან რაიმე რევილიონული. მათი ადგილ-სამყოფელი მხოლოდ დაზურული ჭუნგლებს ემსგავსება (V. J. Wohl, 1993, 23-24).

¹ სიმღერას, ქსოვილსა და წარაჭილ დისკურს შორის კავშირისთვის იხ. J. M. Snyder, 1980-81, 193-96; G. E. Kennedy, 1986, 5-14.

² იხ. M. Pashalis, 1997, 260-61.

ჭადოქარი კირკე ნორმალურის საზღვარს მიღმა არსებობს. იგი გარეულ წხოველებს, შესაბამისად, ველურ ზუნებას ათვისებენ. მან იქნის მადგიური ზღოხეების გამოჩნობა, ანუ საკრალურ წოდებას ფლობს. იქნის გზა ჰადესისკენ და, შესაბამისად, სკნელებში გადაადგილება შეუძლია – ფლობს სივრცეს. მისი კუნძული ახლოს არის საიქიოსთან, განთავსებულია რეალური სამყაროს უკიდურეს საზღვარზე, ერთგვარი კარიბჭეა ორ სამყაროს შორის, რომელიც უნდა გაიაროს ოდისევსმა, რათა ჰადესში მოხვდეს. უფრო მეტიც, იგი კვლავ უკან უნდა მობრუნდეს, თუ სამზოში დაბრუნება სურს.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, აიათა შუალედური სივრცეა, შუასკნელია, ის ადგილია, სადაც ქვესკნელსა და ზესკნელს შორის კავშირი მყარდება. იგი ლიმინალური, მარგინალური სივრცეა¹ და სამყაროს ლერძად, მიოთსურ რენტრად გვევლინება. ჩვენს ნინ კოსმიური სფეროს – ქვესკნელის, ზესკნელისა და შუასკნელის – კლასიკური კოსმოლოგიური სურათია.

☉ „სტუმართმოყვარე“ ქალღმერთი

ქვესკნელში არაერთი მინიშნებაა კირკეს კავშირზე მინისქვეშეთთან, მავალი-თად, ქალღმერთის „სტუმართმოყვარეობა“ ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, არასტუმართმოყვარეობა, რომელსაც ის იჩენს სტუმართა მიმართ.

ბერძენებს, რომლებიც ამ ურნაურ სივრცეში შეაბიჭებენ, ქალღმერთი მიყვალეულოთა საკვებს – ყველს, თაფლს, ქერსა და ღვინოს – სთავაზობს. იგი თითქმის იდენტურია იმ რიტუალური შესანიშნავს, რომელიც ოდისევსმა ჰადესის მისადგომებთან რხვის დაკვლამდე უნდა შესწიროს გარდარვლილთა სულეებს – თაფლის, ახალი ღვინის, ნყლისა და ქერის (კ518-520).

„ოდისეაში“ არაერთი ნადიმია აღწერილი და მათ მიხედვით რწ-რხალთა შესაფერისი საკვები ხორჩია და ჰური. ნიშანდობლივია ისიც, რომ რწა უფრო მოგვიანებით, როდესაც ოდისევსი კირკეს ჭადოქრობას გააუვნებელიყოფს და ქალღმერთი ლორაღქრულ მეზღვაურებს კვლავ ადამიანთა სახეს დაუბრუნებს, ისინი მთელი ნელი ხორჩს შეექრვიან (კ467-486).

☉ ელპენორის ამბავი

აიათ რომ განსაკუთრებული სივრცეა, ვფიქრობ, X სიმღერაში ელპენორის ამბის ჩართვაც მიუთითებს.



¹ N. Marinatos, 1995, 134.

ელპენორი არაფრით გამოჩეული გმირია და, ერთი შეხედვით, გაუგებარია, რა მიზანს უნდა ემსახურებოდეს ამ ეპიზოდის ჩასმა კირკეს ამბავში. მკვლევართა ნაწილი ეს პასაჟი ინტერპოლარიადაც კი მიაჩნია.¹

მივუყვით „ოფისეაში“ მოთხრობილ ამბავს.

ერთმა წელმა კუნძულოზე ნადიმსა და ფროსტარებაში გაიარა. ზოლოს და ზოლოს მშობლიური ითაკა გაახსენდათ ზერძენებს, მაგრამ მანამდე კიდევ ერთი გამოცდა ელოდათ – ჰაფესში უნდა ჩასულიყვნენ და ჭირესიასის წინასწარმეტყველებას მოესმინათ. ყველა სამზადისს შეუდგა. ელპენორს, ოფისეისს ყველაზე ახლოგაზრდა თანამგზავს, რომელიც არც ჭკუით, არც ვაჟკარბით გამოიჩეოდა, ნამთვრალევის სახლის ზანზე ჩასძინებოდა. ხმაურზე დაფეთებული ნამოხტა საწოდავი. თავგზააზნეულმა პირდაპირ ზანიდან გადმოაბიჯა. ხერხემალი გადაემტვრა და სული ჰაფესს გაუფრინდა. მისი წხედარი დაუჭირებელი და დაუძარხავი დარჩა აიაზე.

შავეთში ჩასულ ოფისეისს პირველი სწორედ ელპენორის სული შემოეგება. მჭირალმა მოუთხრო თავისი ამბავი, თუ როგორ დალუპა ღვინომ და ავმა დემონმა და დააფიქრა, უკან დაბრუნებულს საკადრისად ეპატრონა მისი წხედრისთვის.

ასევე მოხდა. აიაზე დაბრუნებულმა ოფისეისმა პირველი რიგში ელპენორი დაიჭირა, მისი გვაში ქუჩხლოს მისრა, სახსოვრად კი ყორღანი აღმართა, რომელშიც მისივე ნიჩაბი ჩაარჯო. მხოლოდ ამის შემდეგ შეიჭყო კირკემ მისი დაბრუნების ამბავი.

თუმიერ ელპენორი საკმაოდ უფერული გმირია, მის ამბავს ჰომეროსი „ოფისეას“ სამ სიმღერაში მოგვითხრობს (κ551-561; λ51-81; μ9-16) და მთლიანობაში 47 სტრიქონს უთმობს. ამ მონათხრობში ყოველი დეტალი მნიშვნელოვანია.

ელპენორი უშუალოდ სულეთში გამგზავრების წინ კვდება. იგი თვითონ ეუბნება ოფისეისს, რომ ღვინომ დალუპა. უნდა ვივარაუდოთ, რომ აქ ტაბუს დარღვევაზეა საუბარი, რაც სხვადასხვა ხაღხითა მითში ქაღღმერთის რისხვასა და გმირის დალუპვას ინვეცს.²

რედაქტორის შენიშვნა

¹ გ. ზემა ამ ეპიზოდსა და „ილიადას“ XXIV სიმღერას შორის საკმაოდ დამატებელი სტრუქტურული მსგავსება გამოავლინა. იხ. G. Beck, 1965, 1-29. რ. წანავას დაკვირვებით, ელპენორის//ზუტესის//მიზეუსის//პალინურუსის ამბავი ერთ სემანტიკურ მწკრივს განეკუთვნება და „კლდეზე თავდაყირა დაკიდებული მონადირის“ მოდელიში ჭდება. მკვლევარი უაღრესად საინტერესოდ მიმოიხილა ამ მითთა რიტუალურ ასპექტებს. იხ. რ. წანავა, 2001. ელპენორის ამბავი ადვილად თავსდება კირკეს ტიპის ქაღღმერთთა შესახებ თქმულებათა მწკრივში.

² შდრ. დალის და სამსუნის, აფროდიტეს და ადონისის მითები. უფრო დანვრდილე-

▣ ქალღმერთი და ტახის მიერ დაგლეჯილი გმირი
(სტესთა ოპოზიციის საკითხი კირკეს მითში)

„საჭირიკონის“ მიხედვით, ენკოლოპიოსს, რომელიც თავს მონად ასა-
ლემს, კირკე, მონების მოყვარული თავისუფალი ყოფაქცევის ნარჩინე-
ბული ქალი, პაემანს უნიშნავს.

ეპიზოდი, რომელიც კირკესა და ენკოლოპიოსის შეხვედრაა აღ-
წერილი, შეიძლება შემდეგ სტრუქტურულ ნაწილებად დაიყოს:¹

1. შეხვედრა კირკესთან. მასთან სასიყვარულო კავშირის დამყარების
მრეცლობა, რა იმპოტენციის გამო ფრუსტრაციით მთავრდება (126,12-
128,4; 131,8-132,5):

2. ენკოლოპიოსის განრღები და რეფლექსია (128,5-130,6; 132,6-133,1);

3. იმპოტენციისგან განკურნების მრეცლობა (130,7-131,7; 133,2-138,4).

პეტრონიუსისთვის პარადიგმა პომპროსისეული თხრობა უნდა ყოფი-
ლიყო და ამაზე, უპირველეს ყოვლისა, მთავარი გმირების სახელები
მიგვანიშნებს. ესენი არიან კირკე – თავისუფალი ყოფაქცევის ქალი და
ენკოლოპიოსი, რომლის მეტსახელი – პოლიენოსი (Polyaenos),² ანუ
„მრავალამბანი“ – ოფისევსის ერთ-ერთი სტანდარტული ეპიკლესაა.

„საჭირიკონს“ თითქოს არაფერი აქვს საერთო ძველბერძნულ
ეპოსთან. მის გმირებსავე მითოლოგიურ პერსონაჟებთან სახელის მეტი
თითქოს არაფერი უნდა აკავშირებდეს.

პეტრონიუსთან კირკე უარყოფს თავის ღვთაებრივ წარმოშობას და
ასე ეწინააღმდეგება პოლიენოსს:

'ita' inquit 'non dixit tibi ancilla mea me Circen vocari? non sum quidem
Solis progenies, nec mea mater, dum placet, labentis mundi cursum
detinuit (127, 32-35).³

ტექსტიდან უხადი ხდება, რომ ავტორისთვის უნორმალა კირკეს მი-
თის ისეთი ასპექტები, როგორცაა კავშირი მთვარესთან.

ღმერთი და გმირი

ვკვამი, პეტრონიუსის „საჭირიკონმა“ იგივე მითოსური პლანტები უნდა გამოავ-
ლინოს, რა პომპროსის ტექსტში იყო დამონმეზული.

¹ Petron. Sat. 126, 1- 139, 5.

² შტრ. πολλάιν Ὀδυσσεῦ, μέγα κῆδος Ἀχαιῶν (μ184). ეს ეპიკლესა, რომელიც
ფიქსირებული, სტანდარტული ეპითეტების რიგს განეკუთვნება, „ოფისეაში“ მხოლოდ აქ
არის დამონმეზული. იგი გვხვდება „ილიადაში“ (K544). πολλάινος-ის (მრავალი ამბის
მწოდვე ან მრავალსახელოვანი) მნიშვნელობის შესახებ იხ. P. Pucci, 1979, 129, შენ. 2.

³ აქარ და შემდგომში მოგვყავს მწკარედული თარგმანი: ასე, – ამბობს, – არ
გიხორა ჩემმა მოახლეებ, რომ მე კირკეს მეძახიან? ამასთანავე არა მზის შთამომავალი
ვარ, არა ღვთაებრივად იყოფა, თუ როგორ შეეჩერებინა წარმავალი სამყაროს სვლა.

კირკე ენკოლოპიოსს მოეგლინება როგორც მთვარე ღრუბლეზიდან: itaque miranti et toto mihi caelo clarius nescio quid relucente libuit deae nomen quaerere (127, 31-32);¹ delectata illa risit tam blandum, ut videretur mihi plenum os extra nubem luna proferre (127, 16-17).²

ჰეტრონიუსს არც კირკეს ჭადოქრობა აკვირვებს. ქალაქში, სადაც მოქმედება ვითარდება, ქალენს რისხვით მნათობთა მართვა შეუძლიათ: 'solent' inquit 'haec fieri, et praecipue in hac civitate, in qua mulieres etiam lunam deducunt' (129, 23-25).³

კირკეს მომწყობველი ხმა სირენებისას მიაგავს: tanta gratia conciliabat vocem loquentis, tam dulcis sonus pertemptatum mulcebat aera, ut putares inter auras canere Sirenum concordiam (127, 29-31).⁴

ჰეტრონიუსისთვის წინაპირობა ისიც, თუ რა საფრთხე ემუქრებოდა მამაკაცებს მასთან სასიყვარულო კავშირის დამყარების შემთხვევაში: quae striges comederunt nervos tuos (134, 25).⁵

იმპოტენციის გამო არქემდეგარი სასიყვარულო კავშირის შესახებ საუბრობს ოვიდიუსს და მამაკაცური უძლიერების მიზეზად ისიც „აიაიელის“ ჭადოსნობას მიიჩნევს:

Sed postquam nullas consurgere posse per artes
Inmemoremque sui procubuisse videt,
Quid me ludis? ait, quis te, male sane, iubebat
Invitum nostro ponere membra toro?
Aut te traiectis Aeaea venefica lanis
Devovet, aut alio lassus amore venis.⁶

⚠⚠⚠⚠⚠⚠⚠⚠⚠⚠⚠⚠⚠⚠⚠⚠⚠⚠⚠⚠⚠⚠⚠⚠⚠⚠⚠⚠⚠⚠

¹ ამგვარად, გაოჯნებული [ვარ] და არ ვიცი, მთელი რაზე უფრო ელვარე, რა ჩახახებდა და მოინდომა ქალომერთის სახელის გაგება.
² ის, ყველასაგან გამოჩნებული, ირინოდა ისე ტკბილად, რომ მომეჩვენა, თითქოს ღრუბლეზიდან მთვარე გამოვიდა მთელი თავისი სახეებით.
³ ჩვეულებრივ, ასე ხდება განსაკუთრებით იმ ქალაქში, სადაც ქალენს მთვარეზე ჩამოჰყავთ.
⁴ ისე მშვენივრად ერწყმოდა ხმა ნათქვამს, ისე ახარებდა და მსჯავლავდა ჰაერს ტკბილი ზგერით, რომ მომეჩვენა, თითქოს ჰაერში სირენათა ჰარმონია მღეროდა.
⁵ nervus=membrum virile
რომელიც სიხსლის მწველია შთანთქა შენი ასო.
⁶ Ov. am. 3, 7, 75-80: როდესაც დარწმუნდა ზოლოს – ამაოდ იღვწოდა თურმე,/ ნახა, მკვლარით ვგდვივარ და ხელს არ ვანძრევ ზრიყვი./იყვირა: მასხრად მიგ-ფენ? სულელი გგონივარ იქნენ?/თუ არ გინდოდა, ძალით ვინ მოვიყვანა ჩემთან?/ გეცობა, ყოფილობარ სხვაგან, სხვა ქალთან დაღლილობარ ასე./ან შეულოჯავს

ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ ამ შემთხვევაში პეტრო-ნიუსი ოვიდიუსის ელევგას უნდა ეყრდნობოდეს.¹ მაგრამ „სატირიკონის“ ავტორი კირკესთან დაკავშირებული მითვისური პლასტების იმდენად ღრმა წოდნას ამჟღავნებს, რომ ჩნდება ეჭვი, ხომ არ უნდა ყოფილიყო იმპოტენციის მოტივი თავდაპირველი მითვის კუთვნილება.²

იმის ასახსნელად, თუ რატომ ხდება შესაძლებელი ამ მოტივის კირკესთან დაკავშირება, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს, რა მითვისური შინაარსი იმალება „სქესის ნარმევის“ მითოლოგიის მიღმა.

თუკი გავხსენებთ სხეულის ნაწილების სიმბოლიკას, ვნახავთ, რომ ფალოსი, ისევე როგორც იარაღი, მამაკაცური ძლიერების ნიშანია. მასში არის კონრეტური მამაკაცური ენერჯია. გავხსენებთ თუნდაც ისეთი რწობილი ითიფალიკური სიმბოლოები, როგორც ჰერმეზა – ფალოსის ფორმის ქვის სვეტები, რომლებითაც ბერძენი ტერიტორიებს შემოსაზღვრავდნენ. ფალოსის ფორმას აძლევდნენ სასაზღვრო ქვეშ ნაწილონელები.³

შედარებით უფრო გავრცელებული ვერსიით, ჰერმეზის ტიპის ითიფალიკური ფიგურები, პირველ რიგში, ნაყოფიერების სიმბოლოს ნარმოდგენდა.⁴ XX ს-ის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, მეცნიერულმა კვლევამ ამ სიმბოლოს სხვა ასპექტი წამოსწია წინ.

ეთოლოგები დააკვირდნენ სხვადასხვა ჯიშის მამიუნების ქრევას: მათ ჯგუფს გამოეყოფა ერთ-ერთი, რომელიც საგუქავოდ მორწვზე უდნა და თავის სასქესო ორგანოს გამოაჩენს. როგორც კი უცხოტომელი გამოჩნდება, აღმართავს მას და რიტუალად ამოძრავებს.

აქ საუბარია ძალის დემონსტრირებაზე, რაც იმას გვაუწყებს, რომ ესა თუ ის ტერიტორია უფრო ძლიერის მფლობელობაშია.⁵ მეცნიერებმა შეადარეს ყოველივე ეს ადამიანთა ყოფას, გავლეს პარალელი ანტიკურ ჰერმეზთან და საინტერესო დასკვნამდე მივიდნენ – ამ ტიპის ითიფალიკური ფიგურები ადამიანისათვის ოდითგანვე ზუნებრივ,

გადასწავლილია

შენთვის აიაილის გრძელულის (თარგმანი მ. ლარიბაშვილის, ოვიდიუს ნაზონი, 1987).


¹ შდრ. J. Adamitz, 1995, 324-325.

² ამ თვალსაზრისს ყველა არ იზიარებს. მაგალითად, მულოდერს შეუძლებლად მიაჩნდა, რომ ეროტიკული მოტივი თავდაპირველი ყოფილიყო. ასევე ე. მიროს მიაჩნდა, რომ აქ კასტრარისა და ნაყოფიერების რიტუალის დანახვა ისევე გამოიყვანება, როგორც ქალღმერთის მიერ გამოგზავნილი ირემში რიტუალურის ამოკითხვა. დისკუსიისთვის იხ. G. Beck, 1965, 9, შენ. 2.

³ შდრ. W. Burkert, 1972, 70.

⁴ M. Nilsson, 1992, 118-119.

⁵ D. Fehling, 1974, 8-9.



უკვე რუდიმენტად ქრული მუქარის გამოხატვით
 უსტიკლადი საკულტო რემინისცენიას უნდა
 წარმოადგენდეს. ჰერმა მიმართულია არა
 მინის ნიალისკენ, როგორც ნაყოფიერების
 სიმბოლო, არამედ ზეალმართულია, ისევე
 როგორც მოღერებული მახვილი.¹
 ზეალმართულ ფალოსს, რომელიც აგრესიულ
 შინაარსს ატარებს, მითოსურ აზროვნებაში ზუ-

ნებრივად ენარცვლება იარაღი.

არქაულ სამონადირეო საზოგადოებაში მამაკაცის სპერმიფიკურ როლის მისი სექსუალური და სარძოლო-სამონადირეო ფუნქციები განსაზღვრავდა, რაც აგრესიით იყო ნასაზღვრები. მამაკაცი, რომელიც რდილობს ქალს დაეუფლოს, მონადირედ გაიზარება, ქალი კი მის მსხვერპლად. ჭობი თუ კეტი, შუნი თუ მახვილი, რევოლუციური თუ ზარბაზანი – საზოგადოდ იარაღი, მამაკაცის ატრიბუტად ითვლება და თითქმის ენარცვლება სასქესო ორგანოებს ქვის ხანიდან მოყოლებული თანამედროვე რეკლამების ჩათვლით. დარტყმა და მიზანში მოხვედრა, შეჯახება და გახვრევა ამბივალენტური ტერმინებია და ამასვე ასახავს ამ სიტყვების ორმნიშვნელოვნება ენაში.²

ამდენად, განიარაღებული და პოტენციანარმეული/კასტრირებული მამაკაცი ერთ სემანტიკურ მსკრივში განიხილება.

თუკი თვალს გადავავლებთ მითებს, დავინახავთ, რომ საჭურისები სრულიად განსაკუთრებულ როლს ასრულებენ დიდი დედის მითებსა და რიტუალებში.³ საჭურისები იყვნენ კიბელებს, არტემის ეფესელის, ჰიერაპოლისელი ასტარტას ქურუმები. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისინი რდილობდნენ მიეზამთ ქალღმერთის მითიური სატროფონისთვის.⁴

გადავხედავოთ რუდიმენტული საკულტო რემინისცენიას

¹ W. Burkert, 1972, 82.

² შდრ. ქართული უარგონები „დაჯახება“, „გარტყმა“, „გაკვრა“, „დახვრევა“ და სხვ., რომლებიც ერთდროულად იარაღის სროლასავე აღნიშნავს და სასქესო აქტსავე.

³ კლასიკური ეპოქის საბერძნეთში დიდი დედის კულტი უკანა პლანზე იყო გადახრილი. ნინაპომეოსელი ეპოქასა და ელინისტურ-რომაულ პერიოდში კი, როდესაც არქაიკის რესტავრაცია ხდებოდა, იგი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა. ძვ.წ.ალ-ის 204 წელს დიდი დედის კულტი შეიტანეს რომში. რამდენადაც ენობრივია, რომაული რიტუალები ფრიგიულია იფენტირია და გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ორიგინალზე. შდრ. A. Лосев, 1957, 64; W. Burkert, 1972, 85-96; M. Nilsson, 1992, 640-657; Th. Nöldke, 1907, 150-152.


⁴ დიდი დედის კულტმსახურები ან საჭურისები არიან, ან ქალის განსაქმელს იყვამენ, ან ქალების რეკვებს ასრულებენ. Дж. Фрезер, 1986, 327-331; L. Deubner, 1966.

ამგვარი მიზეზის უძველეს ვერსიებში დედა-ქალღვთაებმა „ზიქრიურ მიქავადარ“ გაიაზრება. მას არ ჰყავს ერთი მუცელი. იგი მუცდმავად პარტნიორთა მოლოდინშია, რომლებსავე ერთი და იგივე საფრთხე – მამაკაცობის დაკარგვა – ემუქრებათ.¹

ყოველმშობელი მდედრული სანყისის მუცდმივი განახლება და გაძლიერება მსხვერპლად მამაკაცურს ითხოვს.²

ამ, ერთი შეხედვით, სრულიად ფანტასტიკურ ვარაუდს, რომელსაც რეალობასთან საერთო თითქოს არაფერი აქვს, საგულისხმო შესაძლებლობის მოქმედება ზოოლოგიაში. როგორც უკვე ითქვა, დიდ დედას, როგორც ზედისნერის მქსოველსა და მარეგულირებელს, სხვადასხვა ხალხები ობობის სახით წარმოიდგენენ.³ ობობა, რომელიც ანდრეას-დონს რენტრშია მოთავსებული, სამყაროს რენტრად გაიაზრებოდა და თავისდავე სხივების ბაღეში გახვეული მნათობების ანალოგს წარმოადგენდა.

თუკი ფეხსახსრიანთა ამ უძველესი წარმომადგენლის ქრევის მოდელს ჩავუყვირებთ, დიდი დედის შესახებ მოთხ-



გადასახელებული მხარეების აღწერა

223. სანტერესო პ. ფრიდრიხის თვალსაზრისი, რომელიც კირკეს, კალიფსოსა და ინოს აფროდიტეს ალომორფებად მიიჩნევს: „კირკე ფსიქოლოგიურად გამართლებული სტრუქტურული ვარიანტი და ალომორფია აფროდიტისი“. იგი განიხილავს აფროდიტესა და ანტიზესის მითს და ურადღებებს ამხვეილებს საფრთხეზე, რომელიც ქალღმერთისგან მოდის: „მისი სიყვარული ხშირად სიძულვილის ჰგავს და ამ სიყვარულის შედეგი ფატალურია“. აფროდიტე არღუნებს ანტიზესს და თვითონვე მთავრდება თავი დაისაყურისოს. კალიფსოსა და ოდისეისის შემთხვევაში, კალიფსო გმირთან სასიყვარულო კავშირს ამყარებს, მაგრამ შემდეგ მისივე ნების საწინააღმდეგოდ ტოვებს ოგიგიაზე. ფრიდრიხი ამ შემთხვევებს შორის არა მხოლოდ ტიპოლოგიურ, არამედ ფუნქციურ მსგავსებასაც ხედავს. იხ. P. Friedrich, 1978, 47, 80-81, 96. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აფროდიტე მსგავს მიმართებაშია დიდ დედა ღვთაებასთან. ასე რომ, უფრო მართებული იქნებოდა გვთქვა, რომ კირკე დიდი დედის ალომორფია.

¹ შტრ. N. Marinatos, 1995, 137-138: იგი რხობრობს განმარტობით და არ არის დამარ. კირკე თვითონ ირჩევს მამაკაცებს.

² J. Yarnall, 1994, 46: "In all these myths, the sacrifice of the male, though not overtly desired by the Goddess, serves to reaffirm her power, for she remains alive and intact to supervise the forces that will bring about the lover's regeneration."

K. Kerényi, 1944, 76-78: "Das Schicksal des Agdistis war der Untergang seiner Männlichkeit, damit das Weibliche in der Gestalt der Großen Göttin allmächtig erstehe. Im Kybelekult fordert diese Herrin der Berge und Wildnisse unumwunden das Opfer der Männlichkeit. Das ist die Gefahr, die alle ihre Gelibten, alle Attis bedroht.."

³ ამის შესახებ იხ. გვ. 52, შენ. 3, გვ. 59, შენ. 3.

რობილ ამბებთან საოწარმანად ანალოგიას აღმოვაჩინეთ. მას შემდეგ, რაც ანლაზუფას მოქსოვს (სხვათა შორის, ქსელის მხოლოდ მდედრი ობობა აკეთებს), მდედრი ობობა მამრის მოლოდინში ისვენებს. მაგრამ მასთან მიახლოებამ არც ისე ადვილია, რადგან იგი აგრესიულით გამოირჩევა. თუ მდედრი განწყობილია სტუმრის მისაღებად, გარკვეულ სიგნალს აგზავნის. ამის შემდეგ მამრი სახიფათო ზონაში შედის. მამრის მიერ განაყოფიერებული ობობა მისგან სხვა სარგებელს ვეღარ ხედავს და შესანსლავს მას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მდედრი ობობები თავიანთ დონორებს ანადგურებენ მას შემდეგ, რაც სიწყობის გასაგრძელებლად აუცილებელი ენერგიას მიიღებენ. მათ ამგვარი ქრევით არანაკლებ გაითქვეს სახელი, ვიდრე ანლაზუფების ქსოვით.¹

მითუმეტი ფედა ღვთაების შეყვარებულები ან თავს ისაყურისებენ, ან მათ ღორი/ჭახი გლეჯს. ოსირისს ტახადქრეული სეტი კლავს, გარეული ღორი იმსხვერპლებს თამუხს, ადონისი და აციხის ტახის ეშვზე ნამოეგებინან.

ღორის სიმბოლიკა, ვფიქრობთ, ნათელს ხდის, თუ რა განაპირობებენ ამ, ერთი შეხედვით, ორი სრულიად განსხვავებული მითის თანაარსებობას.

შინაურ წხოველებს შორის ღორს ყველაზე დიდი ნამატი ჰქონდა. შეიძლება ამიტომაც, ადრენეოლოთის ეპოქაში მისი მომრგვალებული სხეული მინდვრის ნაყოფიერების სიმბოლოდ გაიაზრებოდა. არსებობს სხვაგვარი განმარტებაც. როგორც პლუტარქესთან ვკითხულობთ, „ღორს თავყანს სწყემენ იმ მიზეზის გამო, რომ პირველად ამ წხოველმა დაჭოვა მინის მჩიჩქნავი ფინგის ნვერით თოხის კვალი და ამგვარად გუთნის მუქაობა აჩვენა“.²

ამის გარდა, ჭადოქარი აიძულებდა მტარებლებს, ისე როგორც ნახიოს,
ერბინათ მის გარშემო.³ ის მზაკვრული ხრიკებით იმეორებდა იმას, რაუ
ოღესლარ ზრმა შემთხვევითობამ გამოიწვია. ფაქტობრივად, ეს შესაქმის
იმიტარებდა შეიძლება ჩაითვალოს.

რ. გლახისა და ს. ნატრელ-გლახის ინტერპრეტაციით, „ბიბრიფული
არსებები, როგორც ჩანს, გარდასახვის ნარსუმატებელ მრდელობას ნარ-
მოადგენენ. ისინი კირკეს გენური ტექნოლოგიის მანიპულარიათა ნარ-
ჩენები (**Abfallprodukte**) არიან.“⁴

„არგონავტიკა“ ანტიკური ლიტერატურის ისტორიის ის იშვიათი შე-
მთხვევაა, როდესაუ გარდასახული რხოველები ეპიზოდი არ ამულავენებს
პირდაპირ მიმართებას „ოღისეასთან“. აპოლონიოსი პირდაპირ არაფერს
გვეუბნება იმის შესახებ, რომ ეს უჩნაური ქმნილებები ქალომერთის
მაგიური ზემოქმედების ნაყოფია. თუმჯა „ოღისეაში“ მოთხრობილი ამ-
ბავი ამგვარ ასოციაციას მართლარ ინვეცს. აპოლონიოს როდოსელის
სტრიქონები ასევე ემპედოკლეს კონრეფრიას უნდა მიემართებოდეს.



¹ H. Fränkel, 1968.

² იბ. III თავი.

³ შდრ. H. Fränkel, 1968, 524.

⁴ R. Glej, St. Natzel-Glej, 1996, 196, შენ. 76.

აპოლონიოსამდე ორი საუკუნით ადრე, ძვ.წ. აღ-ის V ს-ში ემპედოკლემ ჩამოაყალიბა თეორია წოწხალ არსებთან სპონტანური წარმოშობის შესახებ. ამის მიხედვით, დასაწყისში პირველადი ელემენტების შეერთებით წარმოიქმნენ პირველადი ქმნილებები. დედამიანისგან „აღმოჩენდა მრავალი უცისრო თავი, შიშველი ხელები, რომლებსაჲ მხრები არ ჰქონდათ, რბოდნენ იქეთ-აქეთ და უშუბლო თავები მარტო დაეხეტებოდნენ.“¹ ისინი ერთმანეთს შემთხვევით შეუკავშირდნენ და ასე წარმოიქმნენ უწყნაური ნაზავნი (μεμειγμένα). მათში შერწყმული იყო ქალისა და კარის, წხოველისა და ადამიანის ნაწილები. ხარების მსგავს უწყნაურ ქმნილებებს სახე ადამიანისა ჰქონდათ (βουγείη ἀσθρόπρωρα), ადამიანის მსგავს არსებებს კი – ხარის თავი (ἀσθρόφρη βούκρανα).²

აპოლონიოსთან აღწერილი ქმნილებების მსგავსი ანთროპო-ზოომორფული არსებების ჰოვანა არა მარტო ემპედოკლესთან, არამედ კირკეს სიუჟეტის ამსახველ ადრეულ გრაფიკულ გამოსახულებებშიც შეიძლება. მათზე ძირითადად ორი ტიპის წხოველებია წარმოდგენილი: ა) რომლებსაჲ ყველა ორგანო წხოველისა აქვთ; ბ) რომლებსაჲ (როგორც ჩანს, მათ, ვინც უნინ ადამიანი იყო) სხეულის ნაწილი წხოველისა აქვთ, ნაწილი კი – ადამიანისა. ვარაუდობენ, რომ ამ შემთხვევაში³ სხვადასხვა წარმომავლობის სხეულის ნაწილთა აღრევა მხოლოდ ვარდასახვის აქტზე მისათითებლად ხდება.⁴

აპოლონიოსი, როდესაჲ წერხლნაკიდებულ მაგიურ ზალახებზე საუბრობს, ამბობს, რომ მათი მუშევრით „ადრე“ კირკე მოსულემს აჟაღოებდა (IV, 667: πάρος... θέλγ'). როგორც თანამედროვე კომენტატორები შენიშნავენ, აქ უნდა ივარაუდებოდეს ეპოქა, როდესაჲ ჰომეროსთან აღწერილი მოვლენები ვითარდებოდა. „არგონავტიკის“ ავტორი ამგვარად ჰომეროსის დროზე მიანიშნებს, თუმცა ქრონოლოგიურად არგონავტთა ლაშქრობა ოდისევსის ხეტიალს წინ უსწრებდა.⁵ სხვაგვარი თვალსაზრისით, უალრესად განსწავლულ ალექსანდრიელ

გაყვანილობის შემდეგ

¹ ს. დანელია, 1983, 188.

² H. Fränkel, 1968, 521-523. И. Толстой, 1966, 24-25. ემპედოკლეს მიხედვით, სქესის დიფერენციაჲა მორეული მოვლენაა. ს. დანელია, 1989, 177-191.

³ ეს, როგორც წესი, უფრო მითის ილუსტრაციაჲა და არა რიტუალური გამოსახულებები. ამიტომ მათი ამგვარად ინტერპრეტაციაჲა, განსხვავებით ზრინჯაოს ხანის გამოსახულებებისგან, მართლაც შესაძლებელია. შდრ. გვ. 85 შმდ.

⁴ М. И. Максимова, 1922, 145 შმდ.

⁵ R. Gleis, St. Natzel-Gleis, 1996, 196, შენ. 74: Im Epos gilt die Meta-Zeichnung der realen Literaturgeschichte.

პოეტს არ შეეძლო ოფისევის არგონავტების თანამედროვედ მიეჩნია. აშკარაა, რომ იგი კარგად იყნობდა მითის სხვა ვერსიებს, რომლებმაც ნაწილობრივ ჩვენამდელ მოაღწია ლარნაკნერის ნიმუშებზე გამოსატყულო სხვადასხვა წხოველების სახით. ასე რომ, ის უნდა მოგვიტოზრობდეს არა ოფისევის თანამედროვეებზე, არამედ მათ შორეულ ნინამორბედებზე.¹ ამ შემთხვევაში, აღნათ, ძნელია იმაზე მსჯელობა, თუ რას გულისხმობდა პოეტი. მნიშვნელოვანია ის, რომ ალექსანდრიელი პოეტი, რომელიც უყველოდ ფლობდა არგონავტიკის მითის ამსახველ უძველეს ნყაროებს, საუბრობს კირკეს მსლოებლებზე. მაგრამ არაფერს ამბობს გარდასახვის შესახებ. თუ კირკეს მსლოებლების აღნერილობას გავითვალისწინებთ, აშკარაა, რომ პოეტი ზუსტად არ იმეორებს ჰომეროსის ვერსიას, მაგრამ განიჭდის მის გავლენას და ამ ინფორმაციას აჯერებს, ერთი მხრივ, სხვა, შეიძლება უფრო ადრეულ ნყაროებთან, ხოლო მეორე მხრივ, თანამედროვე ფილოსოფიურ შეხედულებასთან. არ არის გამორიყხული ვივარაუდოთ, რომ კირკეს მითის უძველეს ვერსიაში საუბარი ქალომერთის თანამგზავრებზე უნდა ყოფილიყო, რომლებიც შემდეგ მისი ჭადოქრობის მსხვერპლოდ იქნენ გააზრებულნი.²

აპოლონიოს როდოსელი ჰომეროსისგან და სხვა ავტორებისგან განსხვავდებდა სხვა საკითხშიც. კირკე ჭრადირულად უარყოფითი ფუნქრით აღყურვილი პერსონაჟია. ჩვეულებრივ, იგი დაუნდობლობით გამოირჩევა. აპოლონიოსი, სხვათა მსგავსად, ხაზგასმით საუბრობს კირკეს მიხაკრობის შესახებ. „არგონავტიკაში“, ისევე როგორც „ოდისეაში“, კირკე აჯადოებს ყველას, ვინც მის სივრეში შეაბიჯებს.³ „არგონავტიკას“ „ოდისეასთან“ აახლოვებს ის, რომ ოფისევის მსგავსად (და სხვათაგან განსხვავებით), იასონი და მედეა ამგვარ სახერვლილებას გადაურჩებან. ოლონდ, აპოლონიოსთან, ჰომეროსისგან განსხვავებით, ამგვარი ლომბიერება ნათლოდ არის მოჭვივრებული. „არგონავტიკა“, ფაქტობრივად, ერთადერთი ნანარმოებია, სადაც კირკე მხოლოდ ჰოზიჭიურ ფუნქრისას ასრულებს. იგი, უპირველეს ყოვლისა, ჰიკესიოს-ზევისის ნებას ემორჩილება, რომელიც „დიდად ნყრება მკვლელებზე. მაგრამ დიდადაც ეხმარება მათ“.⁴ ზეკრად უფრო მნიშვნელოვანია მეორე ფაქტორი: ორივე – კირკერ და მედეა – მზის შთამომავლია



¹ И. Толстой, 1966, 28. გამოსახულებების შესახებ იხ. F. Canciani, LIMC VI, 55-59.

² ამის შესახებ საუბარი უკვე იყო III თავში. იხ. გვ. 87 მმდ.

³ Apoll. Rhod., IV, 667: ...πάρος ξείνους θέλγ' άμέρας.

⁴ იქვე, IV, 700-701.

და ერთმანეთის ახლო ნათესავი. მას შემდეგ, რაც მეფეს თვალეშმა შეხედავს, აიეჭის და მაშინვე ამოიწმინდოს თვის ტომს. როგორც აპოლონიონი-სი მოგვიტყობს, როდესაც კირკემ შენიშნა, რომ ქალწულმა თვალეშმა ზეგით ასწავლა, მაშინვე მოჰყვანა მისგან მშობლიური ენის გავლენა:

πασα γὰρ Ἡλίου γεινή ἀρίδης ἰδέσθαι
ἦεν, ἐπεὶ βλεφάρων ἀποτιλόθι μαρμαρυγῆσιν
οἷόν τε χρυσέην ἀντῷπιον ἴεσαν αἴγλην.¹

აღბათ, უმნიშვნელო არ უნდა იყოს, რომ ამ ვეებერთელა პოემაში მოქმედი გმირები მხოლოდ და მხოლოდ ბერძნულად საუბრობენ. ეს ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც ბარბაროსთა ენა გაიჟღერებს.²

კირკეს კუნძულზე მოსული სტუმრებრი თვალს მოკრავენ თუ არა ქალღმერთს, მაშინვე შეიწმინდენ მრისხანე აიეჭის დას.

...αἶψα δ' ἕκαστος
Κίρκης εἶς τε φυῆν, εἶς τ' ὄμματα παπταίνουτες
ῥεῖα κασιγνήτην φάσαν ἔμμεναι Αἰήταο.³

განმეზღვის რიტუალის შესრულების შემდეგ, კირკე მოსვლის მიზნის ჰკითხავს მეფეს და ისიც კოლხურად მოუთხრობს თავის თავგადასავალს. მხოლოდ აფსირტოსის ამბავს გამოტოვებს. მაგრამ კირკეს ეს შეუმჩნეველი არ დარჩება. ქალღმერთი „ოფისეადან“ წნობილ მისთვის დამახასიათებელ სტუმართმოყვარეობას არ გამოიჩინს წოდვითა მიმართ და კუნძულის დატოვებას უბრძანებს მოსულებს, მაგრამ უარეს ზოროტეებას არ განუზრახავს ნათესავს და მავდრებელს.

ἀλλ' ἐπεὶ οὖν ἰκέτις καὶ ὁμόγιος ἔπλευ ἐμεῖο·
ἄλλο μὲν οὖτι κακὸν μετίσομαι εἰθᾶδ' ἰούση.⁴

„არგონავტიკაში“ ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი დეტალი. თუკი პომეროსთან კირკე „ღვთაებრივთა შორის ღვთაებრივი,“ „აღამიანურად მოუბარი საშიში ღმერთია,“ აპოლონიონს როდოსელი მას ერთხელაჯ არ მოიხსენიებს როგორც ΘΕΑ-ს. საყურადღებოა ისიც, რომ აპოლონიონის კირკე, ტრადიციულად, ჭადოქრად ითვლება, მაგრამ პოემაში მოჭადლოების

¹ იქვე. IV, 727-29.

² H. Fränkel, R. Gleis, St. Natzel-Glei, 1996, 197, შენ. 79: Die Personen des Epos sprechen traditionell eine Art Koine: Dolmetscher werden nirgends gebraucht.

³ Apoll. Rhod., IV, 682-84: როგორც კი შეხედეს კირკეს გარეგნობასა და თვალეშს, ყოველი მათგანი მაშინვე მიხვდა, რომ იგი აიეჭის ღვიძლი და იყო.

⁴ იქვე. IV, 743-744: „რადგან ჩემი მავდრებელი და ნათესავი ხარ, ზოროტეებას არ განვიზრახავ“. ქალღმერთის პირქუში ბუნება თითქოს შერბილდება, როდესაც საქმე მის გვარ-ტომს ეხება.

ერთი სწენარ კი არ არის აღწერილი.¹ ელინისტურ ეპოსში კირკე ძირითადად ქურუმის ფუნქციას ასრულებს.²

„არგონავტიკაში“ მინიერებს დოდონეს ზოდისგან გამოთლილი მოლოპარაკე ანძა აფრთხილებს, რომ ისინი კირკეს კუნძულოზე უნდა მოხვდნენ. „ოფისეაში“, პირიქით, უწერს კუნძულოზე მისულია ოფისევსმა არაფერი იქნის იმის შესახებ, თუ სად იმყოფება, ქალღმერთს კი მანამდე ჰერმესი აცობინებს ოფისევსის სტუმრობის შესახებ.

„ოფისეას“ მიხედვით, რხოველები, რომლებიერ კირკეს გარემოწვაში გვხვდებოდნენ, ან მოთვინიერებული რხოველები არიან, ან გარდასახული ადამიანები, „არგონავტიკის“ მიხედვით კი – პირველადი ელემენტების შემთხვევითი შეერთებით წარმოქმნილი გაუგებარი არსებები. ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ აპოლონიოსთან მითის უფრო ადრეული ვერსია აისახა.³

როგორც უკვე ითქვა, „არგონავტიკის“ ავტორი ჰომეროსისგან გადაუხვევს მაშინა, როდესაც აიიას დასავლეთში ათავსებს. ჰომეროსის შემდგომი ტრადიციით, კირკეს აფილისამყოფელი დასავლეთში მოიპარება. აპოლონიოსი პირველია მათ შორის, ვინც ამბობს, რომ კირკე იტალიის მკვიდრი არ არის, ის აქ გადმოხანლებულია.

კირკე, როგორც იმთავითვე ითქვა, დაკავშირებული უნდა ყოფილიყო არგონავტების ლაშქრობის ამსახველ უძველეს თქმულებასთან. იგი აიეტის ღვიძლი და და მეფეას მამიდაა. ალექსანდრიული ეპოქის განსწავლული ავტორი ვალოდებულია ანგარიში გაუნიოს ამ გარემოებებს და ჩართოს იგი თავის ჰომეაში.


აპოლონიოს როდოსელი შრწყინვალე იწინებს ჰომეროსის ჰომეებს, მაგრამ კირკეს თემის დამუშავებისას ადრეტერმული ეპოსისგან მნიშვნელოვნად განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს. იგი, ჰომეროსის გარდა, სხვა წყაროებსავე ეყრდნობა – როგორც ლიტერატურულს, ასევე იკონოგრაფიულს, რა კვლევისათვის განსაკუთრებით საინტერესოა, მით უმეტეს, რომ ალექსანდრიულ პოეზიაში, მათ შორის აპოლონიოსის შემთხვევაში, მხატვრული სახე ხშირად ხელოვნების ნიმუშთა გათვალისწინებით იქმნებოდა.⁴



¹ Apoll. Rhod., IV, 666; 685-87.
² J. Yarnal, 1994, 80: She functions more as a priestess than as a goddess, and Apollonius never uses the word *thea* in reference to her. All in all, she is a minor character in the *Argonautica*, barely figuring in its plot but providing a stroke of the bizarre.
³ И. Толстой, 1966, 28.
⁴ იქვე, 1966, 25.

ეს ფაქტორები კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ჰომეროსის მიერ დამუშავებული მითის ვერსია არც ერთადერთი და არც უძველესი არ უნდა ყოფილიყო. სანამ ოდისეოსის ხეციალის შესახებ თქმულებების რიკოს დაუკავშირდებოდა, კირკეს სახე ჩართული უნდა ყოფილიყო არგონავტთა ამბავში. თუკი „არგონავტიკაში“ კირკეს სახე „ოდისეასთან“ შედარებით, უფერულია, ეს, ალბათ, პოეტის ინტერესებით უნდა იყოს განპირობებული. ძვ.წ. აღ-ის III ს-ში მოღვაწე, მერნიერებაში უაღრესად განსწავლული პოეტი, რხადია, ჰომეროსთან შედარებით ზევ-რად დაშორებულია მითოპოეტური აზროვნების სიღრმეებს. ალექსანდრიელი პოეტისთვის, ალბათ, მითოსური ინფორმაცია, პირველ რიგში, საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ეს არის მასალა მხატვრული სახის შესაქმნელად. შეიძლება, ეს განაპირობებს იმასაც, რომ „არგონავტიკის“ კირკე, მეფეას მსგავსად, „ოდისეას“ „ძლივამოსილ ღმერთთან“ შედარებით, მნიშვნელოვნად „გააღამიანურებულია“¹ იმდენად, რომ პოემაში ის, ფაქტობრივად, მხოლოდ ქსრუმის ფუნქციას ასრულებს. რჩება შთაბეჭდილება, რომ აპოლონიოს როდოსელს უფრო მეტად აინტერესებს ისტორიულ-გეოგრაფიული ინფორმაცია, რომელიც არგონავტიკის დანრუების ამზის მეშვეობით შეუძლია ამჩნოს მსმენელს, ვიდრე ამ ამბავში ჩამიფრული მითოსური შინაარსი.

გარდა ყოველივე ზემოთქმულისა, „არგონავტიკაში“ დაწყული რწონები, კიდევ ერთხელ აღძრავს ეჭვს, რომ კირკეს პროტოტიპი არაბერძნული გარემოში უნდა იყოს საძიებელი.



¹ ელინიზმისათვის დამახასიათებელი რეალიზმთან დაკავშირებით იხ. G. Zanker, 1987, აგრეთვე შდრ. C. R. Beye, 1982, 152: Circe the witch sounds more like an outraged middle-class matron.

რომელსაუკვე პირობითად „პომეროსისეული“ შეგვიძლია ვუწოდოთ, სამ ნაწილად იყოფა:

1. კირკესა და აიასის მოკლე აღწერა. უსრულდება გამახვილებულია ქალღმერთის ხმაზე, სიმღერასა და სართავზე (VII, 10–14);
2. გრძელელების მსხვერპლნი – ეხოველებად ქცეული ადამიანები (VII, 15–20);
3. ლვთაებრივი ჩარევა, რომლის მეშვეობითაც ტროელენი საფრთხეს უცნებლენი გადაურჩენიან (VII, 21–24).

ნეტყუნუსი ენეასის დამხმარეა ტრადიციით და ეს ტრადიცია პომე-როსს ემყარება. „ილიადას“ მიხედვით, აქილევსთან ბრძოლაში ენეასს პოსეიდონი მფარველობს, რომელიც მას და მის შთამომავლებს ტრო-ელენზე მეფობას პირდებოდა.¹ ვერგილიუსთან ენეასს მთელი მოგზაუ-რობის განმავლობაში ნეტყუნუსი ეხმარება. VII წიგნის მიხედვით, იგი ზუსრეკტარს უგზავნის ტროელენს, რათა მათ მშვიდობიანად აუარონ გვერდი კირკეს სამფლობელოს.

ვერგილიუსის ლმერთები უფრო განუცენებულნი და მიუნვლომეონი არიან.² „ენეიდაში“ ლმერთსა და მოკვდავს შორის ურთიერთობა აღ-რის ისეთი უწყალო, როგორც პომეროსთან. ენეასი კირკეს საერთოდ არ შეხვდება და, შესაბამისად, მასთან არც სასიყვარულო კავშირს ამ-ყარებს. ამდენად, ვერგილიუსთან დაკარგულია მთელი რიგი მითოსური პლასტებისა, რაც ამგვარ კავშირს ახლავს თან. პოეტს ენეასის უწყ-ნებები დიდოზე გადააქვს. ვერგილიუსი ერთი და იმავე ეპითეტიით მოიხსენიებს კირკეს და დიდოს და ამგვარად მიუთითებს მათ შორის მიმართებაზე.³ კირკეს საზიარო ეპითეტები აქვს აღეტქოსთანაურ. ორი-ვე მათგანი *venena*-ა (VII, 341: 354) და *monstra* (VII, 348: 376).

ვერგილიუსთან პადესში მოგზაურობას სიბილა განსაზღვრავს და არა კირკე. „ენეიდას“ გმირი უფრო ისტორიულ კონტექსტშია ჩასმუ-ლი, ვიდრე მითოლოგიურში. იგი ოდისევსისგან განსხვავებული ბრძო-ლებისთვის არის მზად. შესაბამისად, ნეტყუნუსის ამოუნაა, *pii Troes* (ლვთისმოსავი ტროელენი) *dea saeva*-სა (მკარრი ქალღმერთის) და *monstra*-ს (მონსტრის, საშინელების) გვერდის ავლით ნარმართოს.⁴ მავრამ ვერგილიუსი მინისქვეშეთთან კირკეს კავშირზე სხვაგვარად

გაგვიჩვენებს.

¹ იბ. V 288 შმდ., V 318 შმდ., V 307 შმდ.
² იბ. Ch. Segal, 1968, 429.
³ იბ. Aen. IV, 478-98 და 609-10.
⁴ Aen. VII, 19-21.

კატეს უნდა წარმოადგენდეს.¹ ვერგილიუსთან ეს ორი ჰომეროსისეული ხასიათი ერთმანეთს შეერწყა კირკეს სახეში.

„არგონავტიკაში“ მინიები გვერდს აუვლიან ოგიგეას,² აიაიაზე კი შეჩერდებიან. არგონავტთა ვიზიტი კირკესთან არ არის შემთხვევითი, ნინასწარგანზრახულია და ლმერთების მიერ ნანინასწარმეცხველები.³ ჰომეროსთანავე და „არგონავტიკაში“ ეს არის არა უბრალოდ საფრთხე, რომელიც უნდა დაიძლიოს, არამედ ΝΟΥΤΟΣ-ის აუქრილებელი პირობა.

ვერგილიუსთან კირკე მოიხსენიება როგორც *dives* (VII, 11).⁴ ამის შესატყვისი არც ჰომეროსთან გვხვდება, არც აპოლონიოსთან. ტრადიციულად, *dives*-ს თარგმნიან როგორც უხვს, მდიდარს, მარაქიანს. თვითონ ვერგილიუსი არ მიგვანიშნებს, თუ რას გულისხმობს ამ შემთხვევაში. იგი *dives*-ს ჰეზამეტრის პირველ ტერფში ათავსებს და ამგვარად განსაკუთრებულ დატვირთვას ანიჭებს.⁵ ფიქრობენ, რომ შესაძლებელია ეს კვლავარ „ოდისეადას“ იღებდეს სათავეს და კირკეს თლილი ქვებით ნაშენები მდიდრული მეგარონის აღწერას ეხმიანებოდეს.⁶ ვარონი ეპითეტს *divus*-ის (ღვთაებრივი) დერივანტად მიიჩნევს. ამგვარად ამოკითხული შინაარსი კი ჰომეროსისეულ *δῖα θεάων*-ს მიეძარება. ინტერპრეტაციითაა შესაძლებლობები ამით არ ამოინურება. როგორც ს. კირიაკიდისი შენიშნავს, რომაელ პოეტთა უპირველესობისათვის და საერთოდ, ტრადიციული რომაული მორალის მიხედვით, ის, რა მდიდრული იყო, უპირისპირდებოდა პოზიტიურს (*qualitas /quantitas*) და პოეტი ამგვარად კირკეს მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების გამოხატვას უწილობდა.⁷

გ ა მ ა რ ა ბ ი ა

¹ კირკესა და კალიფსოს ურთიერთმიმართების შესახებ დისკუსიისათვის იხ. K. Reinhardt, 1960, 77-87; F. Dirlmeier, 1970, 79-84; E. Kaiser, 1964, 197-213.

² იქვე, 573 მმდ.

³ Apoll. Rhod. IV, 580-88.

⁴ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოემაში ამავე ეპითეტით მოიხსენიება დიდო. *atque illi stellatus iaspide fulva/ensis erat Tyrioque ardebat murice laena/demissa ex umeris, dives quae munera Dido/fecerat, et tenui telas discreuerat auro.* (Aen. IV, 261-64). ამასთან დაკავშირებით იხ. R. Hunter, 1993, 179; S. Kyriakidis, 1998, 107.

⁵ იხ. R. Hunter, 1993, 178, შენ. 34; S. Kyriakidis, 1998, 93.

⁶ მდრ. κ210-11; κ252-3; κ348 მმდ.; κ365-70. მდრ. Met. XIV, 261-3. აგრეთვე Met. II, 1 მმდ., სადაც მზე-ლმერთის სასახლეს აღწერილი.

⁷ იხ. S. Kyriakidis, 1998, 107 და იქვე დასახელებული ზიბლოოგრაფია.

ჰომეროსთან კირკე „მშვენიერი ხმით მღერის“ (ὀπὶ καλὴ καλὸν ἀοιδιάει). ვერგილიუსთან არაფერია ნათქვამი ქალღმერთის „ტკბილ ხმაზე“. „ენეიდაში“ კირკეს უწყვეტი სიმღერა (adsiduo cantu) მსჯავ- ლავს გარემოს.

კირკეს ტერიტორია ვერგილიუსთან, ისევე როგორც ჰომეროსთან, საკრალური სივრცის ნიშნებს აჭარბებს.¹ *inaccessos...lucos* (VII, 11) – ასე ახასიათებს მას ჰოეტი. კომენტატორის მიხედვით, ეს იზოლირებული სივრცეა, სადაც სულიერი ფეხს ვერ დაადგამს: *inaccessos, inacces- sibles, inacedendos, non ad quos nullus accessit; nam Ulixes illuc venit. ergo "inaccessos" ad quos nullus debeat accedere...*²

როდესაც ტროელენი ტიბრის ყურეს მიადგებიან, ლამეს დღე შეეც- ლის, *vada fervida*-ს (მზით გამთბარ მერყის) – *lento marmore* (ზღვის გლუვი ზედაპირი), *adsiduo cantu*-ს (უწყვეტ სიმღერას VII, 12) – *cantu* (ჩიტების ჭიკჭიკი VII, 34), *inaccessos lucos*-ს (უყარეელ ფალოს VII, 11) კი *ingentum lucum* (დიდებული ტევრი VII, 29) ენაწვლდება. ამგ- ვარ ოპოზიციებზე აგებს ვერგილიუსი თავის თხრობას. კირკეს შემზა- რავი საუფლოს შემდეგ ტიბრის იდილიური ლანდშაფტი უფრო შთამ- ბეჭდავი ხდება. მე-15-20 სტრიქონებში დახატული სასახლის უფრტ- ვინველ ატმოსფეროს, სადაც კირკე მღერის და ართავს, ქვლის შიში და ძრწოლია, რომელსაც ქალღმერთის მსხვერპლთა ხმა ინვეცს:

Hinc exaudiri gemitus iraeque leonum
Vincla recusantum et sera sub nocte rudentum,
Saetigerique sues atque in praesepibus ursi
Saevire, ac formae magnorum ululare luporum.
Quos hominum ex facie dea saeva potentibus herbis
Induerat Circe in vultus ac terga ferarum (VII, 15-20).³

გაყვანილობა

¹ კირკეს სამფლობელოს აღწერილობას (როგორც ვერგილიუსთან, ასევე სხვა ავტო- რებთან) საინტერესოდ ეხმიანება სოფოკლესთან აღწერილი კოლონოსის წმინდა ტევრი, რომელიც, აღმათ, საკრალური სივრცის შესახებ ზერძენთა წარმოდგენის ერთ-ერთი საუკეთესო ილუსტრაციაა. „აქ ხომ ნიადაგ გალობს ზუღბული, ამ მწვანე ტევრში, ამ წმინდა ტევრში, ხმანკრიალია და სვედიანი, შეფარებული მუქ-მწვანე სუროს, ანდა კრძალულ და ღმრთისათვის შეწირულ ნაყოფით მდიდარ, მარად უმზეო, უზამთრისქარო უსიერ ტევრში, იქ, სადაც დადის აღტყინებული დიონისე...“ (სოფოკლე, „ოიდიპოსი კოლონოსში“, 669-706, თარგმანი გ. ხომერიკის).

² *Serv. ad Verg.* VII, 11: „მიუდგომელი, მიუვალი, მიუღწეველი, სადაც ვერავინ მიდი- ოდა ულისემდე. ამგვარად „მიუდგომელი“, რადგან არავის მართებს იქ მისვლა.“

³ აქ ისმის ღრიალი, რისხვა და ზრახვი ლომებისა/ზორკილებს (სკენილებს) რომ

კირკეს სახელის ეტიმოლოგიური ასპექტების მიმოხილვისას ითქვა, რომ უძველესი წარმოდგენებით, კირკე გრძნებით კრავდა, მაგიურ წრეში აქრევდა თავის მსხვერპლს. „ენეიდაში“ ამ ვარაუდს საკმაოდ აშკარა გამოძახილი აქვს. ვერგილიუსი, სხვა ავტორებისგან განსხვავებით, საუბრობს შენორკილი რხოველეზის შესახებ. არ არის გამო-რიჩხული, ეს უბრალოდ პოეტური ხერხი იყოს და სხვა არაფერი. თუმცა შესაძლებელია ისიც, რომ ვერგილიუსი ითვალისწინებდეს ერთ წინაპრს, რომელიც „ოდისეაში“ გვხვდება: ოდისევსი ფაკათა საჩუქრებს კრავს მაგიური ნასკვით, რომლის გაკეთებარ მას კირკემ ასწავლა (τ447-48).

ვერგილიუსთან *saeva dea*-ს (მკარრი ქალღმერთის) მსხვერპლნი ლომები, ტახები, დათვები და მგლები არიან (VII, 19-20). რხადია, ეს სრენა ჰომეროსს ემყარება, მაგრამ „ოდისეასა“ და „ენეიდას“ შო-რის ამ შემთხვევაში არსებითი სხვაობაა.

როგორც ითქვა, „ოდისეაში“ ორი ტიპის რხოველები გვხვდება: ა) კირ-კეს მიერ მონუსხული მგლები და ლომები, რომლებიც მანამდე ადამიან-ები შეიძლება არც ყოფილიყვნენ (κ212); ბ) *ἀρμακα*-ს (ვერგილიუს-თან, *petentibus herbis* VII, 19) ზემოქმედებით ლორად გარდასახული ბერძენები, რომლებიც მანამდე ადამიანები იყვნენ (κ233...).

ვერგილიუსთან ყველა ეს რხოველი კირკეს მიერ მონუსხული ადა-მიანია (VII, 19-20) და ისინი, ჰომეროსის თვინიერი მხერებისგან გან-სხვავებით, აგრესიულები არიან (VII, 15-16). ვერგილიუსი ჰომეროსის-სეული რხოველთა კატალოგს დათვებსავე ამატებს. შეიძლება, ამის სა-ფუძველს რომაელი პოეტს აძლევდეს კირკეს ეპიზოდის ამსახველი არაერთი ადრეული გამოსახულება, სადაც მრავალი სხვადასხვა რხოვე-ლია აღბეჭდილი. „ენეიდაში“ დასახელებულ ამ ოთხ რხოველს (ლო-მებს, ტახებს, მგლებს, დათვებს) ვხვდებით „გეორგიკებში“.¹ ამ ეპი-ზოდში ვერგილიუსი საუბრობს სიყვარულის დესტრუქციულ ძალაზე და ამბობს, რომ იგი ერთნაირად მოქმედებს ყველა როჩხალ არსებაზე – *amor omnibus idem* (244). ეროტიკული სიშმავე ამ რხოველებს უფრო საშიშს ხდის.²

გადასახელებული რხოველები

იშორებენ გვიან ლამით მოღრიალენი./ავრეთვე ჭაგრიანი ლორები და დათვები ბუ-ნაგებში/მრისხანებენ და დიდი მგლების სახიანი არსებები ყმუიან./რომელიც (იგ. სახეები) ადამიანებიდან ყოვლისშემძლე ბალახის მეშვეობით/ მრისხანე ქალღმერთმა კირკემ შემოსა მხერისავე ტორსში.

¹ Georg. 3, 242-83.

² რხოველთა ასეთივე ჩამონათვალს ვხვდებით აფროდიტესადმი მიძღვნილ ჰომეროსის

როგორც ვნახეთ, ე.წ. კირკე-ენეასის ეპიზოდში ვერგილიუსი ძირითადად ჰომეროსს ეყრდნობა და განსხვავება მასთან პრინციპულ ხასიათს არ ატარებს. ერთადერთი მნიშვნელოვანი სხვაობა ლოკალიზაციის საკითხშია. „ენეიდაში“ კირკეს სამფლობელო დასავლეთშია მოთავსებული. ვარაუდობენ, რომ ვერგილიუსი ამ შემთხვევაში „არგონავტიკას“ უნდა ეყრდნობოდეს.¹

☉ კირკე, ჰიკუსი და ჰელიოსის რხენები

ჰომეროსსა და ვერგილიუსს შორის მსგავსება, აღზათ, იმდენად სანიტერესო არ არის, რამდენადაც განსხვავება.

VII წიგნში გვხვდება ორი ფრაგმენტული მინიშნება, რომლის მსგავსი სხვაგან არსად არის დამონშეული:

Picus, equum domitor, quem capta cupidine coniunx

Aurea percussum virga versumque venenis

Fecit avem Circe, sparsitque coloribus alas (VII, 189-91).²

ლატინური ენასს რეწხლისმფრქვეველ რაშებს უძღვნის. კირკეს მამა-ჰელიოსისთვის მოუპარავს ულავი და მისგან სხვა ჭიში გამოუყვანია.³

კირკე-ენეასის ეპიზოდის მთავარი სურათი

ჰიმნი. იხ. HHA. 5, 69-74. კონტექსტი აქარ აშკარად ეროტიკულია. შეიძლება, პოეტი ამ შემთხვევაში საუბრობდა ადამიანთა იმ ტიპზე, რომელიც პიროვნული ნაკლოვანების გამო მიდრეკილია, ვახდეს ჯადოქრობის მსხვერპლი. ეს თვალსაზრისი უაღრესად პოპულარული იყო „ალეგორისტთა“ შორის. ვერგილიუსი, უფველია, კარგად იცნობდა ჰომეროსის კომენტარებსა და ალეგორიულ ინტერპრეტაციებს. S. *Tochtermann*, 1992, 120-26. S. *Kyriakidis*, 1998, 114-15.

¹ შფრ. *Apoll. Rhod.* III, 310-13. ამასთან დაკავშირებით იხ. R. *Moorton*, 1988, 253-59. აიიიას ლოკალიზაციის შესახებ საუბარი უკვე გვქონდა, ამიტომ აქ აღარ შევაჩერებთ უარაღღვანს. იხ. გვ. 37-42.

² ჰიკუსი, რხენთა გამხედნავი, რომელიც სიყვარულით შეპყრობილმა მეუღლე კირკემ ოქროს კვერთხის შესებით და ჯადოსნური შეჭამანდით აქრია ჩიტად და ფერები მიმოუფანტა ფრთებზე.

ჰიკუსისა და კირკეს რგლ-ქმრობის შესახებ დისკუსიისათვის იხ. R. *Moorton*, 1988, 254. M. *Putnam*, 1995, 106.

³ თუ კირკე ჰიკუსის კანონიერი მეუღლეა, მაშინ მას, *capte cupidine*-ს, რატომ უნდა მოუჯადოებინა საყუთარი ქმარი? რომაული ტრადიურა ჰიკუსს მრავალ ქალთან აკავშირებს. მაგალითად, სერვიუსის მიხედვით, იგი ჰომონაზე ქორწინდებდა. ოვიდიუსთან ჰიკუსის მეუღლე კანენსია. ერთი მხრივ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მითის ერთი კანონიური ვერსია არ არსებობდა. სხვა მხრივ კი, როგორც რ. მურტონი თვლის, უნდა ვიგულისხმოთ, რომ კირკეს შურისძიება უკვიანობით იყო ნაკანახევი. R. *Moorton*, 1988, 253-259.

Absenti Aeneae currum geminosquae iugalis
Semine ab aetherio, spirantis naribus ignem,
Illorum de gente patri quos daedala Circe
Supposita de matre nothos furata creavit (VII, 280-83).¹

ვერგილიუსის წნობათა ფონზე, ინტერესს იწვევს კირკესა და წირკს შორის შესაძლო კავშირი. კიდევ ერთხელ გავისხენოთ კირკეს სახელის ეტიმოლოგია. გავითვალისწინოთ ისიც, რომ რომაული წირკი მრგვალი ფორმის არენას წარმოადგენს. ერთი და იმავე ძირიდან ნაწარმოები ამ ორივე ტერმინის ძირეული მნიშვნელობა წრიულობაა. ასე რომ, *Circe* და *circus* აშკარად ეტიმოლოგიურად ურთიერთდაკავშირებული სიტყვებია. ახლა მივყვეთ სემანტიკას.

წელიწადის გარკვეულ დღეებში საწირკო არენაზე (*circus*) იმართებოდა საწირკო თამაშობანი (*ludi circenses*), რომელთა წინამორბედად ჩვენ უძველეს რომაულ აგრარულ დღესასწაულებს *Consualia*-ს მიიჩნევენ. ²¹ აგვისტოს, საზეიმო მსხვერპლშენიშვის შემდეგ, აქ პონტიფიკატთა თაოსნობით ქებთა და ეტლთა რბოლა იწყებოდა (*Dion. Hal.* II, 31, 2). ეს წეს-ჩვეულება ჩამოჰგავს ამავე ტიპის ასპარეზობებს, რომლებიც ელევსინიების, ოლიმპიური და სხვა ზერძული თამაშობების დროს იმართებოდა. ზოგიერთი ინტერპრეტაციით, საწირკო თამაშობანი ოფენლარ წარმოადგენდა მოსავლის აღების სადღესასწაულო რიტუალს, რომელმაც დროთა ვითარებაში სახე იცვალა და ტრიუმფალური სვლის მილიტარისტული ფორმა შეიძინა.²

როგორც წირკის არქიტექტონიკა, ასევე აქ გამართული თამაშობების სემანტიკა სოლარული სიმბოლოების სიჭარბეს ამჟღავნებს. წირკი წეს თაღის ხატი იყო (*circus imago poli*), წრიული რბოლა არენის გარშემო წიურ სხეულთა წრებრუნვას განასახიერებდა, *Circus Maximus*-ის შუაგულში აღმართული ობელისკი კი – ზეურის შუაგულს, სადაც მზე შუადღისას შეისვენებს. ზოგიერთთა დაკვირვებით, აშკარაა, რომ *circus*-ს მზე-ღმერთი – სოლი მფარველობდა, „რომელიც ოთხქებნა ეტლით ფანქავს სინათლეს“ (*qui quadriugo diffundit lumina curru*). კვადრიგა (ოთხქებნაშემული ეტლი) სოლარულ ატრიბუტად ითვლებოდა, ზიგა კი (ორქებნაშემული) – ლუნარული სიმბოლოდ (*Lunae biga datur*

რეკონსტრუქციის დეტალი

¹ (შარჩიეს) იქ არსებული ენასისისთვის ეტლი, სველი ქებნი რომ ჰქონდა შემული. წმიტმა კირკემ მამისგან ჩუმად ნესტოებიდან ჰაერში წეხლისმფრქვევლ ჭიშს ჭაკი შეუკვარა.

² I. Borsák, 1980, 59.



Solique quadriga). ყურადღება მიიქრია იმ გარემოებამ, რომ ამგვარი ასპარეზობებისას რხენები და ეჭლოები მზის სანინა-ნალმდეგო (ანუ საათის ისრის სანინაალმდეგო) მიმართულნი იყვნენ. სპორტული შეჯიბრებისას ეს ტრადიცია დღემდე დაწყლია. თუკი ეჭლი მზის იმიტაციას (solis imitatione), ხოლო ამგვარი რბოლები რურ სხეულთა მიზაძვა (ἀπομίμησις τῆς τοῦ κόσμου περιφορᾶς), მაშინ ეს ერთგვარ პრობლემას ქმნის, რომელიც ახსნას საჭიროებს.

უძველესი სპორტული ასპარეზობები აშკარად რიტუალურ ქმედებებს წარმოადგენს. ამდენად, მნიშვნელოვანია როგორც მოძრაობის მიმართულება, ასევე მრუდი.

მოძრაობა წრეზე და თანაერ მზის სანინაალმდეგო ტრანექტორით განსაკუთრებით ხშირად მიყვალბულთა კულტთან დაკავშირბულ რიტუალებში გვხვდება. ამაზე მიუთითებს ლიტერატურული წყაროებრ და არქეოლოგიური მონაპოვარირ.¹ „ილიადას“ XXIII სიმღერის მიხედვით, პატროკლეეს დატირებისას ამხედრბული აქაველები რხედარს სამკერ შემოუვლიან გარს (113-114). ხოლო თუ 332-343-ე სტრიქონებს დაკვირვებით ნავიკითხავთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ მოძრაობა ამ შემთხვევაშიერ მარჯვნიდან მარჯვნივ, თანაერ ჩაკეტილ წრეზე ხდება.²

მგავსი რიტუალები გავრბელებულია დღესაერ. თანამედროვე რიტუალს ზუნებრივად ჩამოშორდა რხენი და ეჭლი, სხვა ელემენტები კი თითქმის ურვლედი დარჩა. საქართველოში დღემდე საყოველთაოდ გავრბელებული სამგლოვიარო ნეს-ჩვეულება აურბელებლად ითვალისწინებს საათის ისრის სანინაალმდეგო მიმართულებით მიყვალბულის გარშემო წრიულ მსვლელობას.

განმარტავენ, რომ მოძრაობის ამგვარი ტრანექტორია, როგორც სიროქხლის მიმნიჭებელი, მზის ტრანექტორიის ანტინომია, სიკვდილის სემანტიკის მატარებელია.³

ზემოთ მოყვანილი მასალა ერთ-ერთი უძველესი რიტუალური მოდელის აღდგენის საშუალებას იძლევა, სადაერ ნაყოფიერებისა და სიკვდილის სიმბოლიკა ჟერ კიდევ ურთიერთგადატავულია და არ არის გამიჯნული.



¹ ამის შესახებ იხ. **Ф. Б. Балонов**, 2000, 194-95.
² დანვრილებითი სემანტიკურ-კონტექსტური ანალიზისთვის იხ. იქვე, 195.
³ **Ф. Б. Балонов**, 2000, 194-99.

სიკვდილისა და ნაყოფიერების ასპექტები ორგანული უნდა ყოფილიყო კირკეს უძველესი მითოსური სახისათვისა. ასე რომ, აშკარაა, რომ საწირკო თამაშობების კირკესგან წარმომავლობის შესახებ, რომელიც ძველმა წყაროებმა შემოგვინახა, მხოლოდ ეტიმოლოგიას არ უნდა ეყრდნობოდეს.¹

თუ არ ჩავვხვებით ერთ მინიშნებას ოვიდიუსთან, რხენს კირკეს წრის თქმულებებში ერთადერთი ვერგილიუსი ჩართავს. როდესაც აია-იელენისთვის წობილი მაგიური ტექნიკის შესახებ საუბრობს, ოვიდიუსი ტრადიციული ჭადრაკის, შელორცების და თითისჭარის გარდა, რხენის ლორწოსაც ასხენებს:


Scit bene, quid gramen, quid torto concita rhombo

Licia, quid valeat virus amantis equae (Amor. I, 8, 7-8).²

დღესდღეობით, ინფორმაციული დეფიციტის გამო, რხენთან დაკავშირებული პლასტის უფრო ვრცელად ინტერპრეტირება არ ხერხდება.

რამდენადაც ვერგილიუსის გარდა ამ თემას სხვა არავინ ამუშავებს, შეიძლება გვეფიქრა, რომ ეს მისი გამოხატობაა. მაგრამ თხრობაში ამ ნიუანსის ჩართვა, არც სტრუქტურული, არც შინაარსობრივი თვალსაზრისით, მნიშვნელოვან როლს არ ასრულებს. ამასთანავე ვერგილიუსი მხოლოდ მიგვანიშნებს ამ მითიურ პლასტზე, თითქოს აუდიტორიისთვის იგი იმდენად კარგად იყო წობილი, რომ განვრცობას არც კი საჭიროებდა. სხვა მხრივ, ბერძნულ წერილობით თუ იკონოგრაფიულ წყაროებში ამგვარი პლასტი კვლევის დღევანდელ ეტაპზე არ ვლინდება. უნდა ვივარაუდოთ, რომ კირკეს რიკლის თქმულებებთან რხენის დაკავშირება მას შემდეგ მოხდა, რა იგი დასავლეთმედიტერანული სამყაროს კუთვნილებად გადაიქცა. ეს, თავის მხრივ, ზადებს კითხვას, რამ განაპირობა ამგვარი „ჩართვა“.

თვალი გადავავლოთ კირკეს შესახებ ზოგიერთ



ღვთაებათა და მითების შესახებ

¹ Isid. Orig. XVIII, 28,2: „რომაელებს მიაჩნიათ, რომ გამოთქმა **ჩრკი** რხენთა წრეზე სრბოლიდან წარმოდგა, ბერძნებს კი – კირკესგან.“ Lyd. Mens. 12: „კირკემ საკუთარ მამას პატრივისწემის გამო, როგორც ჩანს, იტალიაში პირველი საჩხენოსნო შეჯიბრი უძღვნა.“ Tert. 8: „როგორც ამტკიცებენ, პირველი სანახაობა კირკემ თავის მამას – სოლს დაუწესა. მისგანვე (იგ. კირკე) გამოჰყავთ **ჩრკის** დასახელებად.“ ამ წრობების შესახებ ვისაუბრეთ ნაშრომის პირველ თავში. იხ. გვ. 44-45.

² ჭადრებს ამზადებს იგი ზალოხითა და ჭადო-კოჭით/ჭაკის ლორწოთიერ ძაღუსს მოაჭადოოს კარი (თარგმანი მ.ღარიბაშვილის), ოვიდიუს ნაზონი, 1987.

ამგვარად, კვლავ კირკეს მივაღებთ, საწირკო თამაშობების დამარსებელსა და ფავნუსის წოლს (ან დედას), ანუ მგელს, ვერგილიუსის მიხედვით, „მზის მდიდარ ასულს“, რომელიც დასავლეთმედიტერანულ არეალში გავრცელებისთანავე მარსის წრის ღვთაებებს დაუკავშირდა. უყვებოდა, რომაელებისთვის ტერმინები *circus* (წრე, წირკი), *circenses* (საწირკო), *circinatio* (წრებრუნვა), *circino* (შემორკალვა) კირკესთან ასოცირდებოდა.

როგორც დავრწმუნდით, ვერგილიუსი ძირითადად თქმულების ჰომეროსისეულ ვერსიას ეყრდნობა, მაგრამ კირკეს მითის კანონიკური ვერსიისგან განსხვავებულ პლასტსავე გვთავაზობს. აშკარაა, რომ რომაელი პოეტისთვის კირკე დასავლეთმედიტერანული მიოლოგიური სისტემის შემადგენელი ნაწილია. მიუხედავად იმისა, რომ „ენეიდას“ სიუჟეტის განვითარებისთვის კირკეს ეპიზოდი მნიშვნელოვან როლს არ ასრულებს, ვერგილიუსი მას თხრობაში მანერ ჩართავს და ჰომეროსის წინტრალურ ნაწილში – VII სიმღერის დასაწყისში ათავსებს. ქმნის რა კირკეს ლიტერატურულ სახეს, წხადია, ავტორი მას გარკვეულ ფუნქციას აკისრებს:

ა) კირკესა და მის მიერ სახერვლილი ადამიანების აღწერით პოეტი ამბფრებს ლატეუმის იდილიური ლანდშაფტის ეფექტს. მაგრამ, როგორც ჩანს, პოეტის მიზანი მხოლოდ ამით არ ამოინურება.

ბ) „ოფისეაში“ კირკეს კუნძულოზე ინყება გარდატეხა ირეალური სამყაროდან რეალურისკენ.¹ დაახლოებით ამგვარი საკვანძო ფუნქცია აკისრია კირკეს ეპიზოდს „ენეიდაში“. იგი, ფაქტობრივად, ასრულებს პირველ ექვს წიგნს, რომლებშიც ოფისევსის ხეციალის მსგავსი ამბავია მოთხრობილი და ინყებს მომდევნო ექვსს, რომლებიც ილიადასებურ ზრძოლებს აღწერს.²

ვერგილიუსთან კირკეს კომპლექსური სახე მნიშვნელოვნად რეფურირებულია. იგი, ჰომეროსისგან და აპოლონიოსისგან განსხვავებით, აშკარად უგულბებელიყოფს კირკეს სახის ჰუმანურ, პოზიტიურ ასპექტებს, გამოტოვებს ჰომეროსისეული ΠΟΤΥΛΑ ΘΕΡΑΨ-ისთვის დამახასიათებელი ნეგატიური თუ პოზიტიური ნიშან-თვისებების ვრცელ გამას. „ენეიდაში“ კირკე, პირველ რიგში, სიკვდილის ქალღმერთია და არა სიკვდილის და სიყვარულის ერთდროულად.³ ამგვარი „რეფურირების“

გაუგებრებელია.

რაობის იმიტირებას ახდენს, რადგან სინათლე მოფის მზისგან, რომელიც ზეწაზე გარკვეულ ტრანექტორიას შემონერს.

¹ P. Гордезиани, 1984, 219.

² J. Yarnall, 1994, 81; R. Basto, 1982-83, 42-43.

³ იხ. J. Yarnall, 1994, 80-81.

გარდაისახა. შემდეგ კი კვლავ დაიბრუნა ადამიანის სახე. ამდენად, იგი აღწერს არა მხოლოდ მეგობართა, არამედ საკუთარ განსაყრდელს. მკარეისის ჰერსონაეის ქეთხოვა ოვიდიუსის პოეტურ გამომგონებლობასა და ხელოვნებაზე მეტყველებს.

როგორც არაერთხელ აღინიშნა, სართავ-საჩიქრელი კირკეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ატრიბუცია. „ოფისეაში“ კირკე „დიდ უკვდავ ქსოვილის ქსოვს“ (κ222 ἴστοι... μέγαν ἄμφοτον). „ენეიდას“ მიხედვით, ენეასი გვირდს აუვლის კირკეს კუნძულს, ამიტომ მას არ ეძლევა საშუალება, თვალი გააფენოს ქალღმერთის საქმიანობას. მაგრამ ვერგილიუსი მანერ მოგვითხრობს ქალღმერთზე, რომელიც „ნაჭიფ ქსოვილის ბეჭავს“ (VII, 14: *arguto tenuis percurrans pectine telas*). ოვიდიუსი სავსებით უფულები-ბელყოფს ქსოვის სერენას. იგი სხვაგვარ აქვენტს აკეთებს.

*Nereides nymphaeque simul, quae vellera motis
nulla trahunt digitis nec fila sequentia ducunt,
gramina disponunt sparsosque sine ordine flores
secernunt calathis variasque coloribus herbas.
ipsa, quod haec faciunt, opus exigit, ipsa, quis usus
quove sit in folio, quae sit concordia mixtis,
novit et advertens pensas examinat herbas.*¹

ოვიდიუსი კირკეს ჰომეროსისა და ვერგილიუსისგან განსხვავებულ გარემოებაში წარმოადგენს. „მეჭამორფოზეში“ კირკეს სამყოფელი უწყაურ ლაზორატორიას ემსგავსება. აქ ქალღმერთის მოახლე ქალენი – მშვენიერი ნიმფები და ნერეიდები – ჯაღოსხურ ბაღახებს ახარისხებენ და ახმობენ (XIV, 277 შემდ.). ამ ბაღახთა ძალა და მათი ღობირების წესები კი კირკემ იყის.

ოვიდიუსი განსაკუთრებულ ინტერესს ამუღვენებს მაგიური ქმედებებისა და ზოგადად ჯაღოქრობის მიმართ კირკესთან დაკავშირებული ამბების თხრობისას, როგორც ულისე-კირკეს, ასევე პიკუსისა და გლაკოსის სიუჟეტების დამუშავებისას. ამას, უპირველეს ყოვლისა, ნაწარმოების სპერტიფიკა განაპირობებს. „მეჭამორფოზეში“ გარდასახვათა ამბები მოთხრობილი, რისი მიზეზიც, უმეტეს შემთხვევაში, ჯაღოქრობაა.

გადატანილია:

¹ XIV, 264-270: ნერეიდები და ნიმფები, რომლებიც თითების მოძრაობით არე მატყოს ართვენ, არე ძაფს ახვევენ. ბაღახებს და მიმობნეულ ყვავილებს ანესრიგებენ. კალათებში სხვადასხვაგვარ ჭრელ ბაღახებს გამოარულაკვეთენ. თვითონ (იგ. კირკე) აქ მიმდინარე საქმიანობას თვალს ადევნებს. თვითონ, რომელიმე უწყის სარგებელი, რარ ბაღახშია და მათი შერევების წესი, ამონებს ბაღახთა ნონას.

თუკი ლორად გარდასახვის ეპიზოდში რომელი პოეტი ჰომეროსს ემყარება და იმეორებს, „ჯადოს ახსნის“ რიტუალის აღწერისას იგი სრულიად ორიგინალურია.

spargimur ignotae succis melioribus herbae
percuteimurque caput conversae verbere virgae,
verbaque dicuntur dictis contraria verbis;
quo magis illa canit, magis hoc tellure levati
erigimur, saetaeque cadunt, bifidosque relinquit
rima pedes, redeunt umeri et subiecta lacertis
bracchia sunt. flentem flentes amplectimur illis
haeremusque ducis collo...¹

ჰომეროსთან კირკე ლორებს ჯადოსნურ ზაღახს (φάρμακον ἄλλο) ნა-
უსვაძს და ამგვარად გააუცნებელოფს შხამის მოქმედებას. ოვიდიუსთან
მთელი რიტუალი აღწერილი – კირკე შეზრუნებით იმეორებს სიტყვებს
და ჟესტებს, რომლებმაც თავდაპირველი ეფექტი გამოიწვია, კვრთხსა-
კი შეზრუნებს და ისე დაჰკრავს ქხოველებს. რამდენადაც ანალოგიის
პრინციპზე დაყრდნობით ტექნიკა დღემდე გამოიყენება როგორც მა-
გიურ, ასევე ჰომეოპათიურ პრაქტიკაში, იგი მიუჩინებელი განსაკუთრე-
ბული ინტერესს იწვევს.² რაჲ შეხება შეზრუნებულ მაგიურ ფორმე-
ლებს, მის ანალოგებს შეგვიძლია მივაკვლიოთ defixios-ის პაპირუსებში.³

ჰომეროსთან კირკე და ოდისევსი ზოლოს და ზოლოს თანხმობას
აღწევინ (κ457 შმფ., 569 შმფ.). ოვიდიუსთან ქალღმერთი ამ და სხვა
შემთხვევებშიც დაუწოდებელია (crudelissima).

მწერალი თხრობისას ერთ საოჯრად საინტერესო ლიტერატურულ
ხერხს მიმართავს, რაჲ მონათხრობს განსაკუთრებით მომხიბვლოლს
ხდის. ესაა „მონათხრობი მონათხრობში“. მაკარესი ენესსა და მის
მეგობრებს უყვება ამბავს, რომელიც მან კირკეს მსახურისაგან მოის-
მინა. ეს პიკუსისა და კანენის სიყვარულისა და კირკეს საშინელი
შურისძიების ისტორიაა.

✽✽✽✽✽✽✽✽✽✽✽✽✽✽✽✽✽✽✽✽✽✽✽✽✽✽✽✽✽

¹ XIV, 299-307: უწონი ზაღახის უკეთესი წვენი გვეპყრება, გვეხება თავზე
შეზრუნებული წკაპლა, ნათქვამის საპირისპირო სიტყვები გვესმის. რაჲ მეტს მლე-
რის, შემსუბუქებულნი ნიადაგზე მით მეტად ნამოვიმართებით. გვევივა ჯადარი,
გახლეჩილ ფხებს ტოვებს ნაპრალო, გვიზრუნდება მხრები და ძირს დაშვებული
კიდურები ხელები ხდება. აწრემლებულები, კუხვევით თვითონაჲ აწრემლებულნი
ნა-
ნამძლოლს ყვლიენ...

² A. M. Tupet, 1976, 396-401.

³ A. Audollent, 1904, n° 14; 58; 59; 60; 64; 67; 91; 104; 131.

☉ კირკე და პიკუსი (MET. XIV, 310-415)

ავსონთა მეფე, სატყურნუსის ვაჟი – პიკუსი, განთქმული იყო მშვენიერებითა და ნადირობით (XIV, 320-322). როდესაც საქორწინო ასაკმა

მოუწია, სიმღერაში დახელოვნებული ტყრფა ნიმიფა კანენსი (XIV, 333; 420), იანუსისა და ვენილიას ასული (XIV, 332 შმდ., 381). ერთ მშვენიერ დღეს კირკემ თავალი მოჰკრა სანადიროდ ნასულ პიკუსს და მისი მოხიზვლა მონდომა (346 შმდ.). ყმანვილი კანენსის ერთგული დარჩა. მაშინ ჯადოქარმა სასტკელის ნიშნად იგი კოდალად (picus) აქცია (XIV, 386), მისი მეგზურები კი საზარელ წხოველეზად (variarum monstra ferarum XIV, 414) – ასეთი იყო პიკუსის ამზავი, რომელიც კირკეს მხლეველმა ქალმა მოუთხრო მაკარეუსს.

პიკუსი, როგორც უკვე ითქვა, მარსის წრესთან დაკავშირებული პერსონაჟია, რომელიც თვალსაჩინო როლს ასრულებს რომაულ მითოლოგიაში. პიკუსის ჩიტად გარდასახვის ამზავს, როგორც ჩანს, თავდაპირველად ემილიუს მაკერის ორნითოგონიასთან დაკავშირებულ მითოლოგიურ თხზულებაში ვხვდებით.¹ მას მოიხსენიებს ვერგილიუსიურ „ენეიდაში“, ოღონდ პიკუსი და კირკე აქ მეუღლეები არიან.² ოვიდიუსის შემდეგ პიკუსის გარდასახვის შესახებ საუბრობს სალიუს იტალიკუსი.³

პიკუსი პიკენტერთა ტომის საკულოტო ფრინველი და იტალიკური მითოლოგიის ორგანული ნაწილი უნდა ყოფილიყო. სავარაუდოა, რომ კირკეს სახელიც ასევე საკულოტო ფრინველს უკავშირდება. ოვიდიუსმა პიკუსისა და კირკეს ამზავში გააერთიანა ეს ორი უძველესი იტალიკური და ზერძნული მოტივი.⁴

ამ ეპიზოდში ოვიდიუსი საოწარ პოეტურ ფანტაზიას და მაგიის საკმაოდ ღრმა როდნას ამჟღავნებს. როგორც ეს მოსალოდნელია, ნაწარმოების სპერიფიკიდან გამომდინარე, იგი პომპროსთან შედარებით, ზევრად უფრო დეტალურად აღწერს გარდასახვის სრენას.

კირკესა და პიკუსის ამზის რენტრალურ შირთვს მოჭადოების სრენა წარმოადგენს. ოვიდიუსის კირკეს ძალაუფლება აქვს არა მხოლოდ ადამიანებზე, არამედ ატმოსფერულ ძალებზეც. კირკეს ეს ასპექტი რწობილია ვერგილიუსისთვისაც:



¹ იხ. W. Fauth, 1999, 76.
² ამის შესახებ იხ. გვ. 118.
³ Sal. Ital. Pun. 8, 439-442.
⁴ ამასთან დაკავშირებით იხ. F. Bömer, 1986, 113-114.

Carmina vel caelo possunt deducere lunam,
carminibus Circe socios mutavit Ulixi,
frigidus in pratis cantando rumpitur anguis.¹

ხოლო ოვიდიუსი კრებულში „ტრფობანი“, როდესაც აიაიელი ჯადოქრის დიფსას გრძნეულებზე საუბრობს, წერს:

cum uoluit, toto glomerantur nubila caelo;
cum uoluit, puro fulget in orbe dies.
sanguine, si qua fides, stillanta sidera uidi
purpureus Lunae sanguine uultus erat.
hanc ego nocturnas uersam uolitare per umbras
suspicio et pluma corpus anile tegi.²

თვალსაზრისი კირკეზე, როგორც ქალღმერთზე, რომელსაც ბუნების ძალების მართვა ძალუძს, ისევ და ისევ „ოფისეადან“ იღებს სათავეს. როგორც XII სიმღერიდან ვიგებთ, ჰადესიდან დაბრუნებულ აქველებს კირკე მეგზურად ზურგქარს აახლოებს.³

„მეჭამორფოების“ მიხედვით, ვნებით შეპყრობილმა კირკემ რეალურად არარსებული ცახის ილუზია შექმნა და ეს ცახი მონადირის თვალწინ ჩააჭარა. ცახს გადაეცნებულ მიფე ღრმად შევიდა ცყეში. კირკემ მაგიური შელორვები წარმოთქვა. საიდუმლო სიტყვებით, რომლებითაც, ჩვეულებრივ, მთვარის ნათელ სახეს ამღვრევდა ხოლომე, უჩხო ღმერთებს მოუხმო. მამის წინ წყლით დამძიმებული რიფე მოქსოვა. მაგიური ფორმულების მეშვეობით რა გაუჩინარდა. ღედა-მინამ ნისლი შვა.⁴ მეფის მხლენელები დაი-



გაუფრთხილდნენ.

¹ Verg. ecl. VIII, 70-3: შელორვებს ძალუძს მთვარის ჩამოყვანა, შელორვებითვე გარდასახა კირკემ ოფისევის მეგობრები, რე ქვენარმავალს ველებზე სიმღერით გახლოებს.

² Ov. am. I, 8, 9-13: თუ უნდა რას შეკრავს ღრუბლით, ქვეყანას წყვიდადში გახვევს./თუ მოისურვებს, ისევ მზით გაანათებს ზურას./ვარსკვლავებს სდიოდათ სისხლი, მერნმუეთ, მე თვითონ ვნახე/და ანათებდა მნელში სისხლით ნაფერი მთვარე (თარგმანი მ.ლარიბაშვილის), ოვიდიუსი, 1987.

³ μ148-150: ცხვილად მომღერალმა ქალღმერთმა კირკემ მამინ ჩვენს ნავს მხლენლად აფრის ამშლელი ნიავი მოუვლინა.

⁴ Met. XIV, 365-370: Concipit illa preces et verba precontia dicit/ ignotosque deos ignoto carmine adorat./quo solet et niveae vultum confundere Lunae/ et patrio capiti bibulas subtexere nubes./tum quoque cantato densetur carmine caelum/et nebulas exhalat humus...

ოვიდიუსი, რომელიც მოგვითხრობს კირკეს მიერ მოხდენილი სასწაულის შესახებ, მას „სათქმელად საზღაპროს“ (*dictu mirabile*) უწოდებს. იგი ემყარება როგორც მითს, ასევე იმ დროისთვის არსებული ინფორმაციას მაგიურ ქმედებათა შესახებ. ოვიდიუსი იღებს ძირითად ტრადიციულ ელემენტებს, რომლებსაც ვერ შევწყვიტავ და მძაფრი პოეტური ეფექტის შექმნის მიზნით, ამდიდრებს მათ დამატებითი დეტალებით.

☉ კირკე, სკილა და გლავკოსი (MET. XIV, 8-74)

მაკარეუსის მიერ მოთხრობილი ამბავი მთლიანად ჰომეროსის ემყარება. პიკუსის შესახებ თქმულება ოვიდიუსამდე ვერგილიუსთან არის დამუშავებული და სხვა ავტორებთანაც გვხვდება. ამდენად, ეს ორი სიუჟეტი ტრადიციითაა ნაკარნახევი. რაჟ შეეხება სკილასა და გლავკოსთან დაკავშირებულ მოტივს, მას პირველად ოვიდიუსი ამუშავებს.

ზღვის ღვთაება გლავკოსს შეუყვარდა ქალის სკილა. მაგრამ საზარელი გარეგნობით შეძრწუნებულმა ასულმა, ყარყო მისი სიყვარული. ყრნაური ბალახით მოჭაფობულ გლავკოსს ხომ ტყანი აღამიანის, კუდი კი თევზის ჰქონდა. გლავკოსმა კირკეს მიმართა დახმარებისთვის. ქალღმერთმა დახმარების ნარვლად თავისი სარეველი შესთავაზა, თუკი გლავკოსი სკილას შეიძლება და სამაგიეროს მიუზღავდა. არ დათანხმდა გლავკოსი. მაშინ კირკემ, გლავკოსს არაფერი ავნო, მაგრამ სკილაზე იყარა ჯავრი. შეკრიბა ჯადოსნური ბალახები, ჰეკატეს შესთხოვა შემწეობა და რეგიუმისკენ გაემართა. აქ გრილდებოდა ხოლმე სკილა. ჯადოქარმა ნყლის ჯადობალახთა წვენი შეურია და ყრნობი შელორვები წარმოთქვა სამზღვის ქხრაჯერ. მონამლული ნყალში შესული სკილა მაშინვე გარდაიხსება. ძაღლის თავები ამოეზარდა და საზარელი ურჩხულად იქნა.

სხვა ვერსიის მიხედვით, სკილა ჰოსეიდონის სატრფო იყო და ჰოსეიდონის წოდებამ ამფიტრიტემ ეჭვიანობის გამო ურჩხულად აქრია იგი.¹ ან კიდევ, სკილა თავად ჰოსეიდონმა გარდასახა.²

რაჟ შეეხება გლავკოსს, იგი კარგად არის წნობილი ზერძული მთოლოგიაში. ზოგიერთი თქმულების მიხედვით, იგი განთქმული მეზადური იყო, რომელიც შემდეგ ზღვის ღვთაებად გადაიქნა. მაგრამ რაჟ შეეხება

¹ ამასთან დაკავშირებით იხ. F.Bömer, 1986, 19. *Serv. auct.* 6, 74; *in monstrum marinum*; *Schol. Lycophr.* 46 ἀπειρωμένη [650].

² *Schol. Bern. Verg. buc.* 6.74; *in beluas...in scopulum. Serv. auct. Verg. Aen.* III, 420; *cum illa Glaucum amaret...in hoc monstrum. Nonn.* XLII, 409; εἰναλίην θέτο πέτρην. ან კიდევ ტრიტონმა *exacerbatus a Circe venena accepit...et mare infecit.*

სკილასა და გლავაკოსის სიყვარულის ამბავს, მას პირველად ოვიდიუსი მოგვითხრობს. თუმცა, როგორც ჩანს, რალარ ლეგენდას მანამდე უნდა ეარსებოდა. მაგალითად, ათენაიოსი ამბობს, რომ ეს თქმულება ათენელმა ქალმა (III ს.), სახელიად ჰედელიმ მოუთხრო.¹ იგივე სიუჟეტი, მართალია, საკმაოდ მშრალად, მაგრამ მანერ ფიგურირებს ჰიგინუსის ერთ მითმი. ვარაუდობენ, რომ ოვიდიუსს აქ შეეძლო მისი ამოკთხვა.²

გარდასახვის რიტუალის დეტალები, ისევე როგორც წინა შემთხვევაში, აქარ უურადლებას იქრევს. ეს სრენა მთლიანად ჰოეცის ფანტაზიას უნდა მიენეროს და არა ლიტერატურული ტრადირიას.

ოვიდიუსი რამდენჯერმე ხაზს უსვამს ფორმულების და უესტების სამეზის გამეორების აუერილბლობას, გაუგებარი სიტყვების შეერთებით მიღებული ურნობი მაგიური ფორმულების მნიშვნელოვნებას.

მაგიურ ჰაპირუსებში მოთხრობილია ამ მეოთხის შესახებ. ფორმულათა უმრავლესობა, რომლებსაერ აქ ვხვდებით, არ ექვემდებარება ახსნასა და თარგმნას და ეს ნივნები ამტკირებენ ამ შელორვების მრავალგზის (მაგალითად, ჰარიზული ჰაპირუსის მიხედვით, 12-ჯერ) გამეორების აუერილბლობას.³ ასე რომ, ოვიდიუსი პროფესიონალი მაგებთან დამონმეზული რიტუალებს აღნერს.

ამრიგად, ოვიდიუსი განსხვავებით ვერგილიუსისგან, არ გვთავაზობს კირკეს მითის ახალი მითოსურ ასპექტებს. სკილა-გლავაკოსის ამბავი ტიპოლოგიურად პიუსი-კანენისის მსგავსია და მითის კვლევისათვის ნაკლებად პროდუქტიული. ოვიდიუსთან მითი აღარ მუშაობს თავისი პირვანდელი სახით, იგი მითოსური ამბების გამოყენებით უკვე წმინდა ლიტერატურული სახეებს ქმნის. რომაელი ავტორს ძირითადად ჟადოქრობის ხელოვნება ანტერესებს და გარდასახვებს აღნერს. კირკეს მითის კვლევისას, ოვიდიუსი საინტერესოა იმდენად, რამდენადაერ ერთმანეთთან ათავსებს ძველბერძნული და ძველიკლიკურ მითოლოგიაში გაზნულ ინფორმირიას და ამით ადვილს უმკვიდრებს კირკეს რომაული სამყაროში. ოვიდიუსი, მდიდარი ფანტაზიის ნყალობით, საოწრად ხატობნად ნარმოადგენს ამბებს და ზუსტად არ მისდევს მანამდე არსებულ ვერსიებს, თვით ოდისევსის სიუჟეტის დამუშავებისასაერ კი. ჟადოქრობისა და მაგიის შესახებ ოვიდიუსთან დარული ინფორმირია ჰომეროსთან დაფარული შინაარსის ამოკთხვაში გვეხმარება.



¹ Athen. VII, 296 B. იბ. Bömer, 1986, 12 შმფ. და იქვე დასახელებული ვრული კრიტიკული ლიტერატურა. იბ. აგრეთვე E. Bethe, 1921, 504.

² Hyg. fab. 199. იბ. A. Tupet, 1976, 396.

³ იბ. A. M. Tupet, 1976, 397.

📖 ჰორაციუსი

კირკეს მითის ალევგორიულ ინტერპრეტაციას ვხვდებით როგორც ბერძენ, ასევე რომაელ ავტორებთან. მითის თავისებურ ინტერპრეტაციას გვთავაზობს კვინტუს ჰორაციუს ფლაკუსი I ეპისტოლეში,¹ თუმცა, მისი აზრით, ჰომეროსთან წარმოდგენილი მითოსური სახეები გააზრებულად შექმნილი ალევგორიები კი არ არის, არამედ გამონათგონია (*falsa, speciosa miracula*).² ეს ინტერპრეტაცია, უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა კომენტართან, არამედ ეპისტოლარული ჟანრის თხზულებასთან. ჰორაციუსს ეპისტოლე თავისი უძროსი მეგობრისთვის მატქსიმუს ლოლიუსისთვის დაუწერია, რათა მისთვის ჰომეროსის მითების შესახებ თავისი მოსაზრებები გაეზიარებინა.

რომაელი მოაზროვნისთვის კირკე, უპირველეს ყოვლისა, არის meretrix (კახპა), მისი მსხვერპლი კი – turpis et excors (უღირსი და უგუნური).³ როგორც ჩანს, კირკეს ამგვარ გაგებას, რომელიც შემდეგ პერაკლიტოს პარადოქსოგრაფოსმაერ გაიზიარა, საფუძველი ჰორაციუსმა ჩაუყარა. კირკეს ჰეტერას ადარებენ არისტოფანე და პეტრონიუსიერ.⁴

X სიმღერის 239-ე სტრიქონში, როდესაც ჰომეროსი გარდასახვის შესახებ საუბრობს, ამბობს, რომ ოდისევსის თანამგზავრთა წნობიერება ურველელი რჩება. ჰორაციუსი ჰომეროსისგან განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს და ახასიათებს კირკეს მსხვერპლის როგორც excors-ს. ჰორაციუსი სხვაგვარად საუბრობს ამ ადგილის შესახებ და ამბობს, რომ ადამიანებმა არა მარტო ვარეგნობა, არამედ წნობიერებაც (mens) იკვალეს.⁵ თუმცა ამ ეპიზოდში, აღნაგობა, თვითონ ჰომეროსიერ არათანმიმდეგურულია. X სიმღერის 397-ე სტრიქონში იგი ამბობს, რომ ადამიანებმა თავდაპირველ იერთან ერთად წნობიერებაც დაიბრუნეს. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ამგვარი შეუსაბამობა განპირობებულია იმით, რომ „ოდისეაში“ ერთმანეთს მითის სხვადასხვა ვერსია გადაეჯახვა.

თავად ჰორაციუსი თავს არც ერთ ფილოსოფიურ მიმდინარეობას არ მიაკუთვნებს,⁶ მაგრამ ვარაუდობენ, რომ კირკეს მითის ინტერპრე-

ტული

¹ Hor. Epist. I, 2, 17-26.
² Hor. ars. 143-45, 148-52.
³ Hor. Ep. I, 2, 25.
⁴ Arist. Plut. 179, 302-310; Petr. Sat. 126 შმდ.
⁵ Hor. Epod. 17, 15 შმდ.
⁶ Hor. Ep. I, 1, 14 შმდ.

ჭარისას იგი სტოიკურ-მორალურ კონცეფციას უნდა ემყარებოდეს. ამის გარდა, ფიქრობენ, რომ ჰორაციუსის ინტერპრეტაცია ნინამორბედ რეეფერენცს ეყრდნობა და არა უშუალოდ ჰომეროსის ტექსტს.

▣ ფსევდო ჰერაკლიტოსი

კირკეს მითის პირველი ინტერპრეტაცია, რომელიც მეტ-ნაკლებად სრულყოფილი სახითაა შემორჩენილი, ვინმე ჰერაკლიტოსის კალამს ეკუთვნის და დაახლოებით ახ.წ.აღ-ის I ს-ს უნდა განეკუთვნებოდეს.¹ ჩვენამდე ამ ფილოსოფოსის ერთადერთმა თხზულებამ მოაღწია. Ὀμηρικὰ προβλήματα, ფაქტობრივად, ჰომეროსის რჩეული ადგილების კომენტარითაა კრებულის ნაწილად გვინახავს. ჰერაკლიტოსს ვერც ერთ კონკრეტულ ფილოსოფიურ სკოლას ვერ მივაკუთვნებთ. მისი მსოფლმხედველობა ეკლექტურია და ერთდროულად ეყრდნობა როგორც კინიკურ-სტოიკურ მოძღვრებას, ასევე არისტოტელეს.² კირკეს ეპიზოდის ინტერპრეტაცია ნარმოადგენილია თხზულების 72-ე და 73-ე თავებში და, როგორც შევნიშნავთ, თვლიან, ეთიკურ-მორალისტულ განმარტებას ნარმოადგენს.³ ფილოსოფოსი ძირითადად ოფისევსისა და ჰერმესის შესახებ საუბრობს. კირკე და ოფისევსის თანამგზავრები, მისი აზრით, მეორეხარისხისაა არიან. მისი ინტერპრეტაციით, თასი, რომელიც ქალღმერთის მიერ შეზავებული შეჰამანდია, ვენების ჯურჯულია. ის, ვინც მას იგემებს, ღორსული წხოვრების თანაზიარი ხდება. ღორადქცეული თანამგზავრები, ამ შემთხვევაში, სტოიკური გავებით, უგუნუნნი არიან. ოფისევსი კი, რომელიც კირკეს სფეროში მოსალოდნელ საფრთხეს გონიერების (φρόνησις) მეშვეობით დააღწევს თავს, სტოიკური სიმბოლოს ნიშნად უნდა იყოს.

▣ ჰერაკლიტოს პარადოქსოგრაფოსი (მითოგრაფოსი)

დაახლოებით ახ.წ.აღ-ის I ს-ს განეკუთვნება მითების ალექსანდრიულ ინტერპრეტაციას კრებული, რომელიც Περὶ ἀπίστων-ის (დაუჯერებელთა შესახებ) სახელით არის წნობილი და მანამდე უცნობ ჰერაკლიტოს მითოგრაფოსს უნდა ეკუთვნოდეს.⁴ ეს ნაშრომი 39 მითოსური სახის და სრულის მოკლე ინტერპრეტაციებს ნარმოადგენს და არ გააჩნია რუნიკულად დანახსტინული კოდინგატიონების დანახსტინული

¹ K. Reinhardt, 1912, 508-510.
² S. Wedner, 1994, 79-82; S. Tochtermann, 1992, 48.
³ S. Tochtermann, 1992, 49.
⁴ ჰერაკლიტოსის პიროვნების შესახებ იხ. K. Reinhardt, 1912, 510.

ერთი ძირითადი ღერძი, რომელიც მათ ერთ მთლიანობად გააერთიანებდა. ჰერაკლიტოსის ეგზეგეტიკური მეთოდი შეიძლება განისაზღვროს როგორც „რაციონალურ-ისტორიული“ ან „პრაგმატული“ და ამგვარი განმარტება პლათონისა და ევჰემეროსს ემყარება.¹ იგი უარდნობა თვალსაზრისს, რომ ყოველი მითი რეალურ ვითარებას ან რეალურ პიროვნებას უნდა მიემართებოდეს. მაგალითად, სკილას მკობრეთა ხომალდი უნდა ყოფილიყო, რომელთა რადისევის ხელიდან დაუსხლტა. მითოგრაფოსი ამ პრინციპზე დაყრდნობით ანალოგიებს მიჰყვება.

პარადოქსოგრაფოსი ძირითადად ჰერაკლიტოსის სქემას მისდევს მერე განსხვავებით. მაგალითად, იგი კირკეს აიგივებს არა ისეთ ზოგად წებებთან, როგორცაა ტკობა (ἵδωσι) ან განწხრომა (τρυφή), არამედ მას რეალურ ჩარჩოებში აქცევს. მოკლე ალეგორეზაში, რომელიც კირკეს ამბავს შეეხება, ავტორი კირკეს ჰეტერას კვალიფიკაციას აძლევს. ჰერაკლიტოს პარადოქსოგრაფოსს ამ შემთხვევაში ერთი ინოვაცია შემოაქვს. იგი უარადღებდა ეროტიკულ-სექსუალურ მოტივზე ამხვილებს.

☒ ფსევდო პლუტარქე

ინტერპრეტატორთა ნაწილი ჰომეროსის განმარტებისას სულის შესახებ შუაპლატონურ და ნეოპლატონურ მოძღვრებას ეყრდნობა. ისინი ჰომეროსში ხედავდნენ ფილოსოფოსს, რომელიც მითების საბურველს მიღმა სამყაროს აგებულების და სიკვდილის შემდეგ სულის რხოვრების შესახებ ჭეშმარიტებას გვაძლავდა.

ფსევდო პლუტარქე დარწმუნებულია, რომ ჰომეროსმა ღრმა ჭეშმარიტება შეგნებულად ალეგორიულად წარმოადგინა. ამიტომ მკითხველს მისი ნაზრევი უნდა განემარტოს. ფილოსოფოსი, სხვა მითების მსგავსად, კირკეს ამბავსავე სულთა შესახებ მოძღვრების ჭრილში მიმოიხილავს. მსჯელობისას ამოსავალი რხოვლებად გარდასახული ადამიანები არიან. გადამწყვეტი პლუტარქესეული მოძღვრებისათვის გონიერთა და უგუნურთა შორის განსხვავებაა, რადგან მხოლოდ უგუნურნი მონანილოებენ სულთა ხეციალში. ოდისევის თანამგზავრები, რომლებიც კირკესთან შეყოვნდებიან, მონანილოენი ხდებიან სამყაროს წრიული მოძრაობისა, რომლის განსახიერებაც კირკე არის.² კირკე ჰე-

რეკლამა

¹ S. Tochtermann, 1992, 53.

² Plut. VII, 1906: De vita et poesi Homeri, 126, 3-9: Καὶ τὸ μεταβάλλειν δὲ τοὺς ἑταίρους τοῦ Ὀδυσσεῶς εἰς σύας καὶ τοιαῦτα ζῶα τοῦτο αἰνίττεται, ὅτι τῶν ἀφρόνων ἀνθρώπων αἱ ψυχὰι μεταλλάττουσιν εἰς εἶδη σωμάτων θηριῶδων, ἐμπεσοῦσαι εἰς τῆν

ლიოსის შთამომავალია, მზის ძალა კი ანიჭებს სამყაროს სიყოფიერებას, განაპირობებს მის ქმნადობასა და კვდომას.¹ კირკე, როგორც ჩანს, პირველ რიგში, თავისი სახელის გამო (ὁ κίρκος – ნრე), ასოწრო-დებოდა პლატონურ-პითაგორულ ნარმოდგენასთან სულთა განსხვავებების მარადიული ნრეზრუნვის შესახებ.

ოფისევესი, როგორც ლოგოსით აღბეჭდილი გმირი, გადაურჩება საბეველილეებს. ფილოსოფოსის აზრით, მისი სული თავისუფალია ყოველივე გრძნობადისგან. ამიტომ არ ხდება იგი სამყაროსეული ნრეზრუნვის მონაწილე, არამედ შეუძლია უცნებლად ჩავიდეს ჰადებსში და მონახსულოს სულენი. Λόγος-ის განსახიერებას კირკეს მითში ჰერმენი ნარმოადგენს.² მისი დახმარებით შეიძინა ოფისევესმა ἀπάθεια (უცნებლობა). ამავ კონტექსტში განიხილავს ფსევდო პლუტარქე აიასასა და მას თავისებურად განმარტავს. მისი აზრით, ეს არის ადგილი, სადა არ აფამინები გარდაწვლილებზე ჩივიან:³ ταυτήν (იგ. Αἰαίην) δ’ ἀπὸ τοῦ ἀιάζειν καὶ ὀδύρεσθαι τοὺς ἀνθρώπους ἐπὶ τοῖς θανάτοις κέκληκεν.

☒ დონ პრუსელი

ახ.წ.აღ–ის I ს–ში მოღვაწე ორატორი და ფილოსოფოსი დონ პრუსელი ჩვენამდე მოღწეული 80 მოკლე ტრაქტატადან ექვსში (IV, VI, VIII, XI, XXXIII, LXXVII, LXXVIII) მოიხმობს კირკეს მითს როგორც მითოლოგიურ exemplum–ს. თუკი VI, XI, XXXIII სიტყვებში კირკეს მითი უბრალოდ ნახსენებია, IV, VIII, LXXVII/LXXVIII სიტყვებში დონი კირკეს ამბავს უფრო ვრულად მიმოიხილავს და ადრეული ინტერპრეტაციების ღრმა წოდნასაყ ამკლავნებს.

თავისი სოწიალური მდგომარეობის შესაბამისად, დონ პრუსელი განსწავლეული იყო არა მხოლოდ მკვევრმეტყველებასა და ფილოსოფიაში, არამედ გრამატიკასა და კლასიკურ ბერძნულ და რომაულ ლიტერატურაში. ფილოსოფოსი შესანიშნავად იცნობდა პომპროსის პომპენს, ის ღმერთთა მიერ ინსპირირებულ პოეტად მიანჩდა⁴ და პომპ-

ღჁჁჁღჁჁჁღჁჁჁღჁჁჁღჁჁჁღჁჁჁღჁჁჁღჁჁჁღჁჁჁღჁჁჁღჁჁჁღჁჁჁღჁჁჁღჁჁჁღჁჁჁღ

τοῦ παντὸς ἐγκύκλιον περιφορᾶν, ἢν Κίρκην προσαγορεύει καὶ κατὰ τὸ εἶκὸς Ἅλιου παῖδα ὑποτίθεται...

¹ A. Rapp. 1886-1890, 1993-2026. 2021-2024. შფრ. აგრეთვე პორფიროსის ვრულელი განმარტება. Stob. Ecl. II, 446, 13 შმღ.

² Plut. 126, 446, 12-14: οὐκ ἔπαθε τὴν τοιαύτην μεταβολήν, παρὰ τοῦ Ἑρμοῦ, τουτέστι τοῦ λόγου, τὸ ἀπαθὲς λαβών.

³ იქვე. 9-11:

⁴ or. LIII, 1; LIII, 10; XXVI, 34; XVIII, 8.

როსთან მოთხრობილი ამბების მიღმა რალაჯ სხვა, უფრო ღრმა ჭეშ-მარიტებას ეძებდა.

